ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№213 (272) 26 მარტი – 2 აპრილი 2013 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

შუშის საზამთრო თუ მედუზა?

(რა ზიანი მოუტანა ქუთაისს ახალი პარლამენტის შენობამ!)

სამწუხაროა, რომ დღემდე უზარმაზარი ეროვნული ენერგია იხარჯება ისეთ ბლეფებზე, როგორიცაა საქართველოს ევროგაერთიანებაში და ნატოში გაწევრიანება!

როცა, ევროპელებს ევროგაერთიანება თავზე ენგრევათ, საქართველოს შესვლა ამ გაერთიანებაში, მხატვრული ფილმის **„ცისფერი მთები“**-ს ფინალს მაგონებს – დასანგრევად განწირული შენობიდან თავდაღწეული პერსონაჟი – იროდიონი – **„ქუდი დამრჩაო“** და უკან რომ შებრუნდება!

კაცმა რომ თქვას, ვინ იცის, ის ქუდი რად უღირდა იროდიონ ბატონს!.. მაგრამ საქართველო რომელი ქუდის გამოსატანად იკლავს თავს, ნგრევადი ევროგაერთიანებიდან, სადაც ის არასოდეს ყოფილა და არც მომავალში არავინ შეუშვებს?

გასულ საპრეზიდენტო წლებში **„მიშა-შეურაცხადი“**-ს თავხედობა იქამდე მივიდა, რეგვნებად, სულელებად და არაფრისმნახველებად ჩათვალა საქართველოს მოსახლეობა და აეროპორტად წოდებული რკინის და თუნუქის კონსტრუქციების მცირე ზომის **„ყაზარმა“** (როგორც ამბობენ 78 მილიონი დოლარი რომ დაჯდა), საქართველოს მოსახლეობას ამსტერდამის, ვენის და კიდევ მრავალ აეროპორტზე დიდად წარმოუდგინა, როცა ყველა მათგანს მიშასეულ **„ყაზარმაზე“** ბევრად დიდი, მრავალსართულიანი ავტოსადგომები გააჩნია!

ის კი არა, ქუთაისის ე.წ. აეროპორტი, რომელსაც, მგონი სათადარიგო ასაფრენი ბილიკიც კი არ გააჩნია – დუბაის აეროპორტის ანალოგად შემოგვასაღა!

მიშა-სულელი, თავისი, საკუთარი სამრეკლოდან უყურებდა საქართველოს, მის მოსახლეობას და სრული უფლება ჰქონდა ისეთად მოეხსენიებინა იგი, როგორადაც სხვა სამყაროში გადასული ადამიანი ხედავდა მას!

გამომდინარე აქედან, მე მასთან ნაკლები პრეტენზიები გამაჩნია, მაგრამ დიდი ხნის წინ დავწერე და გამოვაქვეყნე **„ილორი“**-ს ფურცლებზე – ***მიშა სააკაშვილი კი არ არის დამნაშავე, დამნაშავე და სასწრაფოდ დასათხოვი და პასუხისგებაში მისაცემი – პარლამენტის ჯანდაცვის კომისია და ჯანდაცვის სამინისტროს მთლიანი შემადგენლობაა, რადგან, როცა ისინი, ქვეყნის პირველი კაცის ჯანმრთელობის მდგომარეობას ვერ აკონტროლებენ, ქვეყნის სამ მილიონამდე მოსახლეობას როგორდა მოუვლიან?***

ბოდიშს გიხდით, ემოციებს რომ ავყევი, დავანებოთ ზემოთხსენებულ **„უტოპიურ ოცნებებს – ევროგაერთიანებას, ნატოს“** თავი და ვიკამათოთ იმაზე, რაზეც ერი და ბერი, საპარლამენტო უმრავლესობა და უმცირესობა კამათობს:

– იყო თუ არა გამართლებული, საქართველოს პარლამენტის გადატანა ქუთაისში!

– გამოიწვევს თუ არა პარლამენტის თბილისში დაბრუნება ქუთაისის და რეგიონის (ალბათ იმერეთის!) განვითარების პერსპექტივების განადგურებას!

– სად უფრო სჭირდება პარტიას ჩიორა თაქთაქიშვილი – ოფისში თუ (როგორც ვასიკო ოდიშვილი ამბობს) ლოგინში!.. და ა.შ.

ზემოთხსენებული, ე.წ. „პრობლემები“-ს სიმრავლე იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს პარლამენტში, დიდი უმრავლესობა, შემთხვევითი ხალხია მოხვედრილი და მათ, გარდა პროვოკაციულ ინტრიგებზე ერთმანეთის წამოგებისა, არაფერი ესმით და არაფერს ხედავენ!

სხვანაირად, როგორ წარმოვიდგინოთ ის ამბავი, რომ იმ უმრავლესობას მაინც, ვისი იმედი საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს გააჩნია, ერთხელაც არ მოსვლია აზრად, თვითონ თუ ვერ შეიძლებდა, ფინანსური ექსპერტებისთვის მაინც მიემართა და დაეთვალათ – რამდენ სამუშაო ადგილს შექმნიდნენ ქუთაისში პარლამენტის ასაშენებლად დახარჯული ოთხასი მილიონი ლარი, მრეწველობაში რომ დაებანდებინათ და ქუთაისელი მეწარმეებისთვის მიეცათ საშუალება, ადგილობრივ პროდუქციის შესაქმნელად!

მოგვიანებით წარმოგიდგენთ მარტივ ეკონომიკურ სქემას, თუ რისი მიღწევა შეიძლებოდა ზემოთხსენებული სოლიდური თანხით!

ამჯერად იმაზე, თუ რას ემსახურებოდა ქუთაისში პარლამენტის გადატანა და ოთხას მილიონ ლარად **„ღირებული“**, როგორც ქუთაისლები ამბობენ – იქ **„წამოყანთრული შუშის საზამთრო თუ მედუზა“**!

განათლების სისტემა გულმოდგინედ რომ დაინგრა საქართველოში ბოლო 22 წლის განმავლობაში, იმასაც ეტყობა, რომ, რაც უნდა წერო, წამკითხველი მაინც არ გამოჩნდება რადგან, იმას, ვისაც წერა-კითხვა და გაგება შეუძლია, არავინ არაფერს ეკითხება, ვისაც ეკითხებიან და უნდა მოკითხონ კიდეც – წერა-კითხვა არ იციან!

მსგავსი, ტრაგი-კომიკური ყოფა, მე არ მახსენდება, ოდესმე თუ ჰქონია ჩვენს ჯიშსა და ჯილაგს, თქვენ თუ შემახსენებთ – მადლობელი დაგრჩებით!

ყოველივე ამას ის მათქმევინებს, რომ მარტო გაზეთ **„ილორი“**-ის მთავარ რედაქტორს ბატონ როლანდ ჯალაღანიას იმდენი აქვს დაწერილი და გამოკვლეული, თუ რატომ დაისახა მიზნად **„მიშა-შეურაცხადმა“** ქუთაისში პარლამენტის გადატანა და დღეს მზად არის ყველაფერი დათმოს, ოღონდ პარლამენტს ნუ დააბრუნებენ თბილისში, ამას რომ ქვეყნის რჩეული 150 კაციდან არავინ გამოეხმაურება და უაზრო და უსაგნო კამათს განაგრძობს ანგაჟირებულ ოპონენტებთან, მართლაც ცუდადაა ჩვენი და ჩვენთან ერთად ჩვენი სამშობლოს საქმე!

იძულებული ვარ, კიდევ ერთხელ მოვუხმო ვრცელ ამონარიდს ამ თემაზე ბატონი როლანდის წერილიდან:

„როგორც იტყვიან, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრისას მოხსნა პირი გუდას, მაშინ ჯერ კიდევ საქართველოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა და, თანაც როგორ მოხსნა! ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი რომ არ იყოს, მისი გამოსვლიდან გამომდინარე, გაიფიქრებდი – სკლეროზი მოერია, აღარ ახსოვს თავისი ახლო წარსულის შავ-ბნელი საქმეები და ამიტომ ჭიკჭიკებს ასეთი ამაღლებული განწყობითო.

შემდეგ ქუთაისში საპარლამენტო უმრავლესობის, უმცირესობისა და საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობით გაიმართა განხილვა საკითხისა – უნდა დარჩეს თუ არა საქართველოს პარლამენტი ქუთაისში?

ჩვენდა სამწუხაროდ და საუბედუროდ, პარლამენტის თბილისში დაბრუნებას სწორედ სააკაშვილისა და მისი ბანდისაგან გაბრიყვებული ის ქართველები ეწინააღმდეგებიან, რომელთაც არ იციან, საერთოდ, ვის მიერ და როდის დაისვა არა მხოლოდ სახელისუფლებო სტრუქტურების, არამედ საქართველოს დედაქალაქის ქუთაისში გადატანის საკითხი. ჩვენ უკვე ვწერდით იმის თაობაზე, რომ ჯერ კიდევ 1922 წლის მაისში (ვიდრე ლენინი ჯერ კიდევ შრომისუნარიანი ავადმყოფი იყო) საქართველოს დედაქალაქის ქუთაისში გადატანის მოთხოვნით ლენინს წერილობით მიმართეს ცნობილმა სომეხმა რევოლუციონერებმა სტეფანე შაუმიანმა და აღასი ხანჯიანმა: მალე ამიერკავკასიის ფედერაცია შეიქმნება და უმჯობესი იქნება ამიერკავკასიის დედაქალაქად სწორედ თბილისი გამოვაცხადოთო. სომეხთა ჩანაფიქრი საკმაოდ "ჭკვიანური" და, ამავე დროს, საკმაოდ მზაკვრული გახლდათ: საქართველოს დედაქალაქის ქუთაისში გადატანით ისინი იოლად მოახერხებდნენ სომეხი მოსახლეობის გადმოსახლებას აღმოსავლეთ საქართველოში და, აქედან გამომდინარე, მის სრულ გასომხებას. მაშინ დაშნაკების ამ ვერაგული ჩანაფიქრის აღსრულებას წინ აღუდგა იოსებ სტალინი, რომელმაც შესძლო დაერწმუნებინა ლენინი ამ გეგმის მიუღებლობაში.

– ახლახან დამთავრდა 1918 წელს დაწყებული სომხეთ-საქართველოს ომი, სწორედ რომ ახლახან (1915 წელს) ჩატარდა სომხების მასიური ხოცვა-ჟლეტვა თურქების მიერ, ამიტომ, დიდი რაოდენობის სომხების, მუსულმანებისა და ქართველების ერთ ქალაქში თავმოყრამ შეიძლება ახალ სისხლისღვრის პროვოცირებამდე მიგვიყვანოსო, – უთხრა მაშინ სტალინმა ლენინს, რაც არ გახლდათ ჭეშმარიტებას მოკლებული.

თუმცა, მაშინაც იყვნენ მოკალათებული საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ ის გადაგვარებული ქართველები – ტოროშელიძეები, მახარაძეები, ორჯონიკიძეები, ცხაკაიები, მდივნები, რომლებიც არ დასჯერდნენ საქართველოდან მისი ძირძველი კუთხის ჰერეთის ჩამოცილებას და ახლა, სომხურ ბოდვით იდეებს ბრმად თუ შეგნებით აყოლიებულნი, მზად იყვნენ, რომ თბილისი ამიერკავკასიის დედაქალაქად გამოეცხადებინათ.

ალბათ ამიტომაც გვეძახიან რეაქციონერი სომხები „გიჟ-ვრაცუას“ (შეურაცხად ქართველებს).

მაგრამ, მაშინ კიდევ ერთხელ გადაგვარჩინა ღმერთმა! უფრო სწორად, მაშინ საქართველო გასომხებას იოსებ სტალინმა გადაარჩინა, მოგვიანებით კი ლავრენტი ბერიამ კიდევ უფრო გააძლიერა ლამის ერთიანად გასომხებულ აღმოსავლეთ საქართველოში ქართული სული და, როგორც ამბობენ, თბილისის ქართული მოსახლეობის რიცხვი დასავლეთ საქართველოდან გადმოსახლებული ქართველებით შეავსო!

სწორედ ამიტომ შეიძულა ლავრენტი ბერია აღმოსავლეთ საქართველოს აშკარად არაქართულმა მოსახლეობამ, რომელიც საიმედოდ არის ამოფარებული ქართულ გვარ-სახელებს!

არსებობს ძველებური ინგლისური გამოთქმა: „ამ ადამიანს ისეთი რა სიკეთე გავუკეთე, ასეთ დაუძინებელ მტრად რომ მექცაო“!

ჩვენ ვიცით, თუ რატომ მოეკიდა ბერიას ასე მტრულად საქართველოს არაქართული მოსახლეობა.

იმიტომ, რომ საქართველოში ქართველთა შევიწროების პროცესები ლამის 80 წლით დამუხრუჭდა.

ყველაზე დიდი უბედურება კი ის გახლავთ, რომ თურმე ჩვენს საყვარელ ქუთაისს კვლავაც ყვავ-ყორნებად დაჰყარყაშებენ ახალი ყაიდის ტოროშელიძეები, მახარაძეები, ორჯონიკიძეები და სხვა ავსულები, რომლებიც ვერ გრძნობენ გადამთიელთა მიერ შემოგდებულ სატყუარას და ყოველგვარი სიცრუისა თუ ყალბი პატრიოტული პათოსის მოშველიებით ცდილობენ ქუთაისში საქართველოს პარლამენტისა და შემდეგ კი დედაქალაქის დამკვიდრების იდეის ლობირებას.

ღმერთო, შენ აუხილე თვალები უნებლიედ თუ ნებსით დაბრმავებულ და ფულზე სულგაყიდულ იმ ვაი-ქართველებს, რომლებიც საკუთარი ყოფითი გაჭირვებიდან თავის დაღწევის ერთადერთ გზად მხოლოდ ქუთაისის გადედაქალაქებაში ხედავენ!

ეს არ გახლავთ მხოლოდ ქუთაისლების პრობლემა, ეს სრულიად საქართველოს პრობლემაა, თანაც, მეტად საფრთხილო და საბედისწერო!“

ამ თემაზე, პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ კი არ დაუწყია გაზეთ **„ილორს“** და მის მთავარ რედაქტორს წერა. ხუთ წელზე მეტია, ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე განგაშის ზარი გაისმოდა **„ილორის“** ფურცლებიდან, მაგრამ გამკითხავი და მითუმეტეს თანამდგომი, იშვიათად გამოჩენილა!

მიუხედავად ჩემი დროის დეფიციტისა (არ მაქვს ბედნიერება, ხშირად და ხანგრძლივი დროით ვიყო საქართველოში!), რამდენიმე მნიშვნელოვან ქართულ ბანკში მაინც მოვახერხე მისვლა და ზოგიერთი საინტერესო საკითხის შესწავლა.

მათ შორის, ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო – ***რა ოდენობის კრედიტებს ითხოვენ ქართველი მეწარმეები მცირე და საშუალო საწარმოების დასაფინანსებლად, სადაც ოციდან ორმოცდაათ კაცამდე დასაქმდებოდა.***

თითქმის ერთი და იგივე პასუხი მივიღე ყველა ბანკიდან – ***ორასიდან ოთხასი ათას ლარამდე მერყეობს თურმე საინვესტიციო თანხა, როცა ადგილობრივ ნედლეულზე მომუშავე წარმოებებზეა საუბარი და ისიც კაბალური, ქართული ბანკების საპროცენტო განაკვეთით (18-იდან 28%-ამდე), რომელიც ორ ათეულ წელზე მეტია დამკვიდრებულია ქართულ საბანკო სისტემაში და ამ მხრივ პირველობას ვერავინ წაგვართმევს დედამიწის ზურგზე!***

ამის შემდეგ ყველაფერი ცხადი გახდა ჩემთვის, თუ რა უნიკალური შესაძლებლობა დაჰკარგა ქუთაისმა და მასთან ერთად იმერეთის რეგიონმა, როცა მას ოთხას მილიონ ლარად ღირებული **„შუშის მედუზა“** თუ **„საზამთრო“** აუშენეს და ქუთაისელ მეწარმეებს არ გადასცეს ეს თანხა წარმოებების ასაღორძინებლად!

ერთი წუთით, ციფრებში მინდა წარმოგიდგინოთ თუ რას ნიშნავს ყოველივე და მოდით, ამ მარტივი არითმეტიკული ამოცანით ქუთაისის პარლამენტარებს მივმართოთ:

რამდენ სამუშაო ადგილს შექმნიდნენ ოთხასი მილიონი ლარით, თუ თითო წარმოებას ხუთას ათასს მისცემდნენ და თითოეული მათგანი ორმოცდაათ კაცს დასაქმებდა?

სანამ პარლამენტის შესაბამისი კომისია განიხილავდეს ამ საკითხს, დიდი დრო გაივლის და ჩვენვე, მარტივი მათემატიკური მოქმედება ჩავატაროთ:

400.000.000:500.000=800X50=40.000

გამომდინარე აქედან 40.000 (ორმოცი ათასი), გრძელვადიანი სამუშაო ადგილის შექმნა შეიძლებოდა ზემოთხსენებული თანხით, ის, ოთხასი მილიონი ლარი, რომ ქუთაისელი მეწარმეებისთვის მიეცათ!

ისიც გავითვალისწინოთ, რომ ეს უაზრო შენობა სამუშაოდ ვარგისი რომ გახდეს, ექსპერტების აზრით 100-150 მილიონი ლარი კიდევ დასჭირდება!

(გაგრძელება მე-8 გვერდზე)

მოგზაურობანი

მევენახეობა. – კულტი მიცვალებულთა. – მცენარეთა თაყვანისცემა. – “შაშუ” ანუ “მჭედლობის ღმერთი”. – ბზით ვაჭრობა.

მგზავრის ყურადღებას იქცევს ეზოებში წამოდგმული თითო, ხან რამდენიმე პატარა ხის ფარდულები. ეს გახლავთ სასაფლაოები. მოუნათლავი აფხაზი თავის მიცვალებულს შორს არსად ისტუმრებს, არამედ სახლის ახლო, ეზოში, თვალსაჩინო ადგილას ჰმარხავს, რათა შეეძლოს ხშირად დახედოს, ახლოს ჰყავდეს.

ხოლო იგივე მოუნათლავი აფხაზი ეზოში დასაფლავებულის სულის მოსახსენებლად სხვაგან აშენებს ამავე ფორმის ფარდულს, მხოლოდ უფრო დიდს. ასეთ ფარდულს აბაყა ჰქვიან. ყავრითაა დახურული, გვერდებმოშენებული. ოთხივ კუთხე დგამები აქვს ჩამორიგებული ჩამოსაჯდომად ან დასაწოლად. ასეთ აბაყს აშენებს მამა გარდაცვალებული შვილის სულის საოხად ან, პირიქით, შვილი მამისათვის. ამ შენობებს ერთგვარი სასტუმროც შეიძლება ვუწოდოთ, მხოლოდ სასტუმრო უმასპინძლო, უსასყიდლო და მარადჟამ კარღია. ავდარმოსწრებულ მგზავრს შეუძლია შიგ თავი შეაფაროს გამოდარებამდე ან ღამე გაათიოს, ცეცხლი დაანთოს და ნაბადში გახვეული იქვე მიწვეს და მიიძინოს. როცა თავს ანებებს ასეთ სასტუმროს, მოვალედა თვლის შენდობა შეუთვალოს მიცვალებულის სულს, ვის სახელსაც ეს აბაყა ატარებს. ასეთი აბაყა განსაკუთრებით იქა კეთდება, საცა გზა იყრება, სოფელს მოშორებით. ზოგ ჭირისუფალს ისე სწამს მადლიანობა აბაყასი, რომ სასმელსაჭმელიც კი მიაქვს და შიგა ტოვებს, რომ დამშეულმა მგზავრმა შიმშილი დაიწყნაროს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დიდი ხანი არ უნდა იყოს, რაც აფხაზებმა თავიანთი მიცვალებულის დასაფლავება დაიწყეს. მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც ამ სამასი წლის წინათ მოიარა და აღწერა სამეგრელო, გაკვრით შეეხო აფხაზეთსაც და აღნიშნა, რომ აფხაზები მიცვალებულთ ხეზე ჰკიდებდნენო. ალბათ მანამდე სტოვებდნენ ამ მდგომარეობაში ცხედარს, სანამ ყვავ-ყორნები ხორცს არ დაჰკორტნიდნენ, მერე ცარიელ ძვლებს-და მარხავდნენ, როგორც ამას დღესაცა შვრებიან კუნძულ პოლინეზიის მცხოვრებნი.

მეტად მრავალფეროვანი და რთულია აფხაზთა ჩვეულებანი ტირილისა, მიცვალებულის გლოვა-დასაფლავებისა, მეტად ვრცელია ჩვეულებანი წინაპართა, სული თაყვანისცემისა, მაგრამ, სამწუხაროდ, მეტს ვერ გავჩერდებით ამ საგანზე, რადგან ეს მეტად შორს წაგვიყვანდა და მგზავრის შენიშვნების ჩარჩოში, ცოტა არ იყოს, ძნელი დასატევი იქნებოდა. აქ მხოლოდ მოკლედ შევეხებით ამ მხარეში ჯერ კიდევ მკვიდრად შენახულ ფოტოლატრიას ანუ მცენარეთა თაყვანისცემას.

მცენარეთა თაყვანისცემა მთელი დარგია პირველყოფილი სარწმუნოებისა. ხე, და საზოგადოდ მცენარე, ადამიანს ესოდენ სამსახურს უწევდა, უწევს და გაუწევს. ამიტომ სრულებით ბუნებრივია ამ ადამიანის მხრივ, მცენარე რომ მფარველად, თაყვანისცემის საგნად, ღმერთად გაეხადა. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ღმერთი მუდამ კი არ იყო მოღიმარე, კეთილი, მუდამ არ უჩრდილებდა, მუდამ არ აძლევდა ნაყოფს, ხანდახან მრისხანებასაც აჩვენებდა თავის თაყვანისმცემელს. პირველ შემთხვევაში პირველყოფილი ადამიანი ცდილობდა მადლობა გადაეხადა, მეორე შემთხვევაში-კი გული მოელბო, მისი რისხვა თავიდან აეშორებინა. როგორც მადლობისათვის, ისე გულის მოსალბობად საჭირო იყო მსხვერპლი.

ზოგი ხე განსაკუთრებით იპყრობდა ადამიანის ყურადღებას: თავისი სიდიდით, თავისი თვისებით ან იმით, რომ განმარტოებით იდგა, სადმე ტრიალ მინდორზე. ასეთ ხეს ხშირად შეხვდება კაცი აქეთკენ. აფხაზი მოწიწებით გაივლის ოლმე ასეთს ხესთან, თან ვალებულია რამე აჩუქოს, შესწიროს და, ასე თუ ისე, მორჩილება გამოუცხადოს, მისი სიძლიერე აღიაროს. ვინ იცის, რა და რა ხასიათის, რა და რა ფორმის ძღვენსა და შესაწირავს არ ნახავთ ამ ხეთა ძირში! აფხაზთა ფანტაზიას საზღვარი არა აქვს, ამ შემთხვევაში. აქ ნახავთ თოხის ნატეხს, თოფის ლულას, სააიაზმეს, სპილენძის ქვაბს, შავ ფულს, ცულის ნატეხს, თუნუქის ბრჭყვიალა ნაჭერს. გულუბრყვილო შემომწირველი დარწმუნებულია: ყოველივე ასეთი ძღვენი მადლობით არის წმინდა ხის მიერ მიღებულიო, და როგორც იკვე შეწირული და ხის საკუთრება, გარეშეთაგან ხელუხლებელია, ადამიანს რაც უნდა უჭირდეს, რაც უნდა დიდი ჰქონდეს დასაკუთრების სურვილი, მაინც ხელს არ ახლებს, რომ გაუვლის შეწირულ ნივთთა ამ საწყობს, გაჩერდება, დაიჩოქებს და თხოვს: **“ულუფსა-ჰათ” (“შენი წყალობა მომეც”).**

ასეთი ხე, გარდა იმისა, რომ თავის თაყვანისმცემელთ მფარველობს და იცავს, მოსამართლის როლსაც ასრულებს. მომჩივანნი და დამნაშავენი მასთან მიდიან, დამნაშავენი ფიცსა დებენ – ესა და ეს დანაშაული არ ჩამიდენიაო. არც გამოძიება, არც მოწმე, არც აპელაცია, არც კასაცია... ხე გაასამართლებს ყველას, მტყუანს ავად გახდის, თავის კარის წინ შესაწირავიანად მოიყვანს და მომჩივნისათვის ბოდიშს მოახდევინებს, დანაკარგს აზღვევინებს. ასეთ ხესთან უბრალო მომაკვდავს პირდაპირ როდი შეუძლია ლაპარაკი. ამისათვის განსაკუთრებით თანამდებობის პირნი არიან არჩეულნი: ესენია რომ მომჩივანთა თხოვნას ხეს მოახსენებენ, და სხვადასხვა...

მეორე საინტერესო სალოცავი აფხაზთა – **შაშუ,** ანუ მჭედლების ღმერთია. შაშუს სახელობაზე ტყეებში აკეთებენ პატარა ქურებს ქვებისაგან, კირის მაგივრად უბრალო აყალო მიწას ხმარობენ. ზედ აწყვია ჩაქუჩი და გაზი – სიმბოლო მჭედლობისა. ახალწლის წინადღით მლოცავნი ამ ქურასთან მიდიან, საკლავსა ჰკლავენ, საუკეთესო ნაწილს ცხოველისას – გულ-ღვიძლს, ხის შამფურზე წამოგებულს, შაშუს სწირავენ და დანარჩენს თვითონ შეექცევიან. მსგავსად წმინდა ხეთა, სამჭედურიც მოსამართლის როლს ასრულებს: მომჩივანნი მის წინ ფიცულობენ და თავიანთ სიმართლეს საჯაროდ აცხადებენ. აფხაზი, რაც უნდა ძალა ადგეს, ტყუილის თქმას სამჭედლოს წინ ვერ გაბედავს. ერთი ასეთი სამჭედლო სოფელ კალდახვარაში მაჩვენეს, ეკლესიის გვერდით.

გუდაუთიდან მდინარე ბზიფამდე, ანუ კაპოეტის წყლამდე, სურათი ათასფრად იცვლება, ერთი სურათი მეორეზე უკეთესი, უფრო მომხიბლველია! მაგრამ სურათი ბუნებისა, მდინარე ბზიფის ხიდიდან რომ ეშლება მგზავრს, ყველას ჩრდილავს. აქედან ხედავთ მთელი ბზიფის ხეობას, თვით იმ თოვლიან მთებს, ამ მდინარეს რომ ასაზრდოვებენ. ეს ის ხეობა გახლავთ, რომელიც უხსოვარ დროიდან განთქმული იყო უძვირფასესი ჯიშით – ბზით. დასავლეთ ევროპის ბაზარზე სულ უკანასკნელმა ხე-ტყის მწარმოებელმა თუ ვაჭარმა იცის აფხაზეთის ბზის **buis d,abazie**-ს სახელი. აქაური ბზა ყვითელია, როგორც კვერცხის გული, მეტად მკვრივია და გაშალაშინების შემდეგ სპილოს ძვლის მსგავსია. ამ ჯიშის ხეს აღმოსავლეთ საქართველოში იშვიათად ვხედავთ, აფხაზეთსა და სამურზაყანოში კი მთელი ტყეებია ოცისა და ორმოცი ათასი დღიურის სივრცისა.

ბზით ვაჭრობა აფხაზეთში დიდი ხნიდანვეა დაწყებული. ჯერ ისევ გენუელები (1120-1476) მოდიოდნენ აქ ბზის გასაზიდად. იმ ადგილას (ბიჭვინტასა და ბომბორას შუა), საიდანაც ეს საქონელი გემებით გაჰქონდათ, **Capo de buis** (ბზის ნავსადგური) დაარქვეს. ამ დროს ბზის ტყე თვით ზღვის ნაპირამდე წვდებოდა თურმე, მაგრამ აფხაზებს კარგი ღირსების ბზა უფრო შორი დგილებიდან მოჰქონდათ. იაფადაც ჰყიდდნენ. ერთ ფუთ მარილში ერთ ფუთ ბზას აძლევდნენ. ღირსების გარდა აქაური ბზა შესანიშნავია თავისი სიდიდითა და ხნოვანებით. აქაურ ტყეებში კაცი დღესაც შეხვდება 600-700 წლის ბზის ხე, რომელსაც ზოგჯერ 10-15 გოჯი სისქე აქვს.

ამ უკანასკნელ დროს ბზის ტყეები ძალზე გაიჩეხა აქეთკენ, რა თქმა უნდა, ამიტომ თვით საქონელიც გაძვირდა. ამ ათისა და თხუთმეტი წლის წინათ ფუთი ბზა პირველი ხარისხისა ოთხ აბაზად და მანეთად რომ იყიდებოდა, ახლა იგივე ფუთი ორ მანეთად და მეტადაც ფასობს ალაგობრივ. მაინც ყოველწლიურად აფხაზეთ-სამურზაყანოდან, თუ მეტი არა, 40.000-50.000 ფუთი ბზა გააქვთ საზღვარგარეთ.

მდინარე ბზიფიდან მე-4 კილომეტრზე სოფელი კალდახვარაა. გზის პირას, ერთი მხრით, ეკლესია დგას ხისა, მეორე მხრით, რამდენიმე დუქანი, მეგრელთა და აფხაზთა მოსახლეები. იმის ცოტა მოშორებით, სოფლის ბოლოს, დიდი მთავრის, ალექსანდრე მიხეილის ძის, მამულია, თავად გიორგი ერისთავისაგან ნაყიდი. შემდეგ – მე-19 კილომეტრიდან იწყება მამული პრინც ოლდენბურგისა და აქედანვე იწყება თვით გაგრაც, რომელიც ეს ორი-სამი წელიწადია, რაც გაშენდა და რომლის შესახებაც ამდენს ლაპარაკობენ ყველგან.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ყოველკვირეული ამბები აფხაზეთიდან

რა იწვევს დიდ აჟიოტაჟს აფხაზეთში?

ახლახანს ევრაზიის ინსტიტუტს ცნობილი ქართველი ჟურნალისტი, ბატონი თენგიზ პაჭკორია დაუკავშირდა, რომელიც რიგი **„ექსპერტებისგან“** განსხვავებით, აფხაზეთს ყურმოკვრით არ იცნობს. მით უმეტეს, მას, აფხაზეთიდან დევნილს, ვერავინ დასწამებს, რომ საქართველოს ერთიანობის თემა ვინმეზე ნაკლებად ადარდებს. ბატონმა თენგიზმა მხარდაჭერა გამოხატა ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელის, გულბაათ რცხილაძის მიერ ტელეკომპანია **„იმედის“** ეთერში 8 მარტს გაჟღერებული პოზიციის ძირითადი პოსტულატების მიმართ. კერძოდ, ბატონი თენგიზი აღნიშნავს, რომ საქართველოს 1993 წლის შემოდგომაზე კი არ უნდა მიეცა თანხმობა რუსეთისთვის **დსთ**-ში შესვლაზე, როდესაც სოხუმი დაეცა და ყველაფერი დამთავრებული იყო, არამედ დროულად, ამ მოვლენაზე ბევრად ადრე. გარდა ამისა, წარმოუდგენელია აფხაზებთან ურთიერთობების დარეგულირება, რუსეთთან ურთიერთობების მოგვარების გარეშე.

ზუსტად ეს პოზიცია აქვს მრავალგზის გამოხატული ევრაზიის ინსტიტუტს, მის ხელმძღვანელს, წლების მანძილზე. შედარებისათვის გთავაზობთ ბატონი თენგიზ პაჭკორიას მოსაზრებას, რომელიც მან მე-9 არხზე, გადაცემა **„ახალკაცის მატრიცა“**-ში გამოხატა. კერძოდ, აფხაზეთიდან დევნილი ჟურნალისტის განცხადებით (შესაბამისი მაგალითების მოხმობით), აფხაზეთში დიდ აჟიოტაჟს იწვევს თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობების მოგვარების პერსპექტივა. რა თქმა უნდა, რუსეთი უკან არ წაიღებს აფხაზეთის აღიარებას, მაგრამ გარკვეულ ეტაპზე რუსები უშვებენ იმის შესაძლებლობას, რომ შედგეს მოლაპარაკება ქართველებთან ერთიანი სახელმწიფოებრივი სივრცის შექმნის შესახებ, თუკი აფხაზებიც თანახმანი იქნებიან. ამგვარი პერსპექტივა აფხაზების დიდ ნაწილს დღესდღეობით არ ხიბლავს, თუმცა აფხაზეთში არსებობს ამის საპირისპირო მოსაზრებებიც. მთავარია, არსებობდეს გარკვეული **„ჩონჩხი“** რუსულ-ქართული ურთიერთობების დარეგულირების საფუძვლად – განაცხადა თენგიზ პაჭკორიამ.

საქინფორმი

აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მოსკოვის სამუშაო ვიზიტის შედეგები შეაჯამა

აფხაზეთის პრეზიდენტმა ალექსანდრე ანქვაბმა სპეციალური თათბირი მიუძღვნა მოსკოვში რამდენიმედღიანი სამუშაო ვიზიტის შედეგების განხილვას. თათბირს ესწრებოდნენ აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტი მიხეილ ლოგუა, აფხაზეთის პარლამენტის სპიკერი ვალერი ბგანბა, უშიშროების საბჭოსა და მინისტრთა კაბინეტის წევრები.

ბატონმა ალექსანდრე ანქვაბმა დაწვრილებით ისაუბრა აღნიშნული ვიზიტის შედეგებზე.

რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივან პატრუშევთან შეხვედრისას განხილულ იქნა საკითხთა ფართო წრე, რაც ქვეყნის უსაფრთხოებას უკავშირდება.

“მივედით იმ დასკვნამდე, რომ ჩატარებულია დიდი ერთობლივი სამუშაო. უწყებათა ურთიერთშეთანხმებული მუშაობა იმის დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს, რომ დღეს აფხაზეთი საიმედოდაა დაცული”, – განაცხადა ალექსანდრე ანქვაბმა.

შეეხო რა სრულიად რუსეთისა და მოსკოვის პატრიარქთან შეხვედრის დეტალებს, ანქვაბმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეხვედრა ღია და გულწრფელი იყო.

“მისმა უწმინდესობამ ამომწურავი ინფორმაცია მიიღო აფხაზეთში მიმდინარე რელიგიური პროცესების შესახებ”, – აფხაზეთის პრეზიდენტმა.

ანქვაბმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ უფრო უნდა გააქტიურდეს მუშაობა სასულიერო სფეროში, რათა აუცილებლად აღმოიფხვრას სასულერო პირთა შორის არსებული კონფლიქტი. რა თქმა უნდა, ეს საკითხი მოგვარებადია, თუ მასში ჩაერევიან ორივე ქვეყნის მღვდელმთავრები...

რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროს სერგეი ივანოვთან შეხვედრაზე დიდი ყურადღება დაეთმო ერთობლივი კომპლექსური გეგმის პროექტთა რეალიზაციის საკითხთა კონკრეტიზირებას, რომელთა ფინანსური უზრუნველყოფა ყოველგვარი წინააღმდეგობების გარეშე მიმდინარეობს.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან ვლადიმერ პუტინთან შეხვედრა ალექსანდრე ანქვაბმა დაახასიათა როგორც მეგობრული და კონსტრუქციული.

გადაწყდა, რომ აღნიშნული ვიზიტის შედეგები განხილულ იქნას აპრილში, მთავრობათაშორისი კომისიის სხდომაზე.

აღნიშნულის თაობაზე ვრცელ ინფორმაციას აქვეყნებს აფხაზეთის პრეზიდენტთან არსებული საინფორმაციო სამმართველო.



გვერდში გამოყენებულია “საქინფორმის” და აფხაზეთის საინფორმაციო სააგენტო “აფსნი პრესის” მასალები

გთავაზობთ მკითხველთა გამოხმაურებებს ინტერნეტსაიტზე “GEWORLD.GE” რომლებიც მოჰყვა ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუს: “ივანიშვილის მოღვაწეობა დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს, იგი ღირსეულად იქცევა”

ის,რაც დღეს ხდება ქვეყანაში, ეს არის საბოტაჟის აშკარა ნიშნები!

კურდღელი სააკაშვილი და მისი **“ნაც”არა** ბაჭიები ყველაფერს კადრულობენ იმისათვის, რომ კვლავ ხელისუფლებაში დაბრუნდნენ, რისთვისაც მზად არიან მიმართონ ყოველნაირ პროვოკაციას! მათ არად უღირთ,რომ ქვეყანა ღრმა ქაოსში ჩაძირონ, საამისოდ კი ნიადაგი მოსინჯეს, რომ ბასტიონები შეექმნათ სამეგრელოში,სამცხე-ჯავახეთში და სხვა რეგიონებში. სააკაშვილისა და მისი საძაგელი ნაცების მიზანს წარმოადგენდა არა საქართველოს გაძლიერება, არამედ პირადი გამდიდრება და ქართველი ხალხის გაღატაკება, რის შემდეგაც იოლი იქნებოდა საქართველოს სრული კოლაფსი და განადგურება!

ამიტომ. მინდა გავართხილო ბიძინა ივანიშვილი და **“ქართული ოცნება”,** რომ ფრთხილად იყვნენ და ვიდრე დროა, ისტორიის სანაგვეზე გაუშვან მიშა და მისი ბაჭიები.

ამავე დროს,თუ ახალი ხელისუფლების პირობებში,საქართველოს გამთლიანებასა და მის ჭეშმარიტ დემოკრატიაზე ვართ ორიენტირებულები,ხელი უნდა შევუწყოთ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას, რათა მან საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა.

ავტორი: **ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲘ.**

თუ პიროვნებას, ხალხს, სახელმწიფოს არ გააჩნია სწორი რელიგიური და ეროვნული იდეოლოგია, მაშინ, სახელმწიფოს მიერ გამოვლენილი ლიბერალიზმი აუცილებლად მტრების სასარგებლოდ იმუშავებს და, შინაგანად, მთლიანად დაანგრევს ქვეყანას. იგი უბიძგებს საზოგადოებას ფსევდოდემოკრატიისა და ცრუ თავისუფლებისკენ, გააუფასურებს ეროვნულ ღირებულებებს, დაარღვევს ფორმასა და შინაარსს სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა.

უგუნური ლიბერალიზმი,როგორც წესი, სათავეა მრავალი ნეგატიური მოვლენისა, მათ შორის კორუფციის,დანაშაულთა გამრავლების, საერთო მიშვებულობის და განუკითხაობის.

ეს სიგლახე არასოდეს აკლდათ ნაცებსა და მათ **“ბელად”** სააკაშვილს, ახლა კი კვლავ ცდილობენ ფრთების გაშლას და საზოგადოებაში ამ მანკიერებათა რესტავრირებას!

ამიტომ, საქართველოს პრეზიდენტად უნდა ავირჩიოთ ბატონი ალექსანდრე ჭაჭია, რომელიც პრინციპული პოლიტიკოსია და სათანადოდ აზღვევინებს სააკაშვილსა და მის ავადსახსენებელ ბანდას, მრავალგზის ჩადენილი არაკაცობისათვის!!!

ავტორი: **ᲔᲠᲔᲙᲚᲔ.**

გეთანხმებით! პრეზიდენტი პარლამენტმა უნდა აირჩიოს და ეს უნდა იყოს ადამიანი, რომელიც, ძირითადად, კონფლიქტების მოგვარებით იქნება დაკავებული და დაბალანსებს ქვეყანაში ზოგჯერ ქაოტურად მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. მითხარით, სხვა ვინ გეგულებათ, საქართველოში, ამ საქმეთა ისეთი აღმასრულებელი, როგორიც გახლავთ ბატონი ალექსანდრე ჭაჭია?

ავტორი: **ᲑᲘᲙᲔᲜᲢᲘ.**

მე გალელი არ ვარ, ოჩამჩირელი ვარ, ბატონი ალექსანდრეს მეზობელი ვიყავი და ვიცნობ მას, როგორც უაღრესად პატიოსან და განათლებულ ადამიანს. როგორც მე ვიცი, აფხაზებიც დიდ პატივს სცემენ! ამიტომ, დღეს სწორედ ასეთი ადამიანები ჭირდება ჩვენს ქვეყანას. იგი ვალდებულიც კი არის, რომ ჩრდილიდან გამოვიდეს და კენჭი იყაროს საქართველოს პრეზიდენტად!

ავტორი: **ᲑᲣᲠᲘ.**

კარგია, მართლა მაგარია ალექსანდრე ჭაჭია... მომწონს ასეთი კაცი. ჩვენ კი წლების განმავლობში ძალის გამოყენებით გვამდერებდნენ მართლაც სულელ სააკაშვილზე – **“მიშა-მაგარია”**-ო!

ავტორი: **ᲗᲐᲛᲗᲐ.**

სიმპატიური კაცია, მაგრამ, ვერ გავიგე, აქამდე სად იყო? თუ ასეთი ამბები იცოდა და ხვდებოდა რომ ჩვენთან ამგვარი საშინელებები ხდებოდა,რატომ დროზე არ ჩაერთო ქვეყნის გადარჩენის პროცესებში?

თუმცა, არც ახლაა გვიან, რადგან საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ჩიხიდან გამოყვანას დიდი ძალისხმევა სჭშირდება, რაშიც ყველა ქართველმა უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა.

ისე იდეები კარგი აქვს, ჩემმა მზემ!

ავტორი: **ᲔᲠᲝᲡᲘ.**

ერთი, ეს მაინტერესებს: პარლამენტი რომ აირჩევს პრეზიდენტს, რა არის ამაში ცუდი? თუ პრემიერ-მინისტრი სახელმწიფოს მეთაური იქნება, ხოლო პრეზიდენტი საგარეო საკითხებს დაარეგულირებს, ასეთი ორხელისუფლებიანობა არა ჯობია იმ ორხელისუფლებიანობას, რომელიც ნაძირალა სააკაშვილმა და მისმა ბანდის ნარჩენებმა მოახვიეს თავზე საქართველოს? ამიტომ არის აუცილებელი, რომ საქართველოს მართვის სადავეებთან მოვიდნენ ჭაჭიასნაირი პრინციპული და მიუკერძოებელი პოლიტიკოსები, რომლებიც საკუთარ ინტერესებზე მაღლა საქართველოს ინტერესებს დააყენებენ?!

ავტორი: **ᲑᲘᲙᲘ..**

“თუ სამართლიანი ხარ და კაცთმოყვარე, მაშინ ყველაფერი ხარ, სავსე კაცი ხარ, იმიტომ, რომ იღვაწებ და იმოქმედებ შეძლებისამებრ, რადგანაც უქმად ყოფნის ნებას, გრძნობა სამართლიანობისა, არ მოგცემს ამ წუთისოფელში...”

ილიას ეს სიტყვები ნამდვილად უხდება ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას!

რა მართალია ეს კაცი.

ავტორი: **ᲑᲔᲭᲐ**

რეალობიდან გამომდინარე, ალბათ, ამ პრობლემებს სწრაფად არ მოევლება, მაგრამ მაინც უნდა ვცადოთ. ოღონდ ჯერ ეს არაქართველი მოძალადები მოვიშოროთ თავიდან, საქართველოს ჭაობში ჩაფლვას რომ ესწრაფვიან! მერე კი ივანიშვილს და ჭაჭიას უნდა დავეხმაროთ საქართველოს გამთლიანებისა და აღმშენებლობის საქმეში!

ავტორი: **ᲙᲝᲙᲐ.**

საქართველოს დღეს პატრიოტი პრეზიდენტი სჭირდება, სწორედ ისეთი პირუთვნელი და პატიოსანი პოლიტიკოსი, როგორც ბატონი ალექსანდრე ჭაჭიაა!

ავტორი: **ᲔᲙᲐ.**

მაგარი სიმპატიური ვინმეა! პრეზიდენტადაც ასეთი სახენათელი კაცი გვინდა და არა მიშასავით დორბლიანი ნარკომანი და მექალთანე...

ავტორი: **ᲑᲘᲑᲘ.**

კარგია, და მომავალზე ორიენტირებულია... არ მეგონა, რომ ასე რეალურად მოაზროვნე პოლიტიკოსი კიდევ არსებობდა ჩვენს პოლიტიკურ სივრცეში!

ავტორი: **ᲚᲘᲚᲣ.**

მომხრე ვარ, რომ საპრეზიდენტო არჩევნები, არა საერთო სახალხო არჩევნებით, არამედ, პარლამენტის მიერ იყოს არჩეული და ახალი პრეზიდენტი ძირითადად საგარეო პოლიტიკური კურსის და ქვეყნის საგარეო ორიენტაციის დაბალანსებით იყოს დაკავებული... და კიდევ ერთი – არც ერთი ძველი დისკრედიტირებული სახე პრეზიდენტად!!! ჩვენ გვინდა პრეზიდენტი დაბრძმედებული და ქვეყნის გაერიანებისკენ ორიენტირებული, ასევე აფხაზებისთვისაც და ოსეთისთვისაც მიღებული

ავტორი: **ᲗᲔᲓᲝ.**

სააკაშვილმა და მისმა **“ნაცმა”** ნაძირალებმა პატრიოტობას მთლიანად გამოაცალეს სარჩული და სულ სხვა მცნებად აქციეს. ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას მსჯელობაში კი ნამდვილი პატრიოტიზმი და სამშობლოსადმი გულისტკივილი იგრძნობა.

ამიტომ არის აუცილებელი,რომ ჭაჭიამ საქართველოს პრეზიდენტად წამოაყენოს საკუთარი კანდიდატურა. მის გამარჯვებაში ეჭვი არავის გვეპარება!

ავტორი: **ᲓᲐᲗᲝ.**

კარგი ინტერვიუა, საინტერესოდ აზროვნებს ჭაჭია, ბევრ რამეში ვეთანხმები.

ავტორი: **ᲜᲣᲙᲠᲘ.**

ბოლო დროს, საქართველოს და ქართველ ერს, ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის მიერ არაქართული სულის აღზევების შედეგად,პატრიოტული სულისკვეთება ძალიან მოაკლდა. ჭაჭიას აღნიშნული ინტერვიუ კი აშკარად გაჟღენთილია პატრიოტული სულისკვეთებით.

ავტორი: **ᲫᲐᲚᲐᲫᲔᲚᲘ.**

სრულიად ვეთანხმები ლილუს. საქართველოს პრეზიდენტად დისკრედიტირებული სახე არ უნდა იქნეს არჩეული! პირიქით, იგი ახალი ფიგურა უნდა იყოს და, რაც მთავარია, ჯანსაღად აზროვნებდეს. ასეთ ფიგურად კი,დღეს,მხოლოდ ბატონი ალექსანდრე ჭაჭია შეიძლება იქნას აღიარებული!

ავტორი: **ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲚᲘ.**

ჩვენთან, მარტვილის რაიონში, დიდ პატივს სცემენ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას! იგი უაღრესად მოზომილი, ჭკვიანი და ერუდირებული პოლიტიკოსია, რომლის ყოველი ნაბიჯი, დიდი ხანია, ცნობილია ქართული საზოგადოებისათვის. მე მისი წიგნი მაქვს წაკითხული და სტატიებსაც ხშირად ვკითხულობ. ამიტომ,მიმაჩნია,რომ ის აქ უნდა იყოს და აქტიურად მონაწილეობდეს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მან აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა საპრეზიდენტო არჩევნებში!

ავტორი: **ᲮᲐᲗᲝ.**

უკუნი ღამეა, მაგრამ ძალიან დამაინტერესა და სულის ერთი მოთქმით წავიკითხე ბატონი ალექსანდრეს ინტერვიუ. ძალინ ნასიამოვნები და გახარებული ვარ, რადგან თვალისმომჭრელი სინათლე დავინახე ამდენ სიბნელეში! ამიტომ მიმაჩნია აუცილებლად,რომ ბატონმა ალექსანდრემ კენჭი იყაროს საქართველოს პრეზიდენტად. დანარჩენს კი ქართველი ხალხის გადაწყვეტს!

ავტორი: **ᲑᲘᲙᲐ.**

ადამიანთა სამგვარი კატეგორია არსებობს: ერთნი ემსახურებიან ღმერთს, იმიტომ რომ უკვე იპოვეს ჭეშმარიტება; მეორენი ეძებენ ღმერთს, იმიტომ, რომ, ჯერ არ უპოვიათ; მესამენი – არც ეძებენ და ვერც ვერასოდეს იპოვნიან!

პირველნი ბედნიერნი არიან და კეთილგონიერნი; მეორენი – უბედურნი, მაგრამ მაინც კეთილგონიერნი; მესამენი – უბედურნი და უკეთურნი.

აი, ზუსტად, პირველი კატეგორიის ადამიან-მოღვაწეები გვაკლია დღეს საქართველოში, მაგრამ ალექსანდრე ჭაჭია,ამ მხრივ,აშკარა გამონაკლისია. იგი ჭეშმარიტებასთან ახლოა,ესე იგი ღმერთთანაც ახლოს დგას!

ავტორი: **ᲜᲣᲜᲣ.**

თავმდაბალი ადამიანი ყველაფერს მიაღწევს,ამაყი და კადნიერი კი ყველაფერს დაჰკარგავს: თავმდაბლობას საქმე ყოველთვის ღირსებასთან აქვს, სიამაყეს კი – შურთან. ჭაჭია ზუსტად ასეთი თავმდაბალი ადამიანია. ამიტომ, იგი ყველაფერს მიაღწევს....

ავტორი: **ᲨᲐᲚᲘ.**

არ მესმის, რა არის პრეზიდენტის არჩევა პარლამენტის მიერ, ან სხვანაირად, და საერთოდ, უკანასკნელ ორ არჩევნებზე არც საერთოდ წავსულვარ, და არც შემდეგზე ვაპირებდი წასვლას,მაგრამ თუ ეს ადამიანი იქნება საპრეზიდენტო კანდიდატი, ნაღდად წავიდოდი არჩევნებზე.

მაგარი სიმპატიური და განათლებული ადამიანია, ზუსტად ისეთი, როგორიც დღეს ჰაერივით სჭირდება სრულიად საქართველოს!

ავტორი: **ᲙᲝᲙᲝ.**

გეოპოლიტიკის საინტერესო გაკვეთილი ჩაგვიტარა! მართლაც რა მაგარი მოაზროვნე ყოფილა. ერთხელ, პრესაში წავიკითხე მაგის საპროგრამო განაცხადი და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ეს ნიჭიერი ადამიანი სახელმწიფოებრივად აზროვნებს,რისი დეფიციტიც აშკარად გაჩნდა შევარდნაძე-სააკაშვილს, მათი ტირანული მმართველობის ავბედით დროში!

ავტორი: **ᲢᲘᲢᲔ.**

არავის იმედი არ მაქვს! ვინც კი ავირჩიეთ, ყველამ უღალატა საქართველოს – ავადსახსენებელი ედუარდ შევარდნაძით დაწყებული და მიხეილ სააკაშვილით დამთავრებული, ივანიშვილი კი ჯერჯერობით ნაცებს ვერ უმკლავდება, რადგან იგი კანონის ძალით მოქმედებს, სააკაშვილს და მის ბანდას კი კანონი და წესი ფეხებზე ჰკიდიათ!

საქართველოს დღეს მეტი სიმკაცრისა და პრინციპულობის გამოჩენა სჭირდება ფაშისტი სააკაშვილისაგან დასაცავად. ამიტომ არის აუცილებელი, რომ ჭაჭია ავირჩიოთ პრეზიდენტად,რათა ივანიშვილთან ერთად გაწმინდოს საქართველო ნაციონალური ნაგავისაგან!

ავტორი: **ᲕᲐᲜᲝ.**

საერთოდ, საჭირო არის, რომ ნორმალური პრეზიდენტი ჰყავდეს ამ ქვეყანას, და არა სააკაშვილისთან ნარკომანი და ავყია ადამიანი, რომელსაც ელემენტარული ადამიანური ტაქტი არ გააჩნია!

ამიტომ, უმჯობესია საქართველოს პრეზიდენტად ავირჩიოთ ასაკოვანი პიროვნება, რომელსაც არ იქნება მანიაკალური ლტოლვა დიქტატურისკენ.

სააკაშვილისთანა კიდევ ერთ შეშლილ და უწესო პრეზიდენტს საქართველო ვეღარ გადაიტანს! ამიტომ არის აუცილებელი, რომ საქართველოში მომრავლდნენ ჭაჭიასნაირი პოლიტიკოსები!

ავტორი: **ᲑᲔᲜᲝ.**

იმ ქართულ **“ოცნებას”**, რასაც ცხრა წლის განმავლობაში მეთოდურად და მიზანდასახულად გვაშორებდნენ ქვეყნის მოღალატე მიხეილ სააკაშვილი და მისი უბოროტესი თანამზრახველები, ერთ წელიწადში დაგვაახლოებს ბატონი ალექსანდრე ჭაჭია!

ამიტომაა აუცილებელი, რომ მან კენჭი იყაროს საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე!

ავტორი: **ᲓᲘᲖᲘ.**

მხოლოდ ალექსანდრე ჭაჭია – საქართველოს პრეზიდენტად, და არა სხვა ვინმე!

ავტორი: **ᲨᲐᲛᲨᲔ**

მაიას ტომის წინასწარმეტყველება – “2000 წელს წარღვნის შედეგად მსოფლიო განადგურდება” – ახდა!

დარწმუნებული ვარ, მკითხველი გაოგნდება ამ სათაურის წაკითხვის შემდეგ, არც ისაა გამორიცხული, რომ ამის ავტორს, ანუ მე გიუადაც ჩამთვლიან, თუმცა მერწმუნეთ, სტატიის წაკითხვისთანავე შეიცვლით აზრს. და მაინც:

– რა შუაშია წარღვნა?! ან როდის მოხდა ის?! ან ჩვენ როგორ გადავრჩით?!

საქმეც ის არის ჩემო ძვირფასებო, რომ წარღვნა მართლაც მოხდა, თუმცა ეს წარღვნა, 2000 წელს, ადამიანების სახით მოგვევლინენ და მსოფლიოს განადგურებას დღემდე არ ეშვებიან, მსოფლიოში კი მართლაც რომ მსოფლიო ენებს, მეგრულ-ლაზურ-ჭანურს, ხოლო ამ ენებზე თავსდამტყდარ **“წარღვნაში”** მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძეს, **“მეცნიერ”** ტარიელ ფუტკარაძეს, აფხაზური ენის **“სპეციალისტ”** თეიმურაზ გვანცელაძეს, ჯაბა იოსელიანის და ასევე მისი ყოველი მოსაზრების მიმდევარ როზეტა გუჯეჯიანს, ერთ დროს ჭანურის ენად მქადაგებლის და აწ უკვე ჭანური დიალექტის სპეციალისტ რევაზ შეროზიას და ასევე **“ენათმეცნიერ”** მანანა ტაბიძეს ვგულისხმობ. ეს ექვსი ადამიანი ძალ-ღონეს არ იშურებს ამ ენების გასანადგურებლად, რატომ, რისთვის და ვისი დავალებით იღვწიან, დღემდე გაურკვეველია, თუმცა...

“ხემ თქვა: – ცული მე რას დამაკლებდა, შიგ ჩემი გვარისა რომ არ ერიოსო”...

ბ-ნი რევაზ შეროზია, ადამიანი, რომელიც ჭანური ენის სპეციალისტი იყო, ადამიანი, რომელიც უმაღლეს სასწავლებლებში მეგრულ-ლაზურ-ჭანურ ენებს ასწავლიდა, ერთ, ვაი მისთვის და ვუი ჩვენთვის, დღეს ტარიელ ფუტკარაძეს, უფრო სწორედ, ანანია ჯაფარიძეს და ანანისტებს რაც დაუმეგობრდა, მას შემდეგ წყევლის ენაზე ალაპარაკდა.

რა მოხდა ნეტა?! დაუმეგობრდა კი?! ან იქნებ...

როგორ შეიძლება ვირწმუნოთ, რომ კაცი, დაბადებიდან ამათ გაცნობამდე, ამ ღვთიურ ენებს ენებად თვლიდა და არც თუ ისე პატარა ასაკში აზრი შეიცვალა და დღეს დიალექტს უწოდებს? რა პასუხს გასცემს ეს ადამიანი თავის ნასტუდენტართ, რომ არაფერი ვთქვათ დანარჩენ მეგრელებზე, რომელთაც მან ამ თავისი საქციელით გული გაუტეხა?! რაღაც ავისმომასწავებლად ყარს ეს ბანდა და მათი შიდა სამზარეულო.... როგორ მინდა ვცდებოდე, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ასე არ არის!..

“ქართლის ცხოვრების” ამაზრზენი სიცრუე, რომელმაც ზოგადად ქართული ცნობიერება რომ ერთ ადგილზე გაყინა, როგორ დავიჯერო, რომ ეს სიცრუე ვერ შეამჩნიეს ქართველმა მეცნიერებმა?! რა თქმა უნდა, შეამჩნიეს ძალიან კარგად, და ივანე ჯავახიშვილმა ლეონტი მროველის ცნობებს უნდობლობაც გამოუცხადა. მაშინ, რა მოხდა? ბოლომდე რატომ არ იქნა უარყოფილი ლეონტი მროველის ზღაპრები? არის ერთი მიზეზი – უძველესი ცნობით, მეგრული ენა, ქურუმების შექმნილი, რომელიც პირველი იყო, როგორც ენათა “ქრისტიანული რედაქტირება” და მეორე მიზეზი – შური, რომელიც დღემდე არ ასვენებს კოლხურ ფენომენს, ვაი ქართველებისგან, უფრო სწორედ, ნასომხარი ქართველებისგან. სხვაგვარად აუხსნელია ჩემთვის, ჭეშმარიტ ქართველს, რატომ უნდა აწყობდეს საკუთარი კულტურის დამცრობა-ნიველირება!..”

– ბატონო რევაზ, ეს სიტყვები თქვენს ერთ-ერთ ნასტუდენტარს ეკუთვნის და იქნებ გაგეცათ პასუხი, განა თქვენ არ ასწავლიდით მას მეგრულ-ჭანურს როგორც ენებს?! განა თქვენი ახალი მეგობრების წყალობით არ შეწყვიტეთ უმაღლეს სასწავლებლებში ამ ენების სწავლება?! ვაი, ბატონო რევაზ, მართლაც რომ, ვაი, **“ბრუია ბონდოშ” არიკიქ ქუგაღოლესნ, ქო დო, გურ ბჭყორდუ თეშენი!!!**

2000 წელს აპოკალიფსს გადარჩენილი მსოფლიო, თუმცა ანანისტებს შეწირული მეგრელები და მეგრული ენა!!!

მიტროპოლიტი ანანია, ლეონტი მროველის მიმდევარი, არმენების მფარველი **“ანგელოზი”**, მეგრელების დაუძინებელი მტერი, ანაფორას ამოფარებული წარღვნა!!!

ნეტა ეს კაცი მიტროპოლიტი რომ არის, ნუთუ არ იცის, რომ ხალხს, თავისი ქადაგებებით, ცოდვაში აგდებს?! ან საპატრიარქოში რომ მოუწყვია თავისი შავ-ბნელი საქმიანობისთვის ბუნაგი, დავიჯერო პატრიარქმა არ იცის, რა ხდება საპატრიარქოში?! და თუ არ იცის, რატომ არ იღებს ხმას? განა საპატრიარქოდან არ გვგესლავენ ეგ ურჯულოები?! განა ფუტკარაძე არ ტრაბახობს იმ ფაქტით, რომ **“საპატრიარქო სრულად იზიარებს მათ აზრს და მხარდაჭერასაც გვპირდებაო”**, განა ფუტკარაძეს არ ახარებს ის, რომ ჩვენ, თურმე მათი **“ჭკუით” “ახლადაღმოცენებული კუთხისტები საპატრიარქოსთან დაპირისპირებას რომ არ ვერიდებოდეთ აქამდე გადავუვლიდით”?!** მართალია, ჩვენ თქვენგან განსხვავებით ღმერთს არ ვუპირისპირდებით, ჩვენ სარწმუნოებას არ ვუპირისპირდებით და არ ვსპეკულირებთ მისით, ჩვენ უწმინდესს არ ვუპირისპირდებით, უწმინდესში მარტო პატრიარქს კი არა, ჩვენს ენებსაც ვგულისხმობ, რომელთაც თქვენ გვიკნინებთ, თუმცა, ნურც თქვენ დაივიწყებთ იმას, თუ რატომ დაანგრია მაცხოვარმა მევახშეებით და ფარისევლებით გატენილი ტაძარი. არა მგონია, ჩემი ენის, ჩვენი ენების, თუნდაც საპატრიარქოსგან დაცვა ცოდვაში ჩაეთვალოს ვინმეს, და თუ კი მხილება ცოდვაა, და თუ კი ამის გამო რომელიმე სასულიერო პირს ძალუძს ვინმეს ანათემაზე გადაცემა, დაე ვიყო ეს მე, მაგრამ დაფიქრდით: **“წყევლამ თქვაო: ვაი იმას ვინც უმისამართოდ გამგზავნის, უკან ორმაგად მოვუბრუნდებიო”...** სანამ ანათემას გადამცემდეთ თქვენ ვისგან ხართ დაწყევლილები?! განა, რასაც თქვენ სჩადიხართ, შეიძლება მადლიანმა ადამიანმა ჩაიდინოს?! განა პატრიარქს და საპატრიარქოს სულიწმიდის მადლით შემოსილი ადამიანი მოსცხებს ჩირქს?!

არა!!!

თუ თქვენ არ იცით, გეტყვით, რომ თქვენ თვით ღმრთისაგან ხართ დაწყევლილები და ანათემას გადაცემულნი, რამეთუ ენას მისსას აკნინებთ, ანადგურებთ, ბილწავთ და ამას ყოველივეს სჩადიხართ გააზრებულად, სიძულვილით, შურითა და ღვარძლით. თქვენ არანაირი უფლება არ გაქვთ ანაფორა გეცვათ, ხოლო უფლებას მე არ მოგცემთ ენა წამიბილწოთ!!!

– ჰოი **“დიდო”** მიტროპოლიტო ანანია, დარწმუნებული ვარ, თქვენ და თქვენმა ელმაძგვიბინე ამფსონებმა **“ქართლის ცხოვრება”** ზეპირად იცით და ემხრობით მროველის ნაბოდვარს. **“მოსე ხორენელის ისტორიას, მართლაც რომ შესამჩნევი გავლენა მოუხდენია ჩვენს მემატიანეზე: მას მიუცია იმისთვის, როგორც ფარგლები და გეგმა მისი ისტორიული შრომისა, ისე რამდენადმე შინაარსი და ზოგიერთი დეტალები”.** კორნელი კეკელიძემ ეს მროველზე თქვა, თუმცა თქვენ არანაკლებ გეხებათ, რამეთუ თქვენც ხორენელისეული მროველის მსხვერპლ-მიმდევარი ხართ. თქვენი ყოველი თეორია საფუძველშივე მცდარია, ამავე დროს სახიფათო და შუღლის ჩამომგდებია, თუ რატომ? ამას ახლა შევეხები:

თქვენი მთავარი ლაფსუსი მდგომარეობს იმაში, რომ მას ჭეშმარიტად და უტყუარ წყაროდ მიიჩნევთ. ლეონტი მროველის **“ქართლის ცხოვრებას”** მაშინ როდესაც იგი ივანე ჯავახიშვილსაც არ ეპიტნავება, სიმართლის გასარკვევად, თქვენ არად აგდებთ იმ ფაქტს, რომ **“ქართლის ცხოვრება”** მუდმივად იცვლებოდა, ისე როგორც ამას მოისურვებდა ახლად სამეფო ტახტზე აღზევებული მონარქი. თქვენთვის თითქოს, ინტერპოლაცია და ინტერპოლატორები საერთოდ არ არსებობდნენ! **“ქართლის ცხოვრება”** სახელმძღვანელო და გზამკვლევიც გაგხდომიათ. ეს განგებ და მიზანმიმართულად ხდება თუ არა, სხვა საკითხია. აქ მთავარი ისაა, რომ თქვენს მიერ ამ წიგნიდან დამოწმებული ფაქტები სიყალბეა. როდესაც სხვების გაყალბებაზე საუბრობთ სასულიერო პირი, კარგი იქნება, საკუთარ თეორიასაც გადაავლოთ გონების თვალი და მიხვდებით იმ სიცრუის უსაფუძვლობას, რომელსაც ლიბო და საძირკველი არ გააჩნია. ასეა თუ ისე, ოდნავ საქმეში ჩახედულმა ადამიანმა იცის, რომ ლეონტი მროველი არსად იხსენიებს კოლხეთს, მისთვის კოლხეთი თითქოს უცნობია. ასევე არ იხსენიებს იბერიას. საინტერესოა, რატომ გამორჩა მემატიანეს ისეთი ტერმინები, როგორიცაა კოლხეთი და იბერია?! კოლხეთი, რომელზეც საოცარ ცნობებს გვაწვდიან ბერძენი ისტორიკოსები, დრამატურგები, პოეტები, შემდგომ კი მათ მხარს უბამენ ბიზანტიელი ისტორიკოსები. რა მოხდა? რატომ რჩება ყურადღების გარეშე ეს ამბავი **“ქართლის ცხოვრების”** ჟამთა აღმწერელს?! აქ არის სწორედ საძიებელი ის უმთავრესი ვერაგობა, რომელიც დღემდე გვსპობს ქართველ ერს, დღემდე მოგვყვება და აფერხებს ჩვენს ცნობიერ განვითარებასაც. ვინ და რატომ ებრძვის დღემდე კოლხურ-იბერიულ ფესვებს? თქვენთვის, **“დიდო”** მიტროპოლიტო, ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება ქართლიდან იწყება, თქვენთვის აიეტ კოლხთა მეფე ლეგენდაა, სამაგიეროდ ფარნავაზი ქართლის მეფედ გყავთ აღიარებული. სწორედ მროველის მიერ გადაგდებულ ანკესს წამოაგეთ მკვლევარები და ჩვენც გინდათ იგივე ანკესი ჩაყლაპოთ. თქვენი არაკომპეტენტურობა ამ ფაქტის აღიარებით იკითხება. ნუთუ არ იცით მკვლევარმა, რომ ფარნავაზი მცხეთის მამასახლისის სამარას დისწული იყო და მას სამეფო წოდება არ ჰქონია?! იმ პერიოდში, ქართლს არა თუ მეფობის ინსტიტუტი არ გააჩნდა, არამედ პოლიტიკურ ერთეულსაც არ წარმოადგენდა, ამიტომ ფარნავაზი არასდროს ყოფილა ქართლის მეფე, ქართლი შედიოდა იბერიის სამეფოში, მისი ერთ-ერთი განაპირა მხარე იყო, ესეც არა იმ უძველეს პერიოდში, არამედ უფრო გვიან. ფარნავაზის დროს იყო მხოლოდ მამასახლისობის ინსტიტუტი, სამარაც მამასახლისი იყო, ხოლო თუ ვირწმუნებთ ქუჯის არსებობას, მაშინ ქუჯი ეგრისის მთავარია, მეფეა და საკუთარი ჯარი და სახელმწიფოც გააჩნია. ამიტომ, თავად მროველის ცნობითაც შეუსაბამობაა, როდესაც ტყეში გავარდნილი კაცი მეფეს უკვეცავს ძალაუფლებას და მის ტერიტორიას კი თავის განმგებლობაში აქცევს; ეს მომენტები შეფარულად არის გადმოცემული, მაგრამ იგი მაინც ზედაპირზე დევს. თქვენ არც იმაზე ამახვილებთ ყურადღებას, თუ როგორ სიცრუეს ამკვიდრებს მროველი მაშინ, როდესაც ამბობს, რომ თითქოს ქართლში მაკედონელმა ილაშქრაო, სინამდვილეში კი ეს ასე არ არის და დამტკიცდა კიდეც, რომ დიდი სიცრუეა. ან ცნობა, რომელიც ასე გამოიყურება:

“და მისცა ქუჯის ქუეყანა, ეგრისს წყალსა და რიონს შუა, ზღვითაგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ”.

“ქართლის ცხოვრების” ეს ამონარიდი არ ეკუთვნის იმ პერიოდს, როდესაც ფარნავაზი მოღვაწეობდა, ეს გახლავთ XVIII საუკუნეში შემცირებული ოდიში, სწორედ ამ საზღვრებში იყო ოდიში მაშინ მოქცეული, ასე რომ, ლეონტი მროველის კალამს იგი არ ეკუთვნის. ასეთი გვიანდელი ჩამატებები მრავლადაა **“ქართლის ცხოვრებაში”** თუ **“ქართველ მეფეთა ცხოვრებაში”**. ამ კონკრეტული ცნობის სიცრუე იქიდანაც ირკვევა, რომ თურქი მოგზაური ევლია ჩელები სამეგრელოს სამხრეთ საზღვრად გონიოს ასახელებს:

“ლაზები მდინარე ჭოროხით სამეგრელომდე აღწევენ, რადგან გონიო სამეგრელოს მისადგომზეა”.

ნუთუ ასეთი ცნობები, მიტროპოლიტად წოდებულო ანანია ჯაფარიძევ, უხერხულობას არ გიქმნით?!

ეს არაა ყველაფერი, რისი თქმაც მსურს თქვენთვის:

ყურადღება უნდა მივაქციოთ, ასევე, იმ ფაქტს, რომ თქვენთვის ტაო-კლარჯეთი ქართლია და აცხადებთ ამას დიდი რიხით. სწორედ ის ვერაგობა უნდა გავარკვიოთ, რომ ქართლი არასდროს ყოფილა ტაო-კლარჯეთი, იგი სამეგრელო-ეგრისის შემადგენლობაში შედიოდა, სანამ ეს ტერიტორია ქართლს ნატყუარი ცნობებით არ მიაკუთვნეს და მესხეთს – უძველეს კოლხეთს – სამცხე-საათაბაგო არ უწოდეს, ამით მოხდა დასავლეთ საქართველოს კუთვნილი ტერიტორიის აღმოსავლეთად გადაქცევა. ამ ნატყუარ ცნობებს იმიტომ ეყრდნობით, რადგან კარგად იცით სად გაჩნდა დღევანდელი ქართული სალიტერატურო ენა, იგი შეიქმნა ტაოში და არა ქართლში, ისევ კოლხი მამების მეოხებით. ამიტომაც ცდილობთ ამ ფაქტების იგნორირებას.

თქვენი მეცნიერულ-ისტორიული **“მოღვაწეობით”** იმას ცდილობთ, როგორმე ქედი მოიხაროთ ლეონტი მროველის წინაშე, რადგან, როგორც მისი შეგირდი მოძღვარს ელოლიავებით. საერთო ჯამში, ძველიც და ახალიც ერთ საქმეს ემსახურებით, რათა მიიჩქმალოს კოლხური კულტურა და კოლხეთი, **“დიდო”** ანანია **Сафарян–ო!!!**

ხატია ჯანაშია

პოეზიის კუთხე

მუმა მუშენ გიოდვეს

ელნაფალას ცა ჯოხო დო
მიცორა დო მიცორდეს.
ქორთულ ნინა სკუა რე დო,
მუმაში ჯოხო გიოდვეს.
ცაშე ცენცუ ჯა დო ქუა
გურით ნარღიშ ბანდის ფხეშა.
მუმას ჯოხო ამდღა სკუა
ათე ფულირ ამბეში გეშა.
მასქერც ქიმკორულაფუ-დო,
სკუა განთხის გითმუღანცგ
მუმას იჯოგუანცგ-დო
სალამუსოს მიდმუღანც.
ელნაფალას ცა ჯოხო დო
მიცორა დო მიცორდეს.
ქორთულ ნინა სკუა რე დო,
მუმა მუშენ გიოდვეს.

ქინოფსკიდი თორსა, ჩირეს

ქინოფსკიდი თორსა, ჩირეს,
დო ფირქეფით ხან მოკორდუ.
ბრელ მოკოდგნ ბძირი ჭიჭე,
ჭიჭე ბძირინ, ბრელ მოკოდუ.
ვალიებე მიჩქუ ბრელცგ,
ცაშა გირძე შარა მებუ.
ვაწუცოთა კირიბ გერცგ,
შურ ინგარც დო მეჩიებუ.
არძა მიჩქუ სო რე ჭარა,
მიქ დინუ დო მიქგ მორთუ.
ქიმკოჭვებუ დიხას ქვარა,
ისოფუ დო იკილოთუ.
კურცხე რინა ნოკობუე,
უკმელა დო უჩა სერცგ.
მინ მონჭა რე, მინ კობუ რე,
მუკმოლუ დო მუკმოცენცგ.
უბენარი ცოფე ირო,
ლენიშფერ ცა – შურიში ონწე.
ჭვემათ მოულ, მინშა თირო,
ღორონთი არძა აკანც მორწყე.
ცას გეუნჯანქ ნოთე თოლეფც,
ეჭამებუ პეულც ჯინა.
გობჭყოლადუ მელენი, მოლენი,
მარა ართ დღას ქიგიბშინა.

ზაალ ჯალაღონია

ერჯიცალო ქივერკინათ

დიხას მუსხი ქიმთოდვესგ
ტან – ჩეჯა დო თოლი – გვირა,
წირდა, მუჭოთ წყარი წკონდა
გამბახეს სქვამი ცირა...

მუსხი ორე, მუსხი ორე
ჩილამურით თოლი ეფშა,
გილურს გურიგოსოფილი
მითინს ვაგარზინე თეშა...

დორაგვაფილ ომარგალეშ
მიდგას ვაკო წიმოდგინა,
მუშიანიშ გითმაჩამალს
ერჯიცალო ქივერკინათ!..

ქოღირუნო, ქომიწითი,
გოლანძღირო ჩქინი რინა,
ჯაბაშ უღუშ მუნოდგუმა
ვემიფთვინათ, ვემიფთვინათ!

ერჯიცალო, ერჯიცალო,
ბოშკოჩურო ქივერკინათ!..

სოხუმიშ გვალას

ჩე ვარდამი, მაგლონია,
ცა – სარკილი ბროლი...
– სქან ვორექ დო მუთ გოკონი...
მირაგადუდ თოლი...
ბორჯ მიკილ დო
– ჩქი გვალაშა
ჟი ეკულას,
გურკით მილარნალი
ეფშა მაფუ სიგარეტიშ
ფურკით...

მი ორე?

კოლხეთიში ჯვეშ დიხეფსგ
ჭიე-ჭიე გიმიჩანს,
ართის თქუანს, მაჟრას ფირქენს,
მასმას ორთ,გ იძიცანს...
ქიანას ცვილუნს შქირენით,
ჩე კიბირე უძიძგანს...

რამაზ კუპრა

2013 წლის 31 მარტს საქართველოს პირველი და ერთადერთი კანონიერად არჩეული პრეზიდენტი სულმნათი ზვიად გამსახურდია 74 წლის გახდებოდა

ავადსახსენებელმა ედუარდ შევარდნაძემ და მისმა **“პოლიტიკურმა კუდებმა”** ჯერ საქართველოს კანონიერი ხელისუფლება დაამხეს იარაღის ძალით, შემდეგ ქვეყნის კანონიერი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მოკლეს მიპარვით, ვერაგულად, ბანდიტურად. მორიგი მათი ვანდალური კამპანია გამორჩეული გახლდათ იმით, რომ ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ და მეთოდურად შლიდნენ და ანადგურებდნენ საქართველოს ტერიტორიებს, ეკონომიკას, საზოგადოებრივ მორალს, სულიერებას, ზნეობას, სამართლიან სოციალურ გარემოს...

მაგრამ, 2012 წლის ოქტომბერში, დასრულდა საქართველოს მუდამმოძულე სომეხ რეაქციონერთა მრავალსაუკუნოვანი მზაკვრული ჩანაფიქრი, თუმცა ქვეყნის ფერფლიდან წამოსაყენებლად ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი!

ისტორიისათვის არსებითად მნიშვნელოვანია ის, რომ 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენებს წინ უსწრებდა ეპოქალური მნიშვნელობის ძვრები საქართველოს ცხოვრებაში.

ქვეყანაში მიძინებულმა ეროვნულმა მოძრაობამ 1988-1990 წლებში გამოიღვიძა. საბჭოეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური **“გარდაქმნის”** კურსმა კი მნიშვნელოვნად დააჩქარა **“წმინდა იდეის”** სახით არსებული, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურება, რამაც თავის მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საბედისწერო როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის დაშლაში...

...1990 წლის 28 ოქტომბერს სრულიად საქართველოში მრავალპარტიული საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. ამ დღიდან არსებობა შეწყვიტა კომუნისტურმა მმართველობამ, რომელიც ქვეყანაში 1921 წლიდან დომინირებდა. ისმება კითხვა: რამ განაპირობა ხელისუფლების შეცვლა და ქვეყნის სათავეში ეროვნული ძალების მოსვლა? ვინ იყვნენ ისინი? რამდენად გამოხატავდნენ საქართველოს მოსახლეობის ნებას?..

...სადავო არ არის, რომ 80-იანი წლების მიწურულს ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი პოლიტიკური ძალები, რომლებიც ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გარდაქმნას მოითხოვდნენ, მაგრამ მათი მიდწევის გზები სხვადასხვა იყო.

ამ ხანებში, როგორც საქართველოში, ასევე მთელ საბჭოთა კავშირში იკვეთებოდა სხვადასხვა სოციალურ ფენათა ინტერესებიც. ორთოდოქს კომუნისტთა დაბნეულობამ, ლიბერალური მოძრაობის არამდგრადობამ და წვრილბურჟუაზიული ჯგუფების ერთგვარმა ნეიტრალიტეტმა ხალხის ცნობიერებაში ამოატივტივა ეროვნული ძალების მოსვლის აუცილებლობა, რამაც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეროვნულ მოძრაობას – **“მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო”** – 1990 წლის არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოუტანა...

...სახელწოდება **“მრგვალი მაგიდა”** ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიერ იყო შერჩეული და ერთიანობას, თანამოაზრეობასა და თანასწორობას გულისხმობდა...

შემდეგ... მიმდინარეობდა ცალკეული განაწყენებული პირის, სამხედრო დაჯგუფების, ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილის გადაბირება და კულუარული გარიგების პროცესები...

მესამე ძალამ შესძლო ეროვნული ხელისუფლების ცალკეული პოლიტიკური ლიდერების გადაბირება.... **მესამე ძალის** მიერ საკმაოდ ღრმად იყო გათვლილი განხეთქილების შეტანა **“მრგვალი მაგიდის”** წიაღში, რომელმაც დენთის როლი შეასრულა ეროვნული ძალების ხელისუფლების დამხობაში.

დღეისათვის საზოგადოებრივ სფეროში მტკიცდება მოსაზრება, რომ საქართველოში ეროვნული ხელისუფლების დამხობის უშუალო შემსრულებლებს ბოლომდე არ ჰქონდათ გააზრებული, ვისი ნების ბრმა განმხორციელებლები იყვნენ. ისინი მართლაც ბრმა იარაღად გამოიყენა **მესამე ძალამ** და ეს იმითაც დასტურდება, რომ უშუალოდ დამამხობელების ნაწილი დღეს ცოცხალი არ არის – ზოგი საეჭვო ვითარებაში დაიღუპა, ზოგიც ციხის საკანში მოხვდა, ან იძულებული გახდა, რომ საქართველო დაეტოვებინა...

...ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროს ძალოვან სტრუქტურებში მოღვაწე ბევრ პიროვნებას სამშობლოსა და ხელისუფლებისათვის არ უღალატნია და კანონსაწინააღმდეგო ქმედებები არ ჩაუდენია, მთავრობის საწინააღმდეგოდ იარაღი არ მიუმართავს. თუმცა, საფუძველს მოკლებული არ არის აზრი იმის შესახებ, რომ ძალოვან სამსახურებში იყვნენ მოღალატე სულისკვეთების მქონე ადამიანები, რომლებიც იოლად წამოეგნენ ოპოზიციის ანკესს და პირადი კეთილდღეობის თუ სხვა გარიგების მიზნით მონაწილეობა მიიღეს კანონიერი ხელისუფლების იარაღით დამხობაში...

...საქართველოში კანონიერი ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობის შემდეგ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი აპოლიტიკური გახდა. მან ხელისუფლებისგან მხოლოდ სოციალური და, უმეტესად, საყოფაცხოვრებო პირველადი მოთხოვნილების დაკმაყოფილება მოითხოვა. თუმცა, იგი ვერ მიიღო, ამიტომ, ისევ პოლიტიკას მიუბრუნდა და სახალხო რევოლუციის მამოძრავებელ ძალად იქცა. ამიტომაც, მათი ლოგიკური კრიზისი მალე დაიწყო. ქართველ ხალხთან იარაღის ენით საუბარი შეუძლებელი იყო.

ტალეირანის ცნობილი ფრაზისა არ იყოს: **“ხიშტები ძალიან კარგია ხელისუფლების მოსაპოვებლად, მაგრამ ძალიან ცუდია დასაჯდომად”...**

...ზვიად გამსახურდიას კანონიერი მთავრობის დამხობის შემდეგ ე.წ. გამარჯვებულმა დემოკრატიულმა კოალიციამ ვერ შეძლო ქვეყანაში კონტროლის დამყარება. ეს კი განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით: **პირველი** – ეროვნულ ხელისუფლებას და დამხობილ პრეზიდენტს მხარს უჭერდა მოსახლეობის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, სადაც შეიქმნა კიდევაც საკმაოდ კარგად შეიარაღებული სამხედრო ბაზა. **მეორე** – კანონიერი ხელისუფლების განდევნას მოჰყვა რეგიონებში სეპარატისტული ძალების გააქტიურება, ახალი ხელისუფლების მიერ წინასწარ განსაზღვრული ქმედებების შედეგებმა კი მიგვიყვანა ქართულ-აფხაზურ ომამდე, **მესამე** – გადატრიალების შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ ვერ გამონახა საერთო ენა კანონიერი ხელისუფლების მომხრეებთან. ძალადობრივი საშუალებები დაუპირისპირა მას. სახელმწიფო პოლიტიკის დონემდე აიყვანა ბრძოლა ე.წ. **“პროვინციულ ფაშიზმთან”** და სპეციალურად დაგეგმა სასტიკი ე.წ. სადამსჯელო აქციების ჩატარება საქართველოში, განსაკუთრებით – სამეგრელოში. **მეოთხე** – დეკემბერ-იანვრის გადატრიალების შემსრულებლები (მხედრიონი, გვარდია და სხვა) ზვიად გამსახურდიას დამხობის საფასურად ითხოვდნენ ეკონომიკურად გარანტირებულ ცხოვრებას. მკვიდრდებოდა სახელისუფლებო რეკეტი, წესდებოდა წარმოება-ორგანიზაციებში დირექტორის მოადგილის სპეციალური თანამდებობა მხედრიონის ან გვარდიის წარმომადგენლისათვის. **მეხუთე** – კანონიერი ხელისუფლების დამამხობელი ძალები ცდილობდნენ ჰქონოდათ მტკიცე პოლიტიკური დასაყრდენი ხელისუფლებაში და ამ მიზნით ქმნიდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებშიც გაერთიანებას იწყებდნენ ინტელიგენციის წარმოადგენლებიც...

ასე იწყებოდა საქართველოს რღვევა...

...საქართველომ უდიდესი პატივი მიაგო თავის ერთგულ შვილს და დიდ ერისკაცს, საქართველოს ზვარაკად შეწირულ მოღვაწეს. ზვიად გამსახურდიამ, კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი პიროვნულ-ეროვნული სიდიადე და კიდევ ერთხელ მოუწოდა ერს სულიერი ერთიანობისა და თანხმობის, სიყვარულისა და რწმენისაკენ.

დრო ივიწყებს ზვიად გამსახურდიას ადამიანურ სისუსტეებს და წვრილმანებს. მომავალი თაობების მეხსიერებაში იგი დარჩება ხალხში გადასროლილი იდეებით, დაწერილი წიგნებით, მოგებული თუ წაგებული საქმეებით და თავგანწირვის შესაშური მაგალითით.

ზვიად გამსახურდია ჭეშმარიტი ჭყონდიდელ-ცოტნეიდელია: **“აღმსარებელი მცნებათა უფლისა და დამდებელი სულისა საქართველოსა და მოყვასისათვის”.**

ამინ!

იგორ კვესელავა,
პროფესორი, “ფაზისის” საერო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი

გაზეთ “ᲝᲚᲝᲠᲘᲡ” კომენტარი – მოდით, გავიხსენოთ: ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობის ჟამს აფხაზეთში სერიოზული მოთხოვნები იყო წამოწეული ამ კუთხის საქართველოდან გამოყოფის თაობაზე. მაგრამ, როგორც კი საქართველოში ობიექტური საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა და ხელისუფლების სათავეში დიდი კონსტანტინეს პირმშო, ასევე უდიდესი პიროვნება ზვიად გამსახურდია მოვიდა, აფხაზეთში მაშინვე მიწყდა ანტიქართული საპროტესტო გამოსვლები.

ეს ლოგიკურიც იყო – არ შეიძლებოდა იმ კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახში, რომელიც ლამის აღმერთებდა აფხაზურ სულსა და მორალს, გაზრდილიყო პიროვნება, რომელიც სათანადოდ არ დააფასებდა ამ ჭეშმარიტად მებრძოლი სულისკვეთების მქონე და ღვთიურ სიმართლესთან წილნაყარი ხალხის გულისთქმას.

სწორედ ამან შეაშფოთა უკიდურესად ედუარდ შევარდნაძე და საქართველოში მოკალათებული სხვა ანტიქართული ძალები და, ქვეყნისათვის გადამწყვეტ ჟამს, მათ იმ სამაჩაბლოში შესძღეს საპროტესტო ტალღის აგორება, რომელთათვისაც ისეთივე მახლობელი არ გახლავთ ქართველი ადამიანი, როგორც აფხაზეთისათვის.

დაიწყო ცხინვალის პროვოკაციული ომი, რამაც, ბუნებრივია, გარკვეული დისონანსი შეიტანა საქართველოს ეროვნული ხელისუფლების საქმიანობაში, რადგან მათ არ გააჩნდათ არც ომში და არც მშვიდობის ჟამს ხელისუფლების გაძღოლის დიდი გამოცდილება. ნაცვლად იმისა, რომ დახმარების ხელი შეგვეგებებინა ეროვნული ხელისუფლებისათვის, ქვემეხი და ტყვია დავუშინეთ მათ და, სამწუხაროდ, არ დავფიქრებულვართ იმაზე, რომ თურმე ტყვიებს, მაშინ, საკუთარ თავს ვესროდით...

გვიან შევიგნეთ!

ერთხელ, როცა 80-იანი წლების დასასრულს, აფხაზეთის თვალწარმტაც კურორტ ბიჭვინთაში დრამატურგთა სემინარზე ვიყავი მიწვეული, აფხაზმა მეგობრებმა მოგვაკითხეს და რესტორანში შესანიშნავი სუფრა გაგვიშალეს. უკვე იძაბებოდა სიტუაცია ქართველებსა და აფხაზებს შორის. ვცდილობდით სუფრისათვის მხიარულება შეგვემატებინა, მაგრამ ვგრძნობდით, რომ ეს მეგობრულ თანამეინახეობას კი არა, ერთმანეთთან გამომშვიდობებას უფრო ჰგავდა.

ჩემსკენ გადმოიხარა შესანიშნავი აფხაზი პოეტი ალექსი გოგუა და ჩამჩურჩულა:

– არ ვიცი, სად მიგვიყვანს ყოველივე ეს, მაგრამ ვიცი, რომ საქართველოს გარეშე აფხაზები დავიღუპებით...

დავიბენი, იმდენად გამაოგნებელი იყო ჩემთვის ამ აფხაზი ადამიანის განცხადება, რომლის ყველა საჯარო გამოსვლაში ჟღერდა აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის ისტორიული აუცილებლობა.

თურმე, მაშინ, ალექსისთვის უნდა მეპასუხა:

– ეჰ, ჩემო ალექსი, აფხაზეთის გარეშე საქართველოც უეჭველად დაიღუპება!

არ ვუპასუხე და ცუდადაც აგვიხდა ყველაფერი. ავადსახსენებელ პროვოკატორ ედუარდ შევარდნაძის მიერ დაგეშილ-დაფინანსებული ბანდიტები ცეცხლითა და მახვილით შევარდნენ აფხაზეთში და იქიდან, ნაძარცვ-ნაოხრალ ლუსტრებსა და სხვა ქონებასთან ერთად ათეულ-ათასობით ცხედარი და სამასი ათასამდე ლტოლვილი **“გამოაყოლეს”** ხელს. იქაც ბევრი აფხაზის ცხედარი დატოვეს (საუკუნო ხსენება მათ სახელებს!)...

აფხაზეთის ომი სამარცხვინოდ დაიწყო და სამარცხვინოდვე დამთავრდა, მაგრამ არა ედუარდ შევარდნაძისა და მისი დანაშაულებრივი გარემოცვისათვის, რომელთაც საკმაოდ მოითბეს ხელი ამ დანაშაულებრივ კამპანიაზე, არამედ სრულიად საქართველოსათვის, რომელიც, ვინ იცის, უკვე მერამდენედ ვერ გაუფრთხილდა საკუთარი შვილების სიცოცხლეს!

აფხაზეთის ომი დღესაც სამარცხვინოდ გრძელდება, მაგრამ არა პოლიტიკურ სანაგვეზე მოსროლილი მიხეილ სააკაშვილისა და მისი დანაშაულებრივი გარემოცვისათვის, რომლებიც შევარდნაძეზე ბევრად სარფიანად ითბობდნენ ხელს აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ლტოლვილთა ჰუმანიტარულ დახმარებებზე, არამედ მთელი ქართველი ხალხისათვის!

გაიგეთ ხალხნო! საქართველოს მტრებმა კარგად იცოდნენ, რომ ქართველებსა და აფხაზებს ერთად ვერ დააჩოქებდნენ და ამიტომაც მოსწყვიტეს საქართველოს ეს ძირძველი მხარე და უსულგულო, ჯიშ და სქესგამოცლილი მანქურთებისა და ვიგინდარების საჯირითოდ აქციეს დიდი ისტორიული წარსულის მქონე ჩვენი ქვეყანა!

დააკვირდით, აფხაზეთის გარეშე საქართველო უკვე ლამის სულს დაფავდა ამ საერთაშორისო ინტრიგანებისა და ფულს დახარბებული მანქურთებისა და ვითომ გაქართველებული სომხების ხელში, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული გამთლიანების გზას ევროპასა და ამერიკაში ეძებდნენ და რომ არა 2012 წლის 1 ოქტომბერი, არავინ იცის როგორ განვითარდებოდა თავად საქართველოს, როგორც სახელმწიფოს მომავალი!

აფხაზებმაც კარგად იციან, რომ მათაც საკმაოდ დიდი საფრთხე ელით...

ყველა ქართველმა და აფხაზმა უნდა იცოდეს, რომ საქართველოს გამთლიანების ამერიკასა და ევროპაზე გამავალი გზა მხოლოდ ერევანში თუ ჩაგვიყვანს!

აფხაზეთში მიმავალი გზა კი მხოლოდ რუსეთსა და სამეგრელოზე გადის!

როლანდ ჯალაღანია,
“აია”-ს და “ფაზისი”-ს აკადემიების წევრი

ᲔᲡ ᲫᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲐ ᲖᲣᲑᲓᲘᲓᲨᲘ 2001 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲘᲓᲒᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘᲡ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲭᲐᲭᲘᲐᲡ ᲘᲓᲔᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ.

31 ᲛᲐᲠᲢᲘ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲠᲘᲦᲘᲐ, ᲩᲕᲔᲜ ᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡ ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐᲓ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲐᲥᲪᲘᲝᲗ!

ᲕᲣᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲤᲔᲠᲔᲜᲓᲣᲛᲘᲡ 22 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ!

“ᲛᲠᲒᲕᲐᲚᲘ ᲛᲐᲒᲘᲓᲐ–ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ” ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე

დასაწყისი "ილორი" №171-212

მეგრული კვალი კარგად არის შემორჩენილი კვირის შვიდი დღის სახელწოდებაში – კალენდარში. უფრო გასაგები რომ იყოს, აღვნიშნავთ შემდეგს:

უძველესი დროიდან კვირის საწყისი დღე იყო კვირა (ჟაშხა) ე. ი. ათვლა აქედან იწყებოდა (იწყება).

როგორც ითქვა, კვირას მეგრულად ჟაშხა – ბჟაშიდღა – მზის დღე ჰქვია (სემიტურადაც ასე ჰქვია). მეგრულად ბჟა მზეს ნიშნავს (ბჟა მეგრულად რძესაც ნიშნავს – ეს შემთხვევითი არაა). ეს დაკავშირებულია მზის ღვთაება **„უთუ“**-სთან. მეგრული **„უთუ“** ნიშნავს გაუთავებელ ენერგიას – მუდმივ ენერგიას – ე.ი. მზის ენერგიას (გასათვალისწინებელია რძის ცხოველმყოფელი მნიშვნელობა).

ასევე, კვირის მეორე დღე ორშაბათი მეგრულად არის თუთაშხა – თუთასდღა, მთვარის დღე (მეგრულად **„თუთა“** არის მთვარე) და შექმნილია შუმერული, იგივე მეგრული ღვთაება **„ნარნარი“**-ს სახელის საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ გარდა შაბათისა (მეგრულად საბატუნი, საბატუდ-ნი), ყველა დანარჩენი დღის სახელი ბოლოვდება **„ხა“**-თი (მეგრულად ფრთა, ერთი ფრთა, ერთი ნაწილი), ე.ი. რომელიმე პლანეტაზე ან მნათობზე მიკუთვნებული ნაწლი. აი ისინი: კვირა **„ჟაშ“**-ხა, ორშაბათი – **„თუთაშ“**-ხა, სამშაბათი **„თახაშ“**-ხა, ოთხშაბათი **„ჯუმაშ“**-ხა, ხუთშაბათი **„ცაშ“**-ხა, პარასკევი **„ობიშ“**-ხა.

კვირის ბოლო დღე – შაბათი (საბატუნი) ღმერთების დღედ არ ითვლებოდა, ამ დღეს, თუ შესაძლებელი იყო, კაცი სახლიდან არ უნდა გასულიყო და ცეცხლიც არ უნდა დაენთო.

მეგრული კვირის შვიდი დღის დასახელება და სემიტური დღის სახელები თითქმის ერთი და იგივეა.

კვირის შვიდდღიანი კალენდარი, შექმნილია მთვარის კალენდარის მიხედვით, გადმოტანილია 11 დღე და გამოვიდა 365 დღე.

ქვედა მესოპოტამიაში აღმოჩენილ ხუთ პლანეტას – მერკურს, მარსს, იუპიტერს, ვენერას და სატურნის, იქაურმა სწავლულებმა დაუმატეს მნათობელნი მზე და მთვარე და ამისგან შეიქმნეს კვირის 7 დღე. ჩვენი ხალხი დღესაც სარგებლობს სემიტებზე ადრე შექმნილი შვიდი დღის სახელების სისტემით.

როგორც აღინიშნა. დღის სახელები: არია, ერმი, აფროდიტა, დიოსი, კრონოსი – ქართულში შემორჩა უძველესი დროიდან.

„ვეფხისტყაოსანში“ მათი სინონიმებია: მარიხი, ოტარიდი, ასპიროზი, მუშთარი და ზუალი, რაც არაბული სახელწოდებებია.

ლაზურად კვირის დღეებს ქვია: ბჟაშხა (მზის დღე, კვირა), თუთაშხა (მთვარის დღე – ორშაბათი), იკინჩხა (სამშაბათი), ჯუმგაჩხა (ოთხშაბათი), უმქისერთი, ჩაჩხა (ხუთშაბათი), პარასკა (პარასკევი), საპ(ბ)ატონი (შაბათი).

სვანურად კვირის დღეებს ჰქვია: მიჟლადელ (მზის დღე კვირა), დეშდიშ (დოშდოლი – მთვარის დღე – ორშაბათი), თახაშ (სამშაბათი), ჯუმაშ (ოთხშაბათი), ცაში (ხუთშაბათი), ვებიში (პარასკევი), საბატინი (საბატონო, შაბათი).

როგორც აღინიშნა და როგორც ცნობილია, მთვარის დღეა ორშაბათი – თუთაშხა. მისი სიმბოლო და წმინდა ცხოველია ხარი. ხარის რქებს, ერთგვარად მთვარის ფორმა აქვს. ის (ხარი) ძლიერი ცხოველია და შეუცვლელია მიწათმოქმედებაში. ამდენად მთვარის კულტი მიწათმოქმედ-გეორგიანულ ქვეყანაში ფართოდ იყო გავრცელებული. შემთხვევით, არაა, რომ ხარია გამოსახული (ეს ძლიერი ცხოველი) პირველ კოლხურ მონეტაში – კოლხურ თეთრზე.

ქრისტიანობის შემდეგ, წმინდა და ძლიერი ცხოველი ხარი – წმინდა გიორგის და მთავარანგელოზთა შესაწირ ცხოველად იქცა.

ხარს ხშირად უკავშირებენ რომელიმე სალოცავს – თქმულებით ორ ხარს რკინის უღელი დაადგეს და სადაც გაჩერდნენ, ააშენეს მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია. თქმულებით სვანეთში... ხარმა მლეთას რომ მიაღწია უსულოდ დაეცა და იმ ადგილზე ააგეს ლომისის წმინდა გიორგის სალოცავი. სვანეთში ზაფხულში ხარების ბრძოლის შემდეგ ხდება მათი შეწირვა, რითაც იწყება რელიგიური რიტუალი. ასეთ რიტუალს სამეგრელოში ერქვა კურული, რომელიც ძალიან გავს ძველ ხეთურ – მცირეაზიურ და ტაიურმახის ხმელთაშუაზღვისპირულ (რომელი ტერიტორიებიც ძველ ეპოქაში მეგრელთა საცხოვრებელი იყო) რიტუალებს.

გაუგებრად მიგვაჩნია ის, რომ ქართულ ისტორიაოგრაფიაში, თითქმის განხილვის საგნად არ გამხდარა **„ქართლის ცხოვრების“** მემატიანის მიერ (აქ სამეგრელოზე არ არის ლაპარაკი) ქართველი ხალხის ისტორიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხის გაყალბება. აგრეთვე ჟურნალ **„აიაში“** – წლების განმავლობაში კოლხეთის ისტორიის ცალკეული საკითხების გაშუქება; ასევე თითქმის არავის გახსენებია იოსებ ყიფშიძის შრომები სამეგრელოს შესახებ. ან, აქვე, ქვემოთ ჩამოთვლილ ავტორთა შრომებში სრულიად ახლებური ხედვა ძველი და ახალი საქართველოს, კოლხეთის, აფხაზეთის ისტორიის საკითხებზე (ე. ი. არსებობს სამეგრელოს წინაღმდეგ ბრძოლის სხვა ფორმებიც). ყველა გაჩუმებულია, ვითომ ეს შრომები არ არსებობდნენ. რატომ ვცდილობთ, თუ რაიმე ისტორიული მნიშვნელობის წყარო აღმოჩნდა ან გამოვიდა მნიშვნელოვანი სტატია, ნაშრომი, წიგნი თუ მონოგრაფია, დავაკნინოთ მათი მნიშვნელობა ან უბრალოდ **„ვერ შევამჩნიოთ“** და ასეთ ნაშრომებზე თუ ვინმემ რამე თქვა – აუცილებლად (რაც გინდა ღირებული არ იყოს) უარყოფითი უნდა ვთქვათ.

ჩამოვთვლით ზოგიერთ ავტორს და წიგნებს: ანზორ შონიას წიგნები: **„გვარები მეტყველებენ“** (**„აფხაზური“** გვარების ისტორიისათვის. 1997წ.), **„დიდი საქართველოს ტრაგედია“** (1998წ.), **„ეგრისის სამეფო და საქართველოს სახელმწიფოებრიობა“** (2003წ.), **„აფხაზეთი: ტოლფასი უთქმელობა“** (2004წ.), **„კოლხები – ქართველების წინაპრები“** (2007წ.); კოჩა კოლხი (კუკური ფიფია) – **„ძველკოლხური ენის საიდუმლოებანი“** (620 გვერდი, 2004წ.); სიმონ ზაქარაია – **„დევნილები გოლგოთის გზაზე“** (2005წ.): ბადა (ნუგუსი) სოფია – **„ლაზმეგრელთა ჩვენს წელთაღრიცხვამდელი ისტორია“** (440 გვერდი, 2006წ.); ედუარდ ჭანტურია **„ლაზების (ჭანების) წერა-კითხვისა და სწავლა-განათლების ისტორიისათვის“** (გვერდი 440, 2006წ.), მამანტი ძაძამია, ცირა ძაძამია, ვლადიმერ ვახანია – 7 ტომი – **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“** (თითოეული ტომი 620-650 გვერდია, 2007წ.); ვანო მეგრელი – **„აფხაზეთი საქართველოა“**, (გვ. 350, 2009 წ.); კ. შელია – **„ძველი კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი“**, 2004წ.) და სხვები. ე. ი. ხმა არავის ამოუღია ცნობილი მკვლევარების კოლხეთის ძველი ისტორიისადმი მიძღვნილი მრავალრიცხოვანი შრომების შესახებ.

კოჩა კოლხის წიგნის სახელწოდება **„ძველ კოლხური ენის საიდუმლოებანი“** ნუთუ არაფერს ეუბნება ენათმეცნიერებს, წიგნის ავტორმა რამდენჯერმე დააყენა საკითხი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის და არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ხელმძღვანელობის წინაშე, მისცენ წიგნს შესაფერისი შეფასება (წაიკითხონ მაინც), მაგრამ პასუხს არავინ არ აძლევს, ამ დროს – საკითხს მომავლისათვის დებენ.

მხოლოდ ერთადერთი რაც გაკეთდა ის იყო, რომ მამაშვილი მამანტი და ცირა ძაძამიების და ვლადიმერ ვახანიას ფუნდამენტური, უნიკალური შვიდტომეული, რომელიც გადატრიალებაა ენათმეცნიერებაში, გაზეთ **„ასავალ-დასავალმა“** გამოაქვეყნა მცირე შესავალი და ცნობილი ჟურნალისტის ვალერი კვარაცხელიას მიმოხილვითი წერილი წიგნებისა და ავტორთა ფოტოსურათებით, შემდგომში გამოქვეყნდა – ინტერვიუ მ. ძაძამიასთან. მაგრამ რატომ სდუმან სხვები, კერძოდ, საათანადო სამეცნიერო დაწესებულებებში! ე.წ. ოფიციოზი დუმს. – რატომ?

იქვეა გამოქვეყნებული ვალერი კვარაცხელიას ექვსკუპლეტიანი შესანიშნავი ლექსი: **„მეფერებოდნენ როცა მეგრულად, მეფერებოდნენ თურმე ქართულად!'** – ვუძღვნი მამანტი და ცირა ძაძამიებს და ვლადიმერ ვახანიას.

თუ ზემოთ ლაპარაკი გვქონდა ლაზურ-მეგრულ ჭანურ ენობრივ დამთხვევებზე ლათინურთან, ეგვიპტურთან, **„შუმერულ-ბიზანტიურთან“** და გეოგრაფიულ სახელწოდებებზე და სხვა საკითხებზე, ახლა საუბარი გვექნება ლათინებთან, ეგვიპტელრაყის დღევანდელ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებთან კოლხეთის ურთიერთობის სხვა ასპექტებზე.

ბიბლიის მიხედვით დღევანდელ ერაყში, მდინარეების – ტიგროსისა და ევფრატის შესართავთან, დაბა ელკურნაში, მის ცენტრთან ახლოს – ედემის ბაღში, სადაც ღმერთმა დაასახლა ევა და ადამი (ე. ი. ბიბლიის მიხედვით, ღმერთის მიერ ედემბაღში დასახლებული პირველი ადამიანი ადამი იყო. ღმერთმა მის მიერ გაჩენილ პირველ ადამიანს **„ადამი“** უწოდა. მსოფლიოში არსებული მრავალათასი ენიდან **„ადამიანი“** მხოლოდ ქართულ ენაშია. ადამი კოლხურ-მეგრული სახელია. ადამი მსოფლიოს ყველა ენის მოსახლეობისთვის გასაგებია), დგას გამხმარი ხე, საიდანაც, ევამ აკრძალული ნაყოფი მოწყვიტა. ამასთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ: ლათინურად მორს+უს არის **„კბენა“**, კოლხურად კი **„მორსება“, „კბეჩა“** – ხილის გემოს გასინჯვა (მაგ. „**ვაშლის კბეჩა“**). სამწუხაროდ, ევას მიერ ვაშლის ასეთი კბეჩით დაიწყო კაცობრიობის ტრაგიკული პერიოდი – ევასა და ადამის გამოდევნა ედემიდან. ცნობილია, რომ ვაშლს ბრალს სდებენ – ეჭვმიტანილია ევასა და ადამის შეცდენაში, ტროას ომის დაწყებაში (რომელიც 19 წელი გრძელდებოდა და მთლიანად განადგურდა ქ. ტროა), ფიფქიას მოწამვლაში და სხვა; მიუხედავად ამისა, ვაშლი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და საყვარელი ხილია მთელ მსოფლიოში... ევამ ვერ გაუძლო ცდუნებას, ცნობისმოყვარეობამ დაძლია და **„გამორს“** – გასინჯა ვაშლის გემო (რა ლამაზად ჟღერს კოლხური სიტყვა **„მორსება“**, ის არც **„კბენაა“** და არც **„კბეჩა“**, თუმცა, ამ შემთხვევაში **„კბეჩას“** გულისხმობს). ეს არის მორსება-გასინჯვა-ცდა სამყაროს კოლხურად შემეცნებისა, გაგებისა. ევა და ადამი ედემის ბაღში, რომელიც სამოთხე იყო, უზრუნველად ცხოვრობდნენ. ღმერთმა დაარიგა ისინი არ შეხებოდნენ ბაღის შუაგულში მდგარ ხის ნაყოფს (ლედვი). როგორც ამტკიცებენ, აღნიშნული ხე ლედვი იყო და არა ვაშლი, მაგრამ ყველა მიუთითებს ვაშლის ხეზე.

ბოროტ სულს შეეხარბა ევასა და ადამის ნეტარი ცხოვრება და გადაწყვიტა ისინი ღმერთისათვის დაეპირისპირებინა, ჩასახლდა გველის სხეულში, აამეტყველა გველი, რომელმაც ევას უთხრა: იმ ბოროტისა და კეთილის შემცნობი ხილის ჭამა ღმერთმა იმიტომ აგიკრძალათ, რომ თქვენ არ ამაღლდეთ ღმერთამდე. ევა წამოეგო ბოროტი სულის ცდუნებას, მოწყვიტა აკრძალული ხილი და ჭამა, მერე ადამიც აცდუნა და აკრძალული ხილი იმანაც შეჭამა. ღმერთმა ევა და ადამი ედემის ბაღიდან გამოიყვანა და უთხრა ადამს: რაკი შენს დედაკაცს დაუჯერე და შეჭამე ხილის ნაყოფი, რომლის ჭამა აკრძალული გქონდათ, მიწა დაიწყევლოს შენს გამო: ტანჯვით მიიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე, პიროფლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე.

ადამსა და ევას შეეძინათ შვილები: კაენი, აბელი, სეთი (შეთი). კაენი იყო მიწის მუშა, აბელი – მწყემსი. მათ ღმერთისათვის შესაწირი უნდა მიეტანათ. კაენმა უფალს მიართვა ძღვენი მიწის ნაყოფი, აბელმა კი თავისი ფარის რჩეული პირუტყვი. აბელი წრფელი გულით, ღვთის სიყვარულით სწირავდა მსხვერპლს, კაენი – ვალის მოხდის მიზნით. უფალმა აბელის მსხვერპლი შეიწირა, კაენის – არა.

კაენი ბოროტი და უგუნური აღმოჩნდა. მას ეგონა, რომ მის ჩანაფიქრს და მოქმედებას ღმერთი ვერ მიხვდებოდა. კაენმა ვერ გაითვალისწინა ის, რომ ღმერთი ყოვლისმხილველია, ყველაფერი იცის, რომ მათ (ადამიანებს) თავისუფალი მოქმედების უფლება მისცა და არ აღუდგა წინ მათ მოქმედებას.

კაენმა უთხრა თავის ძმას, გავიდეთ ველადო და როცა ველად იყვნენ, თავს დაესხა აბელს და მოკლა იგი. ღმერთმა ჰკითხა კაენს: სად არის შენი ძმა აბელი? კაენმა უპასუხა: არ ვიცი, ჩემი ძმის დარაჯი ხომ არა ვარო. უფალმა ყველაფერი იცოდა.

კაენის შთამომავლობა ბოროტ გზას დაადგა – იყო მკვლელობა და სხვა ბოროტებანი, ღმერთი დაივიწყეს. მათ შორის აღმოჩნდა ერთი კაცი ნოე, ღვთის მოყვარული. თვითონ და მისი ოჯახიც წესიერი იყო.

უფალმა ნოეს უთხრა: ააგე კიდობანი (ხომალდი), შიგ შეიყვანე შენი ცოლი, შენი სამივე ვაჟი: სემი, ქამი და იაფეტი თავიანთი ოჯახებით. ასევე კიდობანში შეიყვანეთ ყველა ცხოველისა და ფრინველის შვიდ-შვიდი წყვილი. ნოემ შეასრულა ღვთის ბრძანება. დაიწყო წარღვნა. 40 დღე-ღამე წვიმდა. დაიფარა წყლით მთებიც. 150 დღე დაცურავდა კიდობანი წყლის ზედაპირზე. მერე წყალმა დაიწყო კლება და კიდობანი არარატის მთებთან გაჩერდა. კიდობანიდან გადმოსულებმა გამრავლება იწყეს. ნოე მიწათმოქმედებას დაუბრუნდა.

სემის შთამომავლები არიან: ებრაელები, არაბები, ასურელები, ბიბილონელები, ფინიკიელები, სირიელები და სხვა მათი მონათესავე ხალხი (მათი შთამომავლები სემიტები, მათი ენა-სემიტური).

ქამის შთამომავლები არიან ეთიოპელები, ჩრდილოეთ აფრიკის ზოგიერთი სხვა ხალხები და ქანაანელები.

იაფეტს ჰყავდა შვიდი შვილი: (ვაჟები): გომერი, მაგოგი, მადაი, იავანი, თუბალი, მეშექი და თირასი, რომელთა შთამომავლები იყვნენ ინდოეთში, დასავლეთ აზიაში და ევროპაში მცხოვრებნი. მათ ინდოევროპელები უწოდეს. იაფეტის მეხუთე და მეექვსე შვილებიდან – თუბალი და მეშექი, უნდა იყვნენ ქართული ტომები.

ინგლისელმა ბიოლოგებმა, თუ ამის დაჯერება შეიძლება, შესძლეს ედემის ბაღის იმ ადგილის პოვნა სადაც ეშმაკმა ევას და ადამს ვაშლი აგემეს. ინგლისელ მეცნიერებს ეს დაუდგენიათ ვაშლის (ვაშლი კი არ იყო, არამედ ლედვი!) დეენემის ანალიზით. ოქსფორდის უნივერსიტეტელები ამტკიცებენ, რომ იმ პერიოდში საჭმელად ვარგისი ვაშლი მხოლოდ თანამედროვე ყაზახეთის ტერიტორიაზე იზრდებოდა და სამოთხის ბაღს კაცობრიობა იქ უნდა ეძებოს. ჩვენი აზრით, ინგლისელ ბიოლოგთა ეს მიგნება საეჭვო ჩანს.

ცნობილია, რომ ზოგიერთები თვის 13 რიცხვს არ სწყალობენ და უცნაურობებს მიაწერენ: ერთ-ერთი ყველაზე ძველი ვერსიით 13 რიცხვში გაუსინჯეს გემო ევამ და ადამმა აკრძალულ ხილს.

სხვა ვერსიით თვის მე-13 დღეს კაენმა დაივიწყა ოჯახური კავშირი და საკუთარი ძმა აბელი მოკლა.

იმასაც მიუთითებენ, რომ ქრისტესთან ტრაპეზზე 13 ადამიანი იჯდა თავად იესო და კიდევ 12 მისი მოწაფე, მეცამეტე იუდა იყო. რომელმაც ცდუნებას ვერ გაუძლო და ძე ღვთისა 30 ვერცხლად გაყიდა.

1893 წელს **„ივერიას“** ასეთი მასალა გამოუქვეყნებია: რატომ ევას არა ჰყავდა მოახლე? ერთი ამერიკელი ამის პასუხად წერს: იმიტომ, რომ ევასათვის მოახლე სრულიად არ იყო საჭირო. ადამი არასდროს არ სთხოვდა ხოლმე ევას წინდები მოქსოვე ან კიდევ სერთუკზე ღილი ამწყდა და დამიკერეო. არ უთხოვია აგრეთვე ხელთათმანი გამერღვა და გამიკერეო. ადამს ჩვევად არა ჰქონია მზის ჩასვლის დროს სამოთხეში დივანზე წამოჭიმულიყო და გაზეთების კითხვა დაეწყო და როცა კითხვას მორჩებოდა, მოუთმენლად წამოეძახოს: **„ნუთუ ვახშამი ჯერ მზად არ არისო?“** ადამი თვითონ აჩაღებდა ცეცხლს და საჭმელსაც თვითონვე ხარშავდა. ერთი სიტყვით, ოჯახში ყველაფერს აკეთებდა... სადილის დროს შინისკენ რომ გამოსწევდა, არასდროს თან არ მოუყვანია მშიერი მეგობრები და ევასთვის არ უბრძანებია **„აბა ჩქარა სადილიო!“...**

ადამს არასდროს რესტორანში არ უქეიფნია ღამე იმ დროს, როცა ევა პატარა კაენს აკვანში არწევდა და ტკბილ ნანას ეუბნებოდა. აგრეთვე ადამს ჩვეულებად არ ჰქონია თავისი წაღები აქეთ-იქით კუთხეებში გადაეყარა და მეორე დღეს ევასთვის ჩხუბი დაეწყო: **„ჩემი წაღები რა იქნაო“.** ერთი სიტყვით, ადამს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ღმერთმა ცოლი იმისთვის მომცა, რომ მემსახუროსო. აი ბატონებო, ყველა ეს გახლავთ იმის მიზეზი, რომ ევასთვის მოახლე საჭირო არ იყო, წერდა **„ივერია“.**

კლიმენტი შელია,
პროფესორი, მეცნიერების
დამსახურებული მოღვაწე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ᲣᲐᲮᲚᲔᲡᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲖᲔ

1210 წლამდე შეთხზულ-შედგენილ **“თამარიანში”** მეფე-ქალს საყვედურობენ: **“შენ მწუნები ხარ”,** მაგრამ შემდგომ მსგავსი აღარსად შემხვედრია, რაც 1210 წელს სასახლის კარზე მომხდარი ქორწინების აქტის ირიბი მიმანიშნებელი და თამარის სნეულებისას მეფის კალთას შეფარებულ სასულიერო და საერო ძალით მოსილ **“თითქმის მეფე”** იოან დადიანის, მარუშიანთა ღირშესანიშნავი მგოსნის და სახელმწიფო მოღვაწის აპოთეოზი გახლდათ, მაგრამ აპოგეას ჯერ მიუღწეველი, რომლის ზენიტი თამარის აღსრულების შემდგომმა წლებმა განუპირობეს.

ქართული უნიკალური პოეზიის კორიფის და გენიალური მგოსნის ვინაობა-სადაურობის ემპირული ცხოვრებისა და შემოქმედების გრანდიოზული ეპიკური პალიტრა XIX საუკუნეში, განსაკუთრებით ჩვენ დროს მოეფინა აღმოსავლეთ-დასავლეთ ქვეყნების ცივილიზებულ არეალს, დიდ ქალაქებსა და კულტურის ცენტრებს. **“ვეფხისტყაოსნის”** თავები ან ოპტიმალური მონაკვეთები თუ სტროფები ითარგმნებოდა სამეცნიერო-სამწიგნობრო სავანეებში. მეზობელ ხალხთა გამოჩენილი პოეტ-აშუღნი ეცნობოდნენ, სწავლობდნენ, განიხილავდნენ და აღფრთოვანებულნი ლამაზი ეპითეტებით ამკობდნენ გურჯ-ქართველ-იბერი მგოსნის მომხიბლველ პოემას, ოდებს, საგალობლებს, პოეტურ ნიჭს. მოზრდილ ნაშრომის წინამდებარე რეტროსპექტულ რეზიუმეში შეუძლებელია რუსთაველზე საერთაშორისო კონგენიალური ეპოპეის წარმოსახვა თუნდ უსაზღვრო სიღრმის და სივრცის გამო. მაგრამ მცირედი ისტორიულ-რელიქტური ზოგი მასალა უთუოდ საინტერესო და საჭიროა ქართული მღადადი გენიის დიდება-გაცნობიერებისათვის. ჯერ კიდევ 1189 წელს მიცვალებულ და თავის ერთ ხოტბაში მყუდრო თავშესაფრად საქართველოს ნაჭარმაგევის და მუხრანის დამგულვებელ შირვანელ აშუდ ხაკანის მეტოქედ მის გულშემატკივარ ტრუბადურს, ჩვენი გამოკვლევით, მართებულად მიუჩნევიათ რუსთა ხარ-ერუსთა ვირი ანუ ივირ/იბერი (შდრ. ივერ-იბერია, ივრის ხეობა. ა.ც.) პოეტი, რომელსაც ჰიპოთეტურად რუსთველთან აიგივებენ და რომელიც, **“როგორც კალია, ისე სპობს სარწმუნოების ყანაზე აღმონაცენს”** ანუ ნიჰილიზმით ებრძვის მაჰმადიანობას, სადაც შოთას და ხაკანის ქრონოლოგიური შეხებაც განიხილება.

შირვანის შახ-აღსართან მეორე, საქართველოს ყმანაფიცი, რომელიც ცნობილ ნიზამი განჯელს მფარველობდა, ბაგრატრიონთა სამეფო კარზე სტუმრად გახლდათ ორჯერ 1195 წლამდე აშუღებითურთ, რომელნიც თამარ მეფის მეჯლისზე გამართულ პაექრობაში თავს გამოიჩენდნენ ქართული პოეზიის ცოდნით იმიტომაც, რომ ნიზამს 1180 წლისათვის **“ხოსროვშირინიანში”** შირინის განსახიერებისათვის **“მშვენიერ ქალწულ”** თამარის, ხოლო შამირასთვის მისი მამიდა რუსუდანის სახე შეურჩევია. ამავ დროისათვის კი თამარისადმი მიძღვნილი გრიგოლ და იოან/შოთა დადიანთა მომხიბლველი ოდები უკვე საკმაოდ ცნობილი იყო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1922 წელს თბილისის გაზეთ **“ლომისსა”** და **“ბახტრიონში”** გამოქვეყნდა ათენის ბერძნული გაზეთიდან ქართულად თარგმნილი მასალები შოთა რუსთველსა და მის **“ვეფხისტყაოსანზე”**, რომლებიც შედგენილი იყო ბერძენ თაღლით-ყალბისმქმნელ ტრიკოგლიდის მიერ, თითქოს კაიროში დაცულ გვერდებშემოცლილი წიგნის საფუძველზე. აღმოჩენის მსგავსმა პუბლიკაციამ საქართველოში დიდი ინტერესი და გამოხმაურება ჰპოვა.

ყოფილი საბჭოთა კავშირის აკადემიის აკადემიკოსი და სომხეთის აკადემიის პრიზიდენტი იოსებ ორბელი, ცხადია, ზეპირ, ზერელე ინფორმაციას ნინდობილი, აღნიშნავდა: სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, საქართველოს მოცილებული რუსთაველი მონასტერში ცხოვრობდა ბერად შემდგარი და იქ დალია სულიო.

უკრაინელ მწერალ გრ. პლოტკინს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვარი უყვება: **“რუსთაველმა ნებაყოფლობით ხელი აიღო კარისკაცობაზე, ბერად ეკურთხა და ფეხშიშველი იერუსალიმს ჩავიდა. აქ ჯვრის მონასტერში დაბინავებულმა დიდმა პოეტმა სხვა ბერების დახმარებით, მოხატა ტაძრის შიდა კედლები შესანიშნავი ფრესკებით... ბერებმა იგი დამარხეს მარჯვენა სვეტის ძირში, საკურთხევლის ახლოს”.**

უკეთეს ზღაპარს ბრძენიც ვერ მოიგონებს.

უზბეკი მწერალი ჰამიდ ღულომი აგორებულ ჭორს თუთიყუშივით იმეორებს. საკუთარით ავსებს და აცხადებს: **“რუსთაველი მეტად მძიმე ცხოვრების გზის დასასრულს იძულებული იყო მიეტოვებინა საქართველო და პალესტინაში ჯვრის მონასტერში დაემთავრებინა სიცოცხლე”.** თამარის ეპოქის ფაქტობრივ და ქრონოლოგიურ უზუსტობას ზოგჯერ უცხოელებს ვაბრალებთ და ვსაყვედურობთ, მაგრამ ხშირად მათ შინაურები აჭარბებენ და საფდეისოდ მეცნიერულად დამტკიცებულ ისტორიულ ფაქტებს და ქრონოლოგიას მაინც ამახინჯებენ. ამ მხრივ სერიოზულ კრიტიკას და კორექტივებს იმსახურებს უდროოდ განსვენებული ბატონ ლ. ტუხაშვილია ნაშრომი **“ფარაონთა და ხალიფათა ტახტების მფლობელნი”** (თბილისის, გაზეთი **“მარიხი”**, 1992 წელი), რომელშიც სპეციალისტიც ვერ გაარჩევს, რომელია ისტორიული მოთხრობები და ხალხური ლეგენდები და ფანტაზიით შექმნილი ნაწარმოებები.

გარდაცვლილ მეფეთა სახელით სახელმწიფოს მართვა-გამგეობა უპრეცედენტოა, ლაშას კი რატომ აკურთხებდნენ 1210 წელს ხელმეორედ? 1200 თუ 1210 წელს ქართველებმა, ყარსის აღებიდან 2 წლის მერე, ხლათზე ილაშქრეს, მაგრამ ცხენიდან გადმოვარდნილი მსახურთუხუცესი ივანე მხარგრძელი ხლათელებმა დიჭირეს დამ ის ასულ თამთაზე გაცვლით გაანთავისუფლეს ტყვეობიდან 1210 თუ 1211 წელს. ამ დროს გეგუთის სასახლეში მყოფი თამარი და ორივე მხარგრძელი არდაველის სულთნისგან ანისელთა ჟლეტვის ამბავმა შეაძრწუნა და ძმებმა მოახსენეს თამარს: **“შური ვაგოთ ნაცვლისა ქმნად განვემზადნეთ”**-ო; ჰოლოლო მათ, ყალბის ქმნელთ – მოახსენეს თუ შეუთვალეს თამარს მოუსავლეთ შავეთში? თამარის დასტურით ქართველებმა შურისგებით სასტიკად მოაოხრეს არდაველი ანისის ტრაგედიის წლისთავზე 1211 თუ 1212 წელს, დიდი ალაფით დაბრუნდნენ და კუთვნილი განძეულობა უწილადეს თამარს... საიქიოში? ამირსპასალარი ზაქარია გარდაიცვალა 1212 წელს და **“მეფე თამარმა იგლოვა იგი”** სამარეში? მისი სახელი იმავ წელს თამარმა მის ძმა ივანეს უბოძა და გასცა ბრძანება ზეციდან თუ ქვესკნელიდან? მთიელნი აღშფოთდნენ, განდგნენ 1212 წელს და მათ დასაშოშმინებლად ივანე ათაბაგს მოუწოდა თამარმა, იერუსალიმიდან? მეფის დიდვეზირებმა რომგურ-ხორასანს და ერაყს ლაშქრობა მოახსენეს ლაშას თუ თამარს, რომელმაც **“განახნა სპანი მისნი და იხილნა აბჯრით კეთილითა და პატიოსნითა და მოუწონა აბჯარნი და ცხენ-კეთილობა?”...** ვინ მოიღო **“დროშა სვიანად ხმარებული გორგასლიანი”** და ვინ შეავედრა ვარძიის ღვთისმშობელს, ვინ დალოცა საომრად მიმავალი ლაშქარი, თამარმა თუ მისმა რაინდმა ძემ, ვთავათ 1209-1210, გნებავთ 1211-1212 წლებში... როგორც ამასს შინაურნი და გარეშე მემატიანენი ათარიღებენ!

უფრო გულდასაწყვეტია სტუდენტობის მეგობრის, საინტერესო პატრიოტული და სამეცნიერო-პოპულარული წიგნების და სტატიების ავტორის ბატონ ვახტანგ გურგენიძისეულ ზოგიერთ მოსაზრებათა გამოქვეყნება, რაც გულდაჯერებულ კალმოსანთა ძველ კონცეფციების ტყვეობის ან ახალი გამოკვლევების დემონსტრატიულ უგულვებელყოფას წარმოადგენს. ასე თუ არ არის, მაშინ რას მიეწერება 1989 წელს დაბეჭდილ ძალზე საინტერესო წიგნში **“თამარ მეფის აკლდამა გელათში”** დოქტორ-პროფესორ ივანე ლოლაშვილის მიერ მაცდურ დილეტანტების განაცხადთა გაბათილების გაუთვალისწინებლობა, ჩვენს ნაშრომზე რომ არაფერი ვთქვათ. 1995 წლის 28 აგვისტოს დასაბეჭდად ხელმოწერილ ბატონ ვ. გურგენიძის წიგნში: **“წმინდა მარიამის წილხვედრ ქვეყანაში”**, რომლის 222-ე გვერდზე იკითხება: **“შოთამ უკანასკნელი დღეები გაატარა იერუსალიმში და იქვე – ჯვრის მონასტერში დაიდო სამუდამო სასუფეველი... არც ისაა შემთხვევითი, რომ ლაშა გიორგიმ, დიდ ლაშქართან ერთად დიდებული გვირგვინოსნის – მეფეთ-მეფე თამარის სურვილისამებრ, როგორც ერთ-ერთი ევროპელი რაინდი წერს, იერუსალიმში წაასვენა ძვლები დედამისისა...”** საბედნიეროდ, არცერთ სიტყვას საფუძველი არ გააჩნია. ანალოგიურია ესტონელ ლიტერატორ უნო უსისოოს ლათაიაც, რამეთუ ტყუილით ნატკეპნ ბილიკს თელავს, მაგრამ მისი თანამემამულე ტარტუს უნივერსიტეტის პროფესორი და მკვლევარი-ლიტერატორი ს. ისაკოვი დღემდე უცნობ, უნიკალურ და ენიგმატურ ცნობას ამჟღავნებს, რომელიც კარგად ეხმიანება ჩვენეულ კრედოს: XIII საუკუნეში თამარის შემდგომ თურქ-მონღოლთა შემოსევების, ქვეყნის სამთავროებად დაქუცმაცების, შინაური ომების და კულტურული ცხოვრების ჩაფერფვლის **“ტრაგიკულ პერიოდში რგებია წილად რუსთველის სახელმწიფო მმართველობის სათავეებთან ყოფნა”.**

შოთა/იოან დადიანის მეფური და პოეტური დიდების დასტურია გელათის სამონასტრო კომპლექსიც, სადაც მისი მეუფეების სანთლებით შემჭვარტლულ-ყოფილი ფრესკა სათანადო წარწერით დღემდე კარგად არის დაცული მეფეთა ეკუდერში, ხოლო საფლავის ქვის ფილის ნახევარი, წარწერით **“იოანე”**, ქუთაისშია საგულდაგულოდ შემონახული.

უფრო მეტიც! შოთას თუ დევნიდა, როგორ შემორჩა ჩვენამდე **“თამარ მეფისა საფლავსა ზედა დაწერილი?”**, რაც საბუთია იმისა, რომ თამარის საფლავი საუკუნეების მანძილზე პირვანდელ ადგილზე იყო, ხოლო 1730 წლიდან აღარ არის მისი ძვლების ნაშთი გელათის მეფეთა ეკუდერის თამარისეულ საფლავსა შინა; რა იქნა? გადაყარეს? არა, გამორიცხულია! მისი მცირე ნაწილი მონასტრის წმინდანთა ძვლების ფარდაგგადაფარებული საცავ-კუბოს შერთეს, უმეტესი კი გადაუნაწილეს სამეფოს შვიდივე საკათედრო ტაძრის საკუთრების შესავსებ-გაკეთილშობილების და თაყვანისმცემელ-მომლოცველთა მისაზიდად. იგივე ბედი ეწია იქ დაკრძალულ შოთა/იოან დადიან-რუსთაველის ნეშტსა და ძვლებს. ამჟამად მათი ძებნა ოკეანეში გადასროლილი კენჭის პოვნის ტოლფარდია, ხოლო განუყრელ თამ/შოთას საფლავ-სამარ-სამალის შორეთში ძებნა დილეტანტური ფუჭი მცდელობა და ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ლეგენდარული ფანტაზიაა. ერთადერთი კონსტრუქციული, გონივრული, სანუკვარი და სარფიანი ღონისძიება იქნება თუ შოთამარის, ლაშას, ნარინის ფრესკებისა და საფლავთა ადგილსამყოფელ მეფეთა პატარა ეკუდერს შეკეთებით განვაახლებთ, ძველებურად მოვკაზმავთ, ლამაზ ვიზუალურ იერს დავუბრუნებთ და ხალხის ძვირფას საპატიო სახილველად ვაქცევთ.

1213-1222 წლებში თამარისდროინდელი სავაზირო გადახალისდა, რადგან დედისეულ ელიტას ვერ გუობდა ათაბაგ ივანე მხარგრძელის რაინდად გაზრდილი გიორგი ლაშა, რომელსაც ჟამთაღმწერელი მიკერძოებული პირუთვნელობით **“ამკობს”: “მიდრკა სიბოროტედ თანაამყოლთა უწესოთა კაცთათა... ხოლო სმამან, მღერასა და სიღოდასა და ნაყროვანებამან სიბილწესა უმეტეს გარდარია, განაშორნა ვაზირნი სანატრელისა დედოფლისა და დედისთა წესთა მასწალებელნი, შეიყარნა თანამოპასეკენი მოსმურობითა და დედათა უწესოთა თანა აღრევით...”** და დაუნდობელი მეისტორიე დასძენს: ასეთის მეფის კარზე ლოთნი და უღირსნი კაცნი იმყოფებოდნენ ლაშას ვაკხანალიებით აღშფოთებულმა კარის საერო და სასულიერო დიდმოხელე დარბაისლებმა **“არღარა ინებეს მასთანა სამარადისო ყოფნა, არამედ განეშორეს და თვისთვისად იყოფოდეს”.** ჩვენი გამოკვლევით და დადგინებით სწორედ ეს ისტორიული სინამდვილე უნდა იყოს გამოსახული ბოიანას ეკლესიის უპრეცედენტო ფრესკაზე: **“ქრისტე მწიგნობრებთან”.** თავისთავად ცხადია აღწერილ ამორალურ ატმოსფეროში იოანშოთა რუსთაველსაც აღარ დაედგომებოდა სამეფოს დედაქალაქში. მით უმეტეს 1213 წლიდან, იმიტომაც, რომ საყვარელი დედოფლის მარად განსასვენებელი გელათში მოვლა-პატრონობას საჭიროებდა.

ჩვენი ტანჯული საუკუნის მიმწუხრს 20-30-იანი წლების ქუათისი მაგონდება. ჯაფარიძის ქუჩის 10 და 100 ნომრებში ვცხოვრობდი მაშინ დედასთან და ის დაძმა დარჩიებთან საფიჩხიაზე. კარგად მახსოვს ქალაქის ცენტრალური სასეირნო ბაღი სასულე ორკესტრით და მისი **“ალიბაბათი”.** აქვე, ძველი ეკლესია-პანთეონი, კინო **“კომუნა”** და **“დამკვრელი”**, ბაზარი, ყაფანი, სირაჯ-მეწაღეთა დუქნები, ჩოჩიალა ურმები, სინაგოგები. რიონჰესის გვირაბის გახსნა და საფიჩხიიდან მისი გავლით ქომაში გასვლა. გიმნაზიაში სპეტაკ წვერულვაშა ხანდაზმული ჩემი მასწავლებელი მესხი... და ბიძაჩემი – ვახტანგ დარჩია, რომელსაც დავყავდი გელათის მონასტერში მოწყობილ პიონერთა საზაფხულო ბანაკში, სადაც ღამ-ღამობით ჭიაკოკონას აჩაღებდნენ, ჩემზე ორჯერ გრძელ შაშხანას ისროდნენ და აბიბინებულ ეზოში გვათამაშებდნენ. თვალწინ მიდგას მონასტრის საფლავ-ლუსკუმებიდან გამოკრეფილ წმინდანთა ძვლების საცავი **“ბიბლიოთეკა“.** დიახ, სინის ბადურით დაცულ თაროებზე ადამიანთა ჩონჩხების ძვალთა უიარლიყო მრავალმწკრივი, რომლითაც მაშინებდნენ **“მოეშვი, თორემ მოიწამლებიო”...**

რამდენიმე წლის შემდეგ იავარქმნილ-ნაპარტახალ გელათის დიდებულ ეკუდერებს, პანთეონსა და ნეკროპოლს, რაც ჟამთა სიავემ, დუშმანთა თარეშმა, რბევამ თუ გარეშეთა ძარცვამ დაიკლო, შინაურის მსახვრალმა ხელმა შეათავა. ქუთაისის ცენტრალურ ქუჩებზე გმოჩნდა ვიღაც ჭკუანაღრძობი არაკაცი **“აგიტატორი”,** რომელიც ნიკოიას ეტლით დანავარდობდა და გაჰკიოდა: **“აი, თქენი წმინდანთა ძვლები, მხედავთ ვერაფერს მვნებენ, მაკლებენ და არხეინად დავნავარდობ”**-ო. შერეკილის მსმენელი ქალი თუ კაცი კი ფანჯარ-აივნებიდან გამოსძახოდა: **“გაუგიჟებიხარ და მეტი რა უნდა გიქნას”**-ო.

ხანი გამოხდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ლექტორმა, აწ ნეტარხსენებულმა ბატონმა დიმიტრი გვრიტიშვილმა 1947 წელს გელათში წაგვიყვანა... ბევრი ვეძიე წმინდანთა ძვლები, მაგრამ ამაოდ. ამგვარად, რაც XVI-XIX საუკუნეების ჟამთა სიავეს, ცოდვილ ანგარ ბერ-მონაზონ-მოძღვართ, მსუნაგ მბრძანებლებს და ნაძირალა ყაჩაღ-ბანდიტებს გადაურჩათ, ანტირელიგიურმა პროპაგანდა შთანთქა. ამისდამიუხედავად, მაინც ვიცით გელათის მონასტრის ის წმინდა ისტორიული კუთხე-კუნჭული, სადაც უნდა გაკეთდეს უძვირფასესი მემორიალი ოქროვარაყით: თამარ-მეფე (1166-1213), შოთა რუსთაველ-დადიანი (1160-1250).

შესაფერისი ანალოგიური წარწერა სიონსა და ზარასაც მოუხდებოდა.

შოთა მგოსანი მანდატურთუხუცესი. 1184-1198
(იბეჭდება პირველად)

შუშის საზამთრო თუ მედუზა?

(გაგრძელება 1 გვერდიდან)

–რა მოუტანა ქუთაისს და იმერეთის რეგიონის მოსახლეობას პარლამენტის ქუთაისში გადატანამ?

როგორც ქუთაისში ამიხსნეს და განმანათლეს – ***რამდენიმე ასეული ბინა გაქირავდა, ალბათ, ასევე რამდენიმე ასეული ადამიანი დასაქმდა, ძირითადად მძღოლებად, დამლაგებლებად და ეს არის სულ, ის სიკეთე, რაც პარლამენტის ქუთაისში გადმოტანას მოჰყვა!***

– რესტორნები, კვების ობიექტები ხომ ამუშავდა?

ჩემს კითხვაზე, ჩემმა მასპინძელმა, უამრავი ანეკდოტი რომ მომიყვა, ქუთაისის პარლამენტზე და პარლამენტარებზე – ***ტიტუუ!!! მაგი არ გამაგონოო შეიცხადა!***

რა იყო შე კაცო, რა შეიცხადე-მეთქი, რომ ვუთხარი, მშვიდად ამიხსნა მიზეზი:

„–უმრავლესობა და უმცირესობა ერთმანეთის შიშით, ხოლო, ცალკე უმცირესობა გამწარებული ხალხის შიშით, რესტორნებსა და საზოგადოებრივი შეკრების ადგილებში იშვიათად თუ გამოჩნდებიან! ის კი არა პუტანკებიც თბილისიდან ჩამოიყვანეს, რამაც „ადგილობრივი კადრები“-ს დიდი გულისწყრომა გამოიწვია!“

ისე დამაჯერებლად მომიყვა ჩემი ქუთაისელი გიდი, ყველაფერში დავეთანხმე, გარდა უკანასკნელი, ინტიმური პრობლემისა, სადაც, დემოკრატიული ქვეყნის სტანდარტებით **„ადამიანები თავისუფლები უნდა იყვნენ“** და ისინი თავიანთ **„სექს პარტნიორებს“** თბილისიდან ჩამოიყვანენ თუ ბიუჯეტის ფულის (რაზედაც მკაცრი კონტროლი დააწესა ახალმა მთავრობამ) და დროის დაზოგვის მიზნით **„საპარლამენტო რესურსს“** გამოიყენებენ (იხილეთ ფეისბუქზე და იუთუბიზე გამოქვეყნებული, ამ რესურსის მაღალი დონე!), ეს მათი პირადი გადასაწყვეტია და, ვურჩიე, **„პუტანკები“**-ს საქმეში ნუ ჩაერევით-მეთქი!

კი ბატონო! მორჩილად მომიგო მასპინძელმა, მაგრამ შევატყვე ზემოთხსენებული **„სერვისის“** ქუთაისელი **„ადგილობრივი კადრების“** დაუსაქმებლობაზე მაინც გული დაწყდა!

ამ ამბავმა, 1992 წლის 10 ოქტომბერს არჩეული პარლამენტი გამახსენა, სადაც **„შევარდნაძე-უხსენებელმა“** – ფეხბურთის ბილეთების გადამყიდველებით დაწყებული, სტაჟიანი მეძავებით (ჯაბა იოსელიანი პარლამენტის ტრიბუნიდან, დაუფარავად **„ბოზებად“** რომ მოიხსენიებდა!) და ქურდებით დამთავრებული, ყველა ჯურის ნაძირალა რომ შეყარა!

აფხაზეთი კარგა ხნის ჩაბარებული ჰქონდა **უხსენებელს,** გერმანიიდან რომ ჩამოვედი მცირე დროით. პუშკინის სკვერთან, ჩემი დიდი ხნის უნახავი, ექიმი-ვენეროლოგი მეგობარი შემხვდა! ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ – სამსახური როგორ მიდის-მეთქი, ვკითხე!

ჩემდა გასაკვირად სახე გაებადრა და გახარებულმა მომიგო – ***„რაც ახალი პარლამენტი აირჩიეს, სამუშაოს ვერ ავუდივარ, ცირკის გარშემო პუტანკები რომ იკრიბებოდნენ, საღამოს, ყველა პარლამენტში ყრია და კლიენტებს ვერ ავუდივარო!“***

დიდხანს ვიცინეთ!..

ხუმრობა იქით იყოს, ქუთაისს და პარლამენტს მივუბრუნდეთ!

რამდენჯერმე, კვლავ გაიჟღერა საქართველოს დამაქცევართა მიერ (ბევრი მათგანი ახლაც პარლამენტში სხედან!) ამ ოცდაორი წლის წინ შემოგდებულმა ცნობილმა ფრაზამ – **პარლამენტის შენობა ცოდვილ ადგილზეა აშენებული და იგი ისედაც უნდა დაცლილიყოო!..**

მახსენდება – ბერლინის კედლის დანგრევამდე, კედლის ორივე მხარეს მცხოვრები გერმანელები, ერთნაირი ჟინით და სიამაყით უყურებდნენ სანახევროდ დანგრეულ **„რაიხსტაგი“**-ს შენობას. როცა, ძალადობის კედელი დაინგრა და ორად გაყოფილი გერმანია გაერთიანდა – არავის მოსვლია აზრად, იმ დღეებში და არც მის მერე, გაეხსენებინათ, რომ ყველა უბედურება ამ შენობიდან დაიწყო და აქ გაცხადდა კიდეც გერმანელი ერის გასანადგურებელი განაჩენი, როცა, **„გერმანული რასსა ყველაზე მაღლა მდგომად გამოცხადდა“**!

არავის უხსენებია ადოლფ ჰიტლერი და მისი გარემოცვა, რომელმაც გერმანია და გერმანელი ერი კატასტროფამდე მიიყვანა!

კონკურსი გამოაცხადეს **„რაიხსტაგი“**-ს ჩამოშლილი გუმბათის პროექტის შესაქმნელად, ოცი წელი მოუნდნენ გერმანელი არქეოლოგები, საუკეთესო რესტავრატორები და მშენებლები, გაეთხარათ და მოეძიათ შენობის ნანგრევების უმნიშვნელო ნატეხიც კი, და მუხლჩაუხრელი შრომით გაასრულეს მესამე რაიხის სიამაყე **„რაიხსტაგის“** აღდგენა!

ერთი წუთით წარმოვიდგენ გერმანიის პრეზიდენტს, ან კანცლერს რომ წამოცდეს – **ბუნდესტაგი რაიხსტაგიდან ჰანოვერში უნდა გადავიტანოთო, რა ამბავი მოჰყვება მას!**

ვზივარ და ჩემთვის ვფიქრობ – ჩვენ რა უბედურება გვჭირს **„შევარდნაძე-უხსენებელის“** მეორედმობრუნებიდან მოყოლებული, ტრადიციად იქცა პარლამენტის შენობის იავარქმნა. ჯერ იყო და შევარდნაძემ და მისმა ბანდამ გადაბუგა იგი, ოცდაორი წლის წინ, რუსთაველის პროსპექტიანად, შემდეგ კი მისმა შვილობილმა **„მიშა-შეურაცხადმა“** გამოშიგნა არჩევნების წინა დღეებში – დარწმუნებულმა, რომ არჩევნებს მოიგებდა და ვერავინ მოკითხავდა პასუხს ამ ვანდალიზმზე!

უფალმა გადმოგვხედა, რომ ეს ასე არ მოხდა და არ აცხადდა **„მიშა-შეურაცხადი“**-ს ბოროტი ზღაპარი, მაგრამ როგორ გავიგოთ ის ამბავი, რომ **„საპარლამენტო უმრავლესობა“**, ზემოთხსენებული დანაშაულების შემოქმედ **„საპარლამენტო უმცირესობა“**-ს უსუსურად თხოვს – **პარლამენტის შენობის აღდგენის და საქართველოს პარლამენტის მის ტრადიციულ ადგილზე დაბრუნების ნებართვას?**

მერწმუნეთ, ამ საქციელს, არავინ ჩაუთვლის საქართველოს დღევანდელ მთავრობას **„დემოკრატიის დემონსტრირებად“**, გასული წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებში, ქვეყნის მოსახლეობის მონაპოვარს კი – **საფრთხის წინაშე აყენებს!**

ადრეც ვწერდი და ახლაც ვიმეორებ – **დროზე უნდა ატეხოს განგაში იმავე მოსახლეობამ, ვინაც ბატონ ბიძინა ივანიშვილთან ერთად მიაღწია ამ გამარჯვებას, თორემ ჩვენს მიერ არჩეული პარლამენტარები ამას არ იზამენ, რადგან უამრავ მათგანს ტრადიციად მოსდევს ქვეყნის დაქცევის გენეტიკური ნიჭი!**

დავით შოთაძე,
კობლენცი, გერმანია

სად და როგორ დაიწერა ლევან გოთუას “გმირთა ვარამი”



თითქმის მეოთხედი საუკუნე, ცხოვრების 66 წლიდან 22 წელიწადი შორეულ ჩრდილოეთში, **“მავთულსიქითა”** სამყაროში გაატარა. **“განცვიფრებას იწვევს, როგორ გაუძლო მან საკონცენტრაციო ბანაკებში გამეფებულ არაადამიანურ პირობებს და მაინც ბოლომდე დარჩა სულიერად სპეტაკ ადამიანად. ან როგორ შეძლო “სიკვდილმისჯილთა საკანში” მრავალგზის ჩაბორკილმა, ასეთი ამაღლებული მემკვიდრეობის შექმნა, რომელმაც ხალხის ჭეშმარიტი სიყვარული მოუპოვა”,** – ამბობს სპელეოლოგი და ჟურნალისტი, ბატონი ჯუმბერ ჯიშკარიანი, რომელსაც, მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, მწერალსა და მთამსვლელ ლევან გოთუასთან 13-წლიანი მეგობრობა აკავშირებდა.

მომავალი ოთხშაბათიდან **“ჩემი რჩეული”** ჟურნალ **“გზასთან”** ერთად XX საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო შემოქმედისა და საქართველოს მოჭირნახულე, ფათერაკიანი სვე-ბედის კაცის, ლევან გოთუას 7-ტომეულის პირველ ტომს წარმოგიდგენთ. ჩვენს გამოცემაში შევიტანეთ მისი რომანები – **“გმირთა ვარამი”** და **“მითრიდატე”** (ეს უკანასკნელი წლებია, არ გამოცემულა), და კიდევ, ბატონი ლევანის წერილი საიდუმლოებით მოცული ხვამლის მთის შესახებ: ლეგენდურ ქართველ მთამსვლელებთან – და-ძმა ჯაფარიძეებთან და რამდენიმე ცნობილ მოღვაწესთან ერთად, 1940-იანი წლების ხვამლის ექსპედიციის უშუალო მონაწილის, ლევან გოთუას მონათხრობი წიგნად პირველად სწორედ **“ჩემს რჩეულში”** გამოიცემა.

1920-იანი წლებიდან მოყოლებული, რამდენჯერმე დააპატიმრეს ანტისაბჭოთა მოწერისთვის თუ ფაშისტური ორგანიზაციის შექმნისთვის, სამშობლოს ღალატის, პროპაგანდის და აგიტაციის გზით საბჭოთა კავშირის დამხობის მცდელობის მუხლით.

ლევან გოთუას ბარათებიდან:

“...ისევ შორეული მხარე და მარტოობა, თითქოს განგებას შემოწერილი მაქვს. რა ვქნა, რა გზას დავადგე, ვერაფერი ვერ შევძელი, რაც არის, არის...”

“ჩემდა საბედნიეროდ, მოსკოვმა ჩემს მიმართ ადამიანობა გამოიჩინა – დახვრეტა შემიცვალა და ათი წელი ამკიდა მძიმე გამასწორებელ ბანაკში გადასახლებით, როგორც გამოუსწორებელ, მძლავრ პოლიტიკურ მოღვაწეს...”

“ვის დასჭირდა ჩემი გაძევება და რატომ? მალე წავა მატარებელი და უმოწყალოდ დამაშორებს საყვარელ სამშობლო-საქართველოს. ძნელია ეტაპში წასვლა, მაგრამ რას ვიზამთ? ისეთ საშინელ გარემოცვაში ვართ, სადაც სიმართლე არ ფასობს!”

სოლოვკების, ნარიმის, ბიისკის ბანაკების შემდეგ ლევან გოთუა ვორკუტაში აღმოჩნდა – საკონცენტრაციო ბანაკში, რომელსაც მწერალი ნადირებით სავსე ბუნაგს უწოდებს. იმ **“ბუნაგში”** მეფობდა არაადამიანური პირველყოფილი ყოველგვარი სიდუხჭირე, წამება და წვალება, მორალური თუ ფიზიკური განადგურება. იქ პატიმრები ყოველგვარ უფლებას მოკლებული მონები იყვნენ: **“ვერც კი წარმოიდგენია, საიდან მოდის ეს სისასტიკე და გესლი. მე მიკვირს, კაცს, რომელმაც რა არ გადავიტანე”.**

სწორედ იმ შორეულ ჩრდილოეთში, იმ სისასტიკეში – ვორკუტის უმკაცრესი რეჟიმის საკონცენტრაციო ბანაკში იწერებოდა ლევან გოთუას **“გმირთა ვარამიც”**. მწერლის **“ვორკუტლაგერელი”** ქართველი მეგობარი, ბატონი რეზო ტყავაძე იხსენებდა: **“პოლიტპატიმრებს ზურგზე, მარცხენა მკლავზე და მარჯვენა ბარძაყზე ჩვენი კუთვნილი ნომრები გვქონდა დაკერებული. საღამოს ათ საათზე, როდესაც საღამოს ცვლის ბრიგადები სამუშაოდან ბრუნდებოდნენ და ღამის ცვლა სამუშაოდ გადიოდა, ბარაკებში ყოველდღიური “გადათვლა” ტარდებოდა. შემდეგ ბარაკები დილის ექვს საათამდე მჭიდროდ ჩაიკეტებოდა. ბარაკის ფანჯრები გისოსებით იყო “გამაგრებული”. ასეთ პირობებში წარმოუდგენელი იყო ბატონ ლევანს სამუშაო პირობები ჰქონოდა და მაინც, გამოინახა საშუალება: ბატონმა ლევანმა ელექტრიკოსის პროფესია “შეიძინა”. იგი ყოველდღე გადიოდა სამუშაოდ მაღაროში, მეორე ჰორიზონტის მაღალი ძაბვის სატრანსფორმატორო სადგურში, რომლის კარებზეც მიამაგრა ფირფიტა წარწერით – “სასიკვდილოა!” აბა, რომელი ზედამხედველი გაბედავდა იქ შესვლას! ბატონი ლევანი თავაუღებლად მუშაობდა, ტრანსფორმატორის კედლის გვერდით ამოთხრილ ორმოში ჩაწოლილი, სანთლის შუქზე... ასე იწერებოდა ქართული პროზის ერთ-ერთი მშვენება – “გმირთა ვარამი”. რაც შეეხება ხელნაწერის თბილისში გადმოგზავნას, ამ საქმეში დიდი წვლილი შეჰქონდა ქალბატონ თამარ ჯაფარიძეს – ერთ-ერთი მაღაროთა სამმართველოს მთავარ ინჟინერს; იმ დროს ვორკუტაში მცხოვრებ ინჟინერს, ბატონ კოლია კალაძეს; ომის დროს ვორკუტაში გასახლებულ გერმანელებს და ბევრ სხვა მადლიან ადამიანს”.**

ჯუმბერ ჯიშკარიანი: – თუ როგორ მოიხადა ბატონმა ლევანმა თავისი მწერლური და მოქალაქეობრივი ვალი სამშობლოს წინაშე, დღეს საყოველთაოდ ცნობილია. დარწმუნებული ვარ, მომავალი თაობა უკეთ დააფასებს ერისთვის თავგანწირული მამულიშვილის ღვაწლს... მწერლის ყოველი წერილი თავისებურად საინტერესოა, რადგან თითოეულ მათგანში მისი ტკივილიანი ბედ-იღბლის გარკვეული მონაკვეთი, ეპოქის სუნთქვა და უმკაცრესი სინამდვილეა აღწერილი. განსაკუთრებით სულისშემძვრელია მწერლის ერთ-ერთი უკანასკნელი ბარათი. ესაა წერილი-აღსარება. უფრო სწორად, ეს გახლავთ მწერლის ბიოგრაფია, რომელშიც დაუფარავადაა გაშიშვლებული იმ ავბედითი წლების მთელი მანკიერებანი და მწერლის თავს დატეხილი მრავალი განსაცდელი. წერილი 1955 წლის 28 ივლისითაა დათარიღებული. **“...ჩემო კარგებო! ჩემი ვადა დამთავრდა 12. VII, დღეს კი ისევ გამომიცხადეს ბანაკის დატოვება და კომენდატურასთან შეთანხმებით თავისუფალ გადასახლებაში გადასვლა. ესეც ისევ ჩემი ბედის უკუღმა ტრიალია. მე, რა თქმა უნდა, განთავისუფლებაზე უარი განვაცხადე; ისევ დავწერე განცხადება, რომ სანამ მოსკოვიდან ჩემ შესახებ პასუხი არ მოვა, ჩათვლები უკან წაიღეთ და მე აქ დამტოვეთ-მეთქი...”** ბანაკის ჯოჯოხეთური რეჟიმისგან განაწამები ხალხი ცდილობდა, როგორმე ციხიდან გაეღწია, ის კი კვლავ ბანაკში დარჩა და ნებაყოფლობითი პატიმრობა განაგრძო, რადგან ბატონი ლევანისთვის თავისუფლებას, საქართველოში დაბრუნების უფლების გარეშე, უბრალოდ, აზრი არ ჰქონდა... **“პატიმრები, ზედამხედველები და უფროსები გაკვირვებულები არიან და შეწუხებულები შემომცქერიან, ჩემს ჯიუტობას ჭკუაზე შეშლას აბრალებენ. “ლევანი ისე მიაჩვიეს ამ ცხოვრებას, რომ თავისუფლად უკვე ვეღარ იცოცხლებსო,” – ირონიით ამბობენ ისინი. ჩემს ტრაგიკომედიას დასცინიან. ასეთი რამ ბანაკის პირობებში არ მომხდარაო... ჩრდილოელი ქართველები შეწუხებულები და აღშფოთებულები მეხვეწებოდნენ და მარწმუნებდნენ, – ლევან, ქალაქში მაინც სხვაა, ზედამხედველების, ძაღლების, ნომრის, იძულებითი შრომის, დამცირებისა და დაცინვის გარეშე იქნები ჩვენთან ერთად. ჩვენ დაგეხმარებით ყოველმხრივ, უფრო მეტს დაწერ და შენს მწერლობას გააღრმავებო. მე გავჯიუტდი. ეს ხომ ჩემი სამუდამოდ საქართველოს, თბილისის და თქვენ გარეშე არსებობა იქნება და არა ცხოვრება, რომელიც ვგრძნობ, თანდათან იფერფლება... მე ახლა ხანდაზმული ვარ, 50 წლისა. გადატანილი ჭირ-ვარამით მთელ ჩემ ცხოვრებაზე, ბევრად ასაკოვანი და ხანდაზმული. ახლა კი ჩემს თავზე ექსპერიმენტებს ვეღარ ავიტან. მე მარტო ჩემი სამშობლო მინდა, რომ იქ მერგოს სასუფეველი...”** ნებაყოფლობითი პატიმრობის ორმოცდამეექვსე დღეც მიიწურა. ბატონ ლევანს სხვებმაც მიჰბაძეს. პატიმრობის ვადადამთავრებულებმა თავისუფალ გადასახლებაში წასვლაზე უარი განაცხადეს და ბანაკში დარჩნენ. მოსკოვიდან კი პატიმართა მოთხოვნაზე პასუხი იგვიანებდა. ან როგორღა მოვიდოდა? თურმე ბანაკის ადმინისტრაცია მოსკოვში გასაგზავნ წერილებს (საჩივრებს) კი არ გზავნიდა, უბრალოდ, ადგილზე აგროვებდა. პატიმრები გათამამდნენ. მალე სამუშაოზე გასვლაც შეწყვიტეს და გაფიცვა გამოაცხადეს. **“გაფიცვა საყოველთაო გახდა... გაფიცვას სათავეში ჩაუდგა ჩვენი მეგობარი იგორ დობროშტაინი. როგორც ყოველთვის, ქართველები ისევ მოწინავე ხაზზე აღმოვჩნდით. ვფიქრობ, ეს გაფიცვა უსათუოდ თავისუფლებას მოგვიტანს, თუ სადმე დარჩა სამართალი. თითქოს წინათგრძნობაც ამას მეუბნება...”** ახდა ბატონი ლევანის წინათგრძნობა: 1955 წლის აგვისტოში ჯოჯოხეთგამოვლილი ადამიანი, როგორც იქნა, სამშობლოში დაბრუნდა. ამჯერად უკვე სამუდამოდ. დაიწყო მჩქეფარე შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. **“გმირთა ვარამს”** არნახული წარმატება ჰქონდა... ზედიზედ ბეჭდავს რომანებს, ნოველებს, მოთხრობებს, ნარკვევებს, პუბლიცისტურ წერილებს, მოგზაურობს საქართველოს მთასა და ბარში, აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სამწუხაროდ, მხოლოდ 17 წელიწადს დასცალდა.

ლევან გოთუა 1973 წლის 30 იანვარს, 67 წლის ასაკში, გარდაიცვალა.

დაკრძალულია არმაზში, თავისი აგარაკის ეზოში.

ი. ხარშილაძე

აგვისტოს ომის დღემდე გასაიდუმლოებული სკანდალური დეტალები

გთავაზობთ სკანდალურ ინტერვიუს ექსპერტ მამუკა არეშიძესთან, რომელიც აგვისტოს ომის აქამდე გაუხმაურებელ და დღემდე აკრძალულ დეტალებზე გვესაუბრება:

– 2008 წლის მაისში შეიქმნა სამშვიდობო ოპერაციების შტაბი, რომლის დისლოკაციის ადგილი თბილისი იყო. შტაბის ხელმძღვანელობა ჩაბარებული ჰქონდა გენერალ მამუკა ყურაშვილს. მასვე ებარა როგორც ცხინვალის, ისე აფხაზეთის სამშვიდობო ჯარების შტაბის ხელმძღვანელობა. 2008 წლის 1-ლი აგვისტოდან უკიდურესად დაიძაბა ვითარება. ცხინვალის მხრიდან გამუდმებით სროლები ისმოდა, 5 აგვისტოს ორი ქართველი სამშვიდობო დაიღუპა. ეს იყო პირველი პრეცედენტი ცხინვალის კონფლიქტის ზონაში. ამ სროლების დასარეგულირებლად პოლიტიკური ნება არ ჩანდა. გოგა ხაინდრავას სახელმწიფო მინისტრობიდან გადაყენების შემდეგ მერაბ ანთაძე დაინიშნა, ანთაძის შემდეგ დავით ბაქრაძე და მან სამშვიდობო პროცესის სრული ტორპედირება მოახდინა. ეს გამოიხატებოდა იმაში, რომ შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეებს იგნორირებას უკეთებდა და არ ხვდებოდა. ბაქრაძე ანთაძისა და ხაინდრავასგან განსხვავებით ერთხელაც არ იყო ცხინვალში ნამყოფი. შემდეგმა სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა საერთოდ უარი განაცხადა შერეულ სამშვიდობო კომისიაზე, როგორც ფორმატზე. ამან კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია, რადგან ეს ფორმატი (შსკ) ერთადერთი გარანტია გახლდათ რეგიონში მშვიდობის შესანარჩუნებლად.

– რა მდგომარეობა იყო ომის წინა დღეებში ხეობაში?

– ფაქტობრივად, ორ სამშვიდობო ბატალიონს (რუსულსა და ჩრდილოოსურს) რუსული მხარე აკონტროლებდა. რუსულ ბატალიონში იყო 560 სამხედრო მოსამსახურე, ჩრდილოოსურში – 560 და ქართულშიც ამდენივე. ქვეითთა ჯავშანტექნიკა, ე. წ. **ბმპ,** ქართულში – 13, ჩრდილოოსურსა და რუსულში კი 22-22 ჰყავდათ. საერთო ჯამში 44 ერთეული ჯავშანტექნიკა ომის დაწყებამდე მომართული იყო ქართული სოფლების წინააღმდეგ. როგორც ჩანს, ქართული სამშვიდობო ბატალიონის სარდალმა ყურაშვილმა იცოდა რა შექმნილი მდგომარეობა, 2007 წლის ივლისში ჩამოაყალიბა გეგმა და გეგმაზე მიბმული სწავლება. სწავლების მიზანი იყო მშვიდობიანი მოსახლეობის გადარჩენა და უსაფრთხო რაიონში გადმოყვანა. როგორც ჩემთვის ცნობილია, ყურაშვილს უკვე ჰქონდა რუკები და ადგილზე მიბმული სავარაუდო მოქმედებების სქემები, რასაც, სამწუხაროდ, გენშტაბზე ვერ ვიტყვით.

– რა მოხდა 2008 წლის 7-დან 8 აგვისტოს ღამით?

– დიდი დანაშაული, რომლის სურათიც თანდათანობით იკვეთება. ახლახან შევიტყვე გასაიდუმლოებული ინფორმაცია, რომ გენშტაბის გეგმის მიხედვით, ცხინვალზე შეტევა დილის 5 სთ-ზე უნდა დაწყებულიყო და სამხედრო ნაწილებს მოქმედების დაწყების ვადა რატომღაც ოთხი საათით უკან, ღამის პირველ საათზე გადმოუწიეს. სწორედ ამან გამოიწვია გეგმების არევა.

– ვინ გასცა ეს ბრძანება დროის გადმოწევის შესახებ?

– ამის თქმა მე არ შემიძლია. თუმცა, შემიძლია გითხრათ, რომ იმ სამხედრო მაღალჩინოსანმა, რომლისგანაც შევიტყვე ამის შესახებ, დასძინა, ეს რომ ადრე მეთქვა, მომკლავდნენო. ეს ბრძანება სამხედრო ნაწილებმა გენშტაბის უფროსის, ზაზა გოგავასგან მიიღეს. როგორც ჩანს, მან დავალება ზემდგომებისგან ტელეფონით მიიღო. ისე პარადოქსულია, რომ ხსენებულ ბრძანებებს გასცემდა უშიშროების საბჭო, რომლის შემადგენლობაში არ იყო გენშტაბის უფროსი გოგავა და სამაგიეროდ იყო ქალაქის მერი უგულავა!

– ბრძანება ვადის გადმოწევის შესახებ გოგავამ უგულავასგან მიიღო?

– ვერ გეტყვით, ყოველ შემთხვევაში, უგულავა იქ იყო კეზერაშვილთან ერთად. ვადის გადმოწევა გეგმის არევას ნიშნავდა, რაც ოპერაციის ჩავარდნის უტყუარი წინა პირობაა. როდესაც ასეთ გადაწყვეტილებას იღებ, ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი საომარი გეგმა უნდა დაშალო. შეტევა მართლაც დაიწყო ღამის პირველ საათზე და როგორც სამხედროები ამბობენ, ამ დროისთვის ყველა ტანკიც კი არ იყო გადმოტვირთული მატარებლიდან.

– როგორი იყო ცხინვალის დაკავების გეგმა?

– ქართულ ჯარს სამი კოლონის საშუალებით უნდა ემოძრავა. მარცხნიდან უნდა ყოფილიყო მე-4 ბრიგადა კალანდაძის მეთაურობით, მარჯვნიდან – მე-3 ბრიგადა კაპანაძის მეთაურობით, ცენტრალურ მიმართულებას კი ხელმძღვანელობდა გენერალი ყურაშვილი, რომელიც უშუალოდ ცხინვალში უნდა შესულიყო. როგორც ჩანს, მე-3 და მე-4 ბრიგადების ამოცანა გახლდათ ორივე ფლანგზე სოფლებისა და სტრატეგიული სიმაღლეების დაკავება. ეს საშუალებას მისცემდა ცენტრალურ კოლონას, ცხინვალში შესულიყო, ქალაქი გაეწმინდა ბალა ბესტაევის ე. წ. **“ოპოლჩენცებისგან”** და თამარაშენის ბლოკპოსტამდე მისულიყო.

– მოახერხეს ქართულმა ნაწილებმა ამ გეგმის შესრულება?

– როგორ მოახერხებდნენ, როდესაც თავიდანვე გეგმა აირია. მოკლედ, ცენტრალური კოლონა შევიდა ქალაქში და რამდენიმე ჯგუფმა თამარაშენის ბლოკპოსტამდეც კი მიაღწია, მაგრამ ფლანგები ჩამორჩნენ. მე-3 ბრიგადის მხოლოდ 31-ე ბატალიონმა მოახერხა და დაიკავა სოფელი დმენისი, მე-4 ბრიგადამ კი, იმის მაგივრად, რომ სიმაღლეები დაეკავებინა, რატომღაც ე.წ. **“დუბოვაია როშჩაში”** დასასვენებლად განლაგდა. გეგონებოდათ, რომ ვიღაცამ შეგნებულად შეუცვალა ბრძანება ფლანგურ მე-3 და მე-4 ბრიგადებს, რათა დომინირებულ სიმაღლეებზე არ ასულიყვნენ და ცენტრალური კოლონა ხაფანგში აღმოჩენილიყო(!).

– კი მაგრამ, რატომ?

– საქმე ის არის, რომ როგორც ახლა ირკვევა, მოწინააღმდეგის ძალები უკვე განლაგებული იყვნენ გუფთის მთაზე და ელოდებოდნენ, როდის დაიკავებდნენ ქართული სამხედრო ნაწილები ცხინვალს, რათა დაფიქსირებულიყო ქართველების ძალადობა ქალაქში, მშვიდობიანი მოსახლეობის შევიწროება, მათ შორის მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლიც. ალბათ, იყო მეორე მიზანიც – ქართული სამხედრო ნაწილების **“ტომარაში”** მოქცევა, მათი ქალაქშივე განადგურება, რაც მოიტანდა ქართველებისთვის სამაგალითო მსხვერპლს და საბრძოლო მოქმედებების შედეგად ცხინვალის დანგრევას და ესეც ქართველებს დაბრალდებოდათ.

– უცნაური ტერმინია, რას ნიშნავს სამაგალითო მსხვერპლი?

– ეს ნიშნავს დაღუპულთა დიდ რაოდენობას. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა და მხარდაჭერის გარეშე დარჩენილმა ცენტრალურმა კოლონამ დროზე გამოაღწია ცხინვალიდან. თუმცა, მანამდე ავიაციამ იერიში მიიტანა ქართულ ნაწილებზე, მათ შორის **“დუბოვაია როშჩაში”** განლაგებულ მე-4 ბრიგადაზე. აგვისტოს ომში 177 დაღუპული სამხედრო მოსამსახურიდან 135-მდე სწორედ მე-4 ბრიგადაზე მოდის. გარდა ამისა, 11-ვე სამშვიდობო ცხინვალში განთავსებულ ე. წ. **“ვერხნი გარადოკში”** დაიღუპა. მანამდე კი, ქართული ჯარის ცენტრალურმა კოლონამ ისე გაიარა სამშვიდობოებით დაკომპლექტებული 5 საგუშაგო, რომ მათთან საბრძოლო შეხება არ ჰქონია. სწორედ **“ვერხნი გოროდოკთან”** იდგა ჩრდილოოსური სამშვიდობო ტანკი, რომელიც ქართულ მხარეს ესროდა. ამის შემდეგ მოხდა საბრძოლო შეტაკება, რის შემდეგაც დაიღუპნენ რუსი სამშვიდობოები. ამ შემთხვევაშიც ბურუსით არის მოცული, ვინ გასცა ბრძანება სამშვიდობოებთან საბრძოლო მოქმედებების დაწყების თაობაზე. რიგითი სამხედროები ამბობენ, რომ უშუალო მეთაურმა **“ვერხნი გოროდოკთან”** მიახლოებისას უშიშროების საბჭოს ერთ-ერთ წარმომადგენელს შეატყობინა, რუსების სამშვიდობო პოსტიდან გვესვრიან და როგორ მოვიქცეთო. რა პასუხი მიიღეს იქიდან, რთული მისახვედრი არ უნდა იყოს.

– ბატონო მამუკა, თქვენი აზრით, რა იყო ცხინვალის ოპერაციის მთავარი მიზანი – ქალაქის აღება, საბოლოო იურისდიქციის აღდგენა?

– მართალი გითხრათ, მიზანს კარგად ახლაც ვერ ვხვდები. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ერთ დიდ პროვოკაციაში იყო პატარ-პატარა პროვოკაციათა მთელი წყება. გარდა ამისა, ვფიქრობ, ქართულ მხარეს იყვნენ ადამიანები, რომლებიც მოწინააღმდეგის ინტერესებს ემსახურებოდნენ. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ორივე მხარეს სჭირდებოდა დიდი მსხვერპლი (მათ შორის მშვიდობიან მოსახლეობაში), რათა თავიანთი მიზნები გაემართლებინათ. ეს უკვე გამოძიების საქმეა. ჩემი აზრით, გამოძიება სასწრაფოდ უნდა დაიწყოს. უნდა გამოიკითხონ ამ ბრძოლებში მონაწილე მაღალი ჩინის ოფიცრები, უპირველესად გენერალი მამუკა ყურაშვილი, რომელიც, ჩემი აზრით, ერთ-ერთი იყო, ვინც დასახულ ამოცანას კარგად გაართვა თავი და ვისაც ყველაზე ნაკლები მსხვერპლი ჰყავდა. ეს გამოძიება დღეს სჭირდება ქვეყანას იმისთვის, რომ მავანთ აღარ გაუჩნდეთ პროვოკაციის მოწყობის სურვილი და საქართველოს ინტერესები აღარ შეეწიროს ქართველ და უცხოელ პოლიტიკოსთა გაურკვეველ ავანტიურებს.

თ. როსტიაშვილი

2013 წლის 21 მარტს საქართველოში დასრულდა ედუარდ შევარდნაძე

დიახ, ძვირფასო მკითხველო, არ გეგონოთ, რომ ამ ინფორმაციის სათაურში რაიმე შეცდომაა გაპარული – 2013 წლის 21 მარტს საქართველოში ნამდვილად დასრულდა ედუარდ შევარდნაძე, რომლის მსახვრალი ხელი აღნიშნულ თარიღამდე რეალურად მართავდა საქართველოს და დაღუპვისაკენ მიჰყავდა იგი.

დღეს უკვე ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ 2003 წელს საქართველოში არავითარი **“ვარდების რევოლუცია”** არ მომხდარა და ეს გახლდთ ევროამერიკელებისა და შევარდნაძის მიერ უნიჭოდ დადგმული ბინძური პოლიტიკური სპექტაკლი, რადგან ასაკში შესული შევარდნაძე ვეღარ იყო აქტიური საქართველოს დანგრევის საქმეში და ამიტომაც მოიყვანეს საქართველოს სათავეში ამორალური, ზნედაცემული, გარყვნილი და შეურაცხადი სააკაშვილი, რომელმაც ახალგაზრდული შემართებით გააგრძელა დამანგრეველი პროცესები თავის ბანდასთან ერთად. სწორედ ეს ბანდა ცდილობდა, ქვეყნის სათავეში მოსვლის დღიდან, სულელი სააკაშვილისაგან დიქტატორის გამოძერწვას, რაც ნაწილობრივ განახორციელა კიდეც, კონსტიტუციაში თავხედური და ცინიკური ცვლილებების შეტანის შედეგად, მაგრამ ქართველი ხალხი არ გამოდგა მონურად ქედდადრეკილი გადამთიელი სააკაშვილის დიქტატურის წინაშე და 2012 წლის ოქტომბერში კისრიდან მოიშორა ნაციონალთა ძალადობრივი ხელისუფლების სამარცხვინო უღელი!

2013 წლის 21 მარტს კი საქართველო საბოლოოდ განთავისუფლდა შევარდნაძე-სააკაშვილის ავბედითი ტირანული მმართველობისაგან!

სავარძლის დაკარგვის რეალური საფრთხისაგან ჭკუიდან გადასულმა სააკაშვილმა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებული კენჭისყრის შესახებ ჩვეულად თავხედური განცხადება გააკეთა. მიხეილ სააკაშვილის თქმით, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ დაამტკიცა, რომ არასდროს დანებდება შანტაჟსა და ზეწოლას და ყოველთვის იქნება მზად კომპრომისისთვის საქართველოს მოქალაქეებისა და ევროპული მომავლის საკეთილდღეოდ. და ამას ამბობს ადამიანი, რომლის მთელი მმართველობა, 9 წლის მანძილზე, სწორედ შანტაჟსა და ზეწოლაზე იყო დაფუძნებული.

ამავე დროს, დამწუხრებულსახიანმა სააკაშვილმა მადლობა გადაუხადა საპარლამენტო უმცირესობის ყველა წარმომადგენელსა და ოპოზიციის თითოეულ წევრს და აღნიშნა, რომ ამ პირობებში მათი წინააღმდეგობა ძალზე მნიშვნელოვანი, დასაფასებელი და აუცილებელი იყო დემოკრატიისა და დამოუკიდებლობის გადასარჩენად. ეს სიტყვები კი იმ სააკაშვილს ეკუთვნის, რომელმაც კონსტიტუციაში უხეში ჩარევით გააუპატიურა დემოკრატია, თავისუფლება და ტირანიას სანიმუშო მმართველობის ფორმად ასაღებდა მის მიერ მოქრთამული ევროპარლამენტარების მხარდაჭერით!

სასაცილოა ეს ყველაფერი, სატირალი რომ არ იყოს!

შეგახსენებთ, საპარლამენტო უმრავლესობა დღის ბოლოს იძულებული გახდა ნაციონალური მოძრაობის მოთხოვნა სარეიტინგო კენჭისყრის ჩატარების შესახებ დაეკმაყოფილებინა. შესაბამისად, სწორედ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი საკონსტიტუციო ცვლილებების პირველი მოსმენით მიღება, რადგან საპარლამენტო უმცირესობის მხარდაჭერის გარეშე, უმრავლესობამ, რომელიც მანამდე აცხადებდა, რომ საჭირო 100 ხმას უპრობლემოდ მოაგროვებდა, ეს ვერ შეძლო. საბოლოოდ, პროექტი, ოპოზიციის დახმარებით, 135 ხმით არცერთის წინააღმდეგ მიიღეს.

მანამდე კი სააკაშვილი და მისი ნაცბანდა მათთვის დამახასიათებელი ბინძური მეთოდებით მოქმედებდნენ. **“ქართული ოცნების”** კოალიციის წევრ პარლამენტართა განცხადებით, **“ნაციონალური მოძრაობის”** მხრიდან ადგილი ჰქონდა იმ დეპუტატთა კენჭისყრისგან იზოლირების მცდელობას, რომლებიც შესაძლებელი იყო, რომ მათ არ დამორჩილებოდათ. მაგალითად, რამდენიმე დეპუტატი **“ნაციონალური მოძრაობიდან”,** რომელიც 21 მარტის პლენარულ სხდომას ესწრებოდა, **“უცებ საღამოს აღმოჩნდა, რომ სადღაც გაფრინდა”.**

უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა მათი კოლეგების სახელი არ დააკონკრეტა და მხოლოდ ის აღნიშნა, რომ **“იყო ერთი-ორი ასეთი დეპუტატი”.** მაგრამ მაინც ვერაფერმა უშველა **“პოლიტიკური სანაგვისათვის”** გახაზირებულ სააკაშვილსა და ნაციონალებს და შეურაცხად სააკაშვილს წაართვეს ის ბერკეტი (პარლამენტისა და მთავრობის ერთპიროვნულად დათხოვნის უფლება), რომლითაც მას საქართველოში პოლიტიკური კრიზისის გამოწვევა შეეძლო. ამრიგად, ასპიდს შხამიანი კბილი ამოთხლიშეს და დღეიდან იგი არავითარ საფრთხეს აღარ წარმოადგენს ქართველი ხალხისათვის.

ასე დასრულდა შევარდნაძის ავბედითი 45-წლიანი მმართველობა საქართველოში და მან თავის პოლიტიკურ შლეიფ სააკაშვილთან ერთად პოლიტიკურ მოუსავლეთში გადაინაცვლა, რასაც გულითადად ვულოცავთ სრულიად საქართველოს!

ამ საკითხთან დაკავშირებით, ვრცელ წერილს, მოგვიანებით მივაწვდით ჩვენს მკითხველს!

ამასობაში კი სააკაშვილი გართობასა და დროსტარებას ვერ ივიწყებს

თუ ადრე სააკაშვილი **„საკურას“, „ბუფეტს“** და **„ბუდა ბარს“** სტუმრობდა და ხმაურიან წვეულებებს აწყობდა, ახლა ვაკეში, ძირითადად, გეგეშიძის ბაღთან მდებარე რესტორან **„დაინინგ რუმს“**, ჭავჭავაძეზე მდებარე **„პომიდოროსიმოს“** (რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით, გიორგი კოდუას საკუთრებაა) და თამარაშვილზე მდებარე ფრანგულ რესტორან **„La Truffe“**-ს სტუმრობს. გვესაუბრება **„თავისუფალ სტუდენტთა კავშირის“** თავმჯდომარე **ნიკა მეტრეველი:**

– რესტორანი **„La Truffe“** ჩემი სახლის პირდაპირ მდებარეობს. შაბათს, 16 მარტს, დაახლოებით, 22 საათზე, გადაიკეტა თამარაშვილის ქუჩა, კორპუსების სახურავებზე სნაიპერები განლაგდნენ, მოვიდა სახანძრო სამსახური, რის შემდეგაც რესტორანს ეწვია მიხეილ სააკაშვილი, მრავალრიცხოვანი დაცვის თანხლებით. პრეზიდენტს შეუძლია, რესტორანში მივიდეს, ივახშმოს და გაერთოს, მაგრამ მაშინ, როდესაც უამრავი სტუდენტი მხოლოდ იმიტომ გარიცხეს უნივერსიტეტიდან, რომ სწავლის საფასური ვერ გადაიხადეს და ქვეყანაში დიდი გაჭირვებაა, სირცხვილია გართობაზე ფიქრი.

– რამდენ ხანს დარჩა სააკაშვილი რესტორანში და ვისთან ერთად იყო?

– სააკაშვილი რესტორანს ქალებთან ერთად ეწვია, მაგრამ ვინ იყვნენ ისინი, არ ვიცი.

გაზეთი “ᲘᲚᲝᲠᲘ”

გახარიების გვარის დალოცვა

2013 წლის 1 სექტემბერს საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II დალოცავს გახარიების გვარს. ამისათვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივი ძალით დაწერა (დახატვა), რისთვისაც “ლიბერთი ბანკში” გახსნილია ანგარიში. GE36LBO111199431911000 (პ.ა. ლიანა გახარიას სახელზე) მნიშვნელოვანია, ყველა გახარიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა.

დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ: 599728591

მიმართვა! ჩემს აფხაზ დედებსა და მამებს, დებსა და ძმებს, მეგობრებს!

ჩემო ძვირფასებო! არც კი ვიცი, როგორ დავიწყო თქვენთან ამ წერილის მეშვეობით მაინც ღიად გასაუბრება, მაგრამ ორივე მხარეს – თქვენცა და ჩვენც გვეკუთვნის ეს პრივილეგია და ამ უფლებას ჩვენ ვერავინ წაგვართმევს, რამეთუ მრავალსაუკუნოვანი ნათესაური კავშირით ვართ შეკრული და ამის იავარყოფა ხელარგვეწიფება, არც უფალი გვაპატიებს. მართალია, ჩვენს შორის (ხაზს ვუსვამ – დროებით) ჩამოწვა შავი დრუბელი, მაგრამ დამერწმუნებით, ეს ჩვენი ბრალი არ ყოფილა. ეს გახლდათ იმ ვაიპოლიტიკოსების **"მოღვაწეობის"** შედეგი, რომელთანაც ჩვენ, უბრალო მოკვდავთ, არაფერი გვაკავშირებდა. განხორციელდა ის, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ ამაში, საბედნიეროდ, ჩვენი უბრალო ხალხის ბრალეულობა არ იკვეთება და არც შეიძლება გამოიკვეთოს.

ამ ცრუ და ყოვლად გაუმართავმა პოლიტიკამ შედეგად ის მოგვცა, რომ მოყვრები ერთმანეთს მტრებად გადაგვკიდა და ამან მხოლოდ მტრის წისკვილზე დაასხა წყალი, ხოლო დოლაბი კი ჩვენს თავზე დაატრიალა.

თუ მე კდემამოსილი აფხაზი ძიძის ძუძუ მიწოვია და მყავს აფხაზეთში ძუძუმტე, მხოლოდ სიკვდილმა უნდა დამავიწყოს ეს და – პირიქით.

ჩვენ ჭკვიანი და საზრიანი ხალხი ვართ და, სამწუხაროდ, დედამიწის ზურგზე სხვა ეთნიკურად მონათესავე ერები არ გაგვაჩნია. ამიტომაც ვუმაგრებდით ზურგს ერთმანეთს საუკუნეთა განმავლობაში და სწორედ ამ ერთობამ გადაგვარჩინა განადგურებისაგან, მაშინ, როცა აღიგავენ პირისაგან მიწისა ერთ დროს ძლიერი სახელმწიფოები და ერები.

ვისაც ერთხელ მაინც წაუკითხავს აწ განსვენებული ბატონ დიმიტრი გულიას **„კამაჭიჭი"**, იმან კარგად უნდა გაითავისოს ვინ და როგორია აფხაზი ქალი, ქართველი ქალი. ისეთ სისხლხორცეულად დაკავშირებულ ხალხს, როგორიც ჩვენ ვართ, არა მგონია, გვჭირდებოდეს შუამავალი.

შუამავალი, მით უმეტეს, თუ მას პირადი ანგარება და ინტერესი ამოძრავებს, როგორც მატიანე მოგვითხრობს, ყოველთვის გამორჩენაზეა და ამახინჯებს იმ აზრსა და სათქმელს, რომელიც უშუალოდ უნდა მივიტანოთ ერთმანეთთან. როგორც ზემოთ აღვნიშნე, უგუნურმა და გაუაზრებელმა პოლიტიკამ, ორივე მხრიდან (სხვების წაქეზებით), რომლის მსხვერპლიც ჩვენ აღმოვჩნდით, ძმას ძმაზე ხელი აღამართვინა, ერთმანეთი დაგვახოცინა. მაგრამ მწამს, რომ ამ სისხლისმღვრელმა უთანხმოებამ ჩვენი ძმობის სიწმინდე, მრავალსაუკუნოვანი ნათესაობა დროებით მიაჩუმათა, საბოლოოდ კი ვერ მოსპო.

ჩვენს ომში გმირი არავინ ყოფილა, მოგებული არავინ დარჩენილა, გარდა იმ იუდებისა, რომლებმაც ჩვენ ამ ძმათა მკვლელი ომისკენ გვიბიძგეს. ახლა, კონფლიქტიდან ამდენი დროის გასვლის შემდეგ, მე მჯერა – ორივე მხარეს გათავისებული გვაქვს, რომ არასწორად მოვიქეცით, როცა ერთმანეთს იარაღი მივუშვირეთ. ისიც მჯერა, რომ ერთმანეთს სამუდამოდ ვერ დავკარგავთ. ჩვენს ერთმანეთთან შერიგებას კი, აღარაფერი უნდა დასჭირდეს, ჩვენივე კეთილი ნების გარდა. ტყუილი კი არ არის, ნათქვამი ბრძნული ანდაზა: **„აქლემები ჩხუბობდნენ და შიგ კოზაკი გაიჭყლიტაო"**. ამ შემთხვევაში **„კოზაკს"** ჩვენ წარმოვადგენთ და არ უნდა მივცეთ **„აქლემებს"** გაგვჭყლიტონ. უნდა დაიგმოს თავსმოხვეული მწვავე საკითხების მიჩუმათების პრაქტიკა, ხელი უნდა შევუწყოთ კონსტრუქციული, უშუალო დიალოგების წარმოშობას. საბოლოოდ უნდა გავარკვიოთ რაში ვეთანხმებით ერთმანეთს და რაში არა, გამოვნახოთ საერთო ენა, რაც უფრო მჭიდროდ დავუკავშირდებით ერთმანეთს და საბოლოოდ აღვადგენთ იმ ჩატეხილ ხიდს, რაც ჩვენს შორის სამწუხაროდ დღემდე დარჩა. ჩვენი აფხაზი ძმები, არა მგონია ფიქრობდნენ, რომ მათ გასაჭირს საქართველოს გარეთ უკეთ გაიგებენ და უთანაგრძნობენ. ჩვენ ერთმანეთს ვერ დავკარგავთ, რამეთუ გვაკავშირებს უდიადესი გრძნობა, რასაც ერთ–ურთის სიყვარული ჰქვია. თითოეულმა ჩვენგანმა წარმოიდგინოს რას ჰქვია ენგურსგაღმა–გამოღმიდან შეჰყურებდე შენს თვისტომს, შენს დას, შენს მორდუსა თუ ძიძას, რომელსაც გინდა ყოველ წუთს მოესიყვარულო, ამას კი გიკრძალავდეს არათვისტომი, ორივე მხარისთვის უცხო. ჩვენი უბრად ყოფნა, ერთმანეთის მტრობა (რაც თავს მოგვახვიეს) ორივე მხარის დაკნინებისა და დეგრადაციის მიზნით არის განხორციელებული და ეს ჩვენ ფართო ასპექტში უნდა გავისიგრძეგანოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში გადაგვარებისა და გადაჯიშების საფრთხე ძალიან ახლოსაა რასაც შემდგომ ვედარაფერს ვუშველით. ბევრ შემთხვევაში (ღმერთმა ნაკლები ქნას) ტელევიზიით გადმოცემულ ნეკროლოგებით ვგებულობ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე (რომელსაც ვთვლი მშობლიურად) გარდაიცვალა ესა თუ ის პიროვნება, რომლის ხსოვნისთვის პატივის მიგება და დაკრძალვის ცერემონიალზე დასწრება შეუძლებელია, რადგან ამის შესაძლებლობა პრაქტიკულად დაკარგული გვაქვს. ამ სამწუხარო, მაგრამ ფრიად საჭირო ადათ-წესებში, რიტუალებში დასწრება და მონაწილეობა რატომ არ უნდა შეგვეძლოს?! რა გვაქვს გასაყოფი ხალხს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე, ჭირსა თუ ლხინში გვერდში ვედექით ერთმანეთს?! დადგა დრო იმისა, რომ გავმართოთ უშუალო დიალოგი, სჯაბაასი, გავარკვიოთ საკითხი, თუ რამ მიგვიყვანა ამ მდგომარეობამდე, რომ ვცეკვავთ სხვის დაკრულზე! ჩვენმა ხალხმა უნდა გამართოს პირდაპირი საუბარი, რამეთუ ვართ ერთ სულ, ერთ ხორც.

დარწმუნებული ვარ, ამ მიმართვას დადებითი გამოხმაურება მოჰყვება, გვექოფა იმის ჭკუა და მიხვედრილობა, რომ კვლავ ერთად უნდა ვიყოთ ჭირსა თუ ლხინში, ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე. ძმები მუდამ რჩებიან ძმებად.

პატივისცემით:

როზმირ გოგენია,
ქ. ზუგდიდი

"სომხებს ისტორიული ტყუილისათვის ბოდიშის მოხდა მოუწევთ"

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის რონალდ რეიგანის ყოფილი მრჩევლის განცხადებით, თეთრმა სახლმა, 1915 წელს ოსმალეთის იმპერიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით გამოძიება ჩაატარა.

რეიგანის ყოფილი მრჩევლის, ბრიუს ფეინის განცხადებით, **"სომეხთა გენოციდზე"** საუბარი უსაფუძვლოა, რადგან 1915 წელს სომხებზე ბევრად მეტი თურქი დაიღუპა.

"პრეზიდენტ რეიგანის დავალებით ჩვენ მაშინ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოძიება ჩავატარეთ. აღმოჩენილ იქნა მასალები, რომლებიც ევროპის ქვეყნების სამხედრო არქივსა და ოსმალეთის მაშინდელი იმპერიის არქივში ინახებოდა. გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ იმ პერიოდში ბევრად მეტი თურქი დაიღუპა, ვიდრე სომეხი. გამოძიებამ დაადგინა, რომ სომხების პრეტენზიები გენოციდთან დაკავშირებით უსაფუძვლოა. ზღაპრები "სომხების გენოციდის" შესახებ თავად სომეხი ისტორიკოსების წარმოსახვის ნაყოფია", – განაცხადა მან.

მისი თქმით, სომეხმა ბანდფორმირებებმა ანატოლიის ტერიტორიაზე 2 მილიონზე მეტი თურქი მოკლეს.

"არ შეიძლება ერთი გარემოების დავიწყება, რომ ყველა ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობა იმ პერიოდში თურქეთში იმ პრივილეგიებით სარგებლობდა, რითაც თავად თურქები. ბერძნები, სომხები, ქურთები, ჩერქეზები, ასირიელები, არაბები და სხვა უმცირესობები, იმ პერიოდში, თურქეთში საკმაოდ მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ. ამ მხრივ სომხები ყველაზე დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ. პირველი მსოფლიო ომის წლებში, სომეხმა თურქებმა უღალატეს სამშობლოს და ოსმალეთის იმპერიის მტრებს შეეკვრნენ. სომხური ქვედანაყოფები კავკასიის ფრონტზე რუსულ არმიასთან გვერდიგვერდ იბრძოდნენ. ისინი ძარცვავდნენ და წვავდნენ თურქულ და ქურთულ სოფლებს და კლავდნენ მშვიდობიან მოსახლეებს. 2 მილიონი ადამიანი დაიღუპა. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების მსვლელობისას თურქულმა მხარემ უფლება მოგვცა გვესარგებლა მათი არქივებით, სომხები კატეგორიულ უარს აცხადებდნენ საკუთარი არქივების ჩვენებისაგან. ჩემი აზრით, ამ არქივების გახსნა თუ მოხერხდა სიმართლე აუცილებლად გამოაშკარავდება. მაშინ სომხებს მოუწევთ ბოდიში მოუხადონ მსოფლიოს და, მათ შორის, განსაკუთრებით, თურქებს, ისტორიული ტყუილისათვის," – დასძინა ფეინმა.

სომხური წყაროების მიხედვით **"სომხეთის გენოციდი"**, 1915-1918 წლებში ოსმალეთის იმპერიის თვითმმართველთა მიერ იყო დაგეგმილი და განხორციელებული, რასაც, თითქოს, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სომეხი მოსახლეობის განადგურება მოჰყვა. ამავე წყაროების მიხედვით, ამ წლებში, რამდენიმე ასეული ათასიდან ორ მილიონამდე სომეხი დაიღუპა.

ამ საკითხთან დაკავშირებით, მკითხველისათვის უდავოდ საინტერესო იქნება ნაწყვეტი შესანიშნავი რუსი პუბლიცისტის ვასილ ველიჩკოს **ნაწარმოებიდან "კავკასია":**

"როგორც საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 1897 წელს გამოქვეყნებული დოკუმენტიდან ჩანს, თურქეთში მონაცემები ასეთი სომხური ავტონომიისათვის არ არის და არც არასოდეს ყოფილა. მე-2 გვერდზე ნათქვამია: "სხვადასხვა ტომების გადანაწილების დაწვრილებითი შესწავლის მასალები საშუალებას გვაძლევენ დავასკვნათ, რომ *თურქეთის იმპერიის არცერთ ვილაიეთში სომხები არ წარმოადგენდნენ მოსახლეობის უმეტესობას*". ამას ცალსახად ადასტურებენ მათ მიერ ადგილებზე მოპოვებული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გენერალური შტაბის კავკასიის ოფიცრები გენერალი ზელიონი და პოლკოვნიკი კარცევი. აღნიშნული წიგნის მე-12 გვერდზე, თურქეთის ხელისუფლებაში საფრანგეთის ელჩის, ბატონ კამბონის წერილში მინისტრ განოტოსადმი, ნათქვამია, რომ დამოუკიდებელ *სომხეთზე ფიქრიც კი ზედმეტია*, და თუ რაიმე დაუჯერებელი პირობების გათვალისწინებით ევროპა შემოგვთავაზებს სომხეთის შექმნას, პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება ამ ახალი სახელმწიფოს საზღვრების აღდგენა.

იგივე ბატონი კამბონი გვაუწყებს, რომ *თურქეთში მიმდინარეობს სომხური აჯანყების ძლიერი პროპაგანდა, რომელიც ხელოვნურადაა მომზადებული ინგლისის მიერ,* და, ნაწილობრივ, როგორც სჩანს დიარბექირის საფრანგეთის ვიცე-კონსულის 1894 წლის მოხსენებიდან, *ამ საქმეში ჩარეული აღმოჩნდა ტფილისიც*. აი, რას სწერს ბატონი მერიე თავის უფროსს: "ამბობენ, რომ მოძრაობა დიდი ხნის წინ იყო მომზადებული საზოგადოება "გნჩაკის" მიერ, რომლის მმართველობა დღეისათვის მდებარეობს ტფილისში, ადრე კი განთავსებული იყო ლონდონში და ათენში. ინსურგენტები (მეამბოხეები) ემორჩილებიან სწორედ ამ საზოგადოების ბრძანებას".

შეიძლება დავუმატოთ, რომ სომეხი რევოლუციონერების სხვა ჯგუფი, რომლის სახელწოდებაა "დროშაკი" (ქართულად – დროშა), თავმოყრილია ამავე სახელწოდების გაზეთის გარშემო, რომელიც დღესაც გამოდის. იგი არ გამოდის ჩვენს ტერიტორიაზე, თუმცა, "დროშაკისტები" კავკასიაში არც თუ ცოტანი არიან.

საფრანგეთის ელჩის მთელ რიგ მოხსენებებში, რომლებიც გამსჭვალულია სომხების, როგორც ქრისტიანობის მიმართ ღრმა სიმპატიით, ასევე სერიოზული რეფორმებისადმი სწრაფვით, სამწუხაროდ, გულწრფელად იზიარებს რუსული დიპლომატია. ბატონი კამბონის მიერ ჩამოთვლილია მთელი რიგი მხეცური პოლიტიკური მკვლელობებისა, რომლებიც ჩაიდინეს სომხეთის რევოლუციური კომიტეტის წევრებმა და მათ მიერ დაქირავებულმა პირებმა. იგი ასევე ხაზს უსვამს ფრიად დამახასიათებელ ფაქტს, რომელიც შემდგომ გადამოწმებულ იქნა ჩემს მიერ – *სომხების უდიდესი ნაწილი არ თანაუგრძნობს რევოლუციას, მხოლოდ თურქეთის სომეხთა მცირე ნაწილი უფრთხის თავისი წინამძღოლების მუქარას და ტერორს და თავისი სურვილის წინააღმდეგ ერთვება ბრძოლაში*. თურქეთიდან ლტოლვილი ბევრი სომეხი, რომელთაც მე გავსაუბრებივარ, გულწრფელად აღიარებდა, რომ *რუსეთში გამოექცა არა თურქებს, არამედ თავისივე ტერორისტებს.*

მოხსენიებულ წიგნში *საუბარია მასობრივ უწესრიგობებზე, რომლის სულის ჩამდგმელებიც სომხები იყვნენ* და *რომლებიც თავად ესხმოდნენ თავს თურქებსა* და *ქურთებს, რათა გამოეწვიათ სისხლისღვრა.* უწესრიგობებისა და აღმაშფოთებელი მხეცობების კონსტანტინეპოლში დაწყებამდე, სადაც, როგორც ცნობილია, სომეხთა ბრბო დინამიტური ბომბებით შეავარდა "ოტომანთა ბანკში", სომხეთის რევოლუციურმა კომიტეტმა უშუალოდ მიმართა ბატონ კამბონს რაღაც ნოტისმაგვარი განცხადებით, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ სომხებმა გადაწყვიტეს ჩაატარონ *"მშვიდობიანი დემონსტრაცია"* და რომ, სომეხთა კომიტეტი არ აგებს პასუხს შედეგებზე, თუ საქმეში ჩაერევა პოლიცია. მომდევნო მანიფესტაციისას თავად ხოცავდნენ თურქ პოლიციელებს და ჟანდარმ ოფიცრებსაც კი. სწორედ ეს გახდა ბიძგი, რამაც სომეხთა საშინელი ხოცვა-ჟლეტვა გამოიწვია, რომლის გააზრებაც კი ურუანტელის მომგვრელია. მითითებული წიგნიდან ნათელი ხდება, რომ *სომეხთა გენოციდს სათავე დაუდეს თავად სომეხმა რევოლუციონერებმა თავისი გამომწვევი საქციელით, რომელსაც მიზანდასახულად და მთელი შეგნებით ახორციელებდნენ,* რომ ინგლისის ელჩი და კონსული ყოველი საშუალების გამოყენებით ცდილობდნენ მოვლენათა გაზვიადებასა და გართულებას, რუსეთისა და საფრანგეთის ელჩები კი, მიუხედავად თავისი სიმპატიისა ინტრიგანთა უდანაშაულო მსხვერპლებისა და სატანადაქცეული მუსულმანების მიმართ, მაინც დიდ პოლიტიკურ ტაქტს ამჟღავნებდნენ."

ასე რომ, სომხებს, როგორც სხვა უამრავ სიყალბეთა გამო, ისე, ამ სიყალბისთვისაც მოუწევთ ბოდიშის მოხდა.

ზაურ გახარია

საქართველო აქაც ერთიანი უნდა იყოს!

მოგესალმებით, ჩემო ძვირფასო მკითხველებო!

მე გაზეთ **"ილორის"** ერთ-ერთი ავტორი ვარ და მიხარია, როცა ამ გაზეთის გვერდებზე ჩემს პუბლიკაციებს ვხედავ! იმედი მაქვს, რომ გაზეთის ბევრ გულშემატკივარს ვახსოვარ ჩემიო წერილებით და ამიტომაც ვბედავ, რომ ასეთი კახური რიხით მივმართო ჩემს თანამოქალაქეებს!

მე წარმოშობით სიღნაღიდან ვარ, ქიზიყად რომ იწოდება ისტორიულად. ჩვენი კუთხე ყოველთვის ქედმოუდრეკლად იდგა მრავალრიცხოვანი მტრების წინაშე, რისთვისაც დუშმანებმა დაუმორჩილებელ და უბატონო კუთხედ მოგვნათლეს. მე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემთვის და ყველა გულანთებული ქართველისათვის საყვარელი სამეგრელოც ყოველთვის მედგრად იდგა საქართველოს ერთიანობის სადარაჯოზე. მაშინაც კი, როცა, გარკვეული მტრული ძალების მიერ, საქართველო რამდენიმე სამეფოდ იყო დაშლილი, სამეგრელოს არასოდეს უცვნია თავი ცალკე სამეფოდ, მიუხედავად იმისა, რომ საამისოდ მოსახლეობის რესურსიც საკმაო ჰქონდა და ტერიტორიებიც. სამეგრელოს მთავრებმა კარგად იცოდნენ, რომ საქართველოს პოლიტიკური რეალობიდან სამეგრელოს განზე გადგომა ჩვენი სამშობლოს საბოლოოდ დაშლა-განადგურებას ნიშნავდა. განა ამისათვის არ უხდიდნენ, ამ შესანიშნავ კუთხეს დიდ მადლობას ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვა დიდი ქართველები?!

სწორედ ამიტომ, მე მიმაჩნია, რომ სამეგრელო ყოველთვის აქტიურად უნდა მონაწილეობდეს საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, ხოლო სამეგრელოს კუთხის შვილები აუცილებლად უნდა იყვნენ საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებაში. ასევე, მე, აბსოლუტურად ვეთანხმები იმ აზრს, რომ საქართველოს დედაქალაქი მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში უნდა იყოს, რადგან სწორედ ეს მხარე განიცდის დღეს უცხოტომელთა დემოგრაფიულ დაწოლას და მართებული იქნება ისიც, რომ, დასავლეთ საქართველოდან, რაც შეიძლება მეტი ქართველი გადმოვიდეს საცხოვრებლად აღმოსავლეთ საქართველოში, სწორედ ქართული გენის გასაძლიერებლად!

მე დიდი ხანია ვთანამშრომლობ გაზეთ **"ილორთან"** და ძალიან კარგად ვიცნობ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას შემოქმედებას. მოხიბლული ვარ ამ ადამიანის გამჭრიახობით, პოლიტიკური ჭვრეტის უნარით და შინაარსიანი სატელევიზიო გამოსვლებით. ამიტომ, ძალიან გამახარა იმ გარემოებამ, რომ ქართული საზოგადოების ნაწილი სურვილს, რათა ამ ადამიანის კანდიდატურა წამოყენებულ იქნას საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე.

სააკაშვილის **"მბრძანებლობის"** შემდეგ, რაც დაკავშირებულია უამრავ სიბოროტესა და სისულელეებთან, ამ თანამდებობამ დაკარგა ხიბლი და ავტორიტეტი და ახლა სწორედ ალექსანდრე ჭაჭიასნაირი ადამიანია საჭირო, რომ პრეზიდენტის პოსტი კვლავაც აღმატებული და ავტორიტეტული გახდეს. და რაც მთავარია, ალექსანდრე ჭაჭია შესძლებს რუსების, აფხაზებისა და ოსების დარწმუნებას რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შეუვალი პროცესია და მისი გადაწყვეტა მხოლოდ დროის საქმე გახლავთ. მხოლოდ საქართველოს მხარდაჭერით შესძლებენ რუსები თავიანთი მდგრადი პოზიციების აღდგენას კავკასიაში, როგორც ეს ისტორიულად არაერთგზის მომხდარა. ამ პროცესში კი ფასდაუდებელი საქმის კეთება სწორედ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ძალუძს, როგორც გამჭრიახ პოლიტიკოსსა და დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნებას! თავის პუბლიცისტურ წერილებში ბატონი ალექსანდრე ჯერ კიდევ 1996 წელს გვაფრთხილებდა, რომ რუსეთთან უნდა გამოიძებნოს საერთო ენა და, საერთო გეოპოლიტიკური ინტერესების საფუძველზე, მათთან ერთად, უნდა შემუშავდეს ერთიანი სტრატეგიული კურსი, რაც არა და არ იქნა შესმენილი ჯერ ავადსახსენებელი შევარდნაძის, შემდეგ კი თავქარქაშა სააკაშვილის მიერ. ბატონი ალექსანდრე ჭაჭია ასევე მკაცრად გმობდა საქართველოს ხელისუფლების ანტირუსულ პოლიტიკას, რისი უგულვებელყოფა ძვირად დაგვიჯდა კიდეც!

სამეგრელო დღეს ერთადერთი იმედია, რომელსაც ეჭიდებიან აფხაზები, და თუ ჩვენ აფხაზეთში დაბრუნება გვინდა, მაშინ სწორედ აფხაზეთში დაბადებული და აღზრდილი მეგრელი კაცი უნდა ავირჩიოთ, და არა ის მეგრელი, რომელსაც აფხაზეთში კი არა, სამეგრელოშიც არ ჩაესვლება!

კახელებს სიმძიმეს გვაბრალებენ. მართლაც, ჩვენ მძიმედ თუ შევიძულებთ ვინმეს, და თუ შევიძულებთ, ეს უკვე სამუდამო განაჩენია. ასევე, მძიმედ ვიცით ხოლმე ადამიანისადმი პატივისცემით გამსჭვალვა, მაგრამ თუ ადამიანი პატივისცემის ღირსად ჩავთვალეთ, ესეც სამუდამოა!

ალექსანდრე ჭაჭია კი უდავოდ იმსახურებს მთელი საქართველოს პატივისცემას, როგორც პრინციპული პოლიტიკოსი, როგორც ადამიანი, რომელსაც სამშობლო სიცოცხლეზე მეტად უყვარს.!

ამიტომ, უნდა ვენდოთ მას და სწორედ ბატონი ალექსანდრე ჭაჭია უნდა ავირჩიოთ საქართველოს პრეზიდენტად.

გივი სომხიშვილი,
მწერალი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრემიის ლაურეატი,
სიღნაღი

IRI – „ქართული ოცნება" - 59%, „ნაცმოძრაობა" – 12%

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (**IRI**) მიერ 18-27 თებერვალს ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, რომელშიც 1500 რესპონდენტი მონაწილეობდა, **„ქართული ოცნების"** პოლიტიკურ ლიდერთა რეიტინგში პრემიერ ბიძინა ივანიშვილს გამოკითხულთა 88% უჭერს მხარს, 9% მხარს არ უჭერს, %-ს კი, ამის შესახებ, არაფერი სმენია.

რეიტინგში ხმათა 84%-ით მეორე ადგილზეა პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, მესამე პოზიცია 83%-ით ერგო თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას, მეოთხე ადგილი კი 79%-ით იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა დაიკავა.

ხმათა 76%-ით მეხუთე ადგილზეა შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, რომელსაც კვალდაკვალ მოჰყვებიან მაია ფანჯიკიძე(72 %), თინა ხიდაშელი (71 %), ვახტანგ ხმალაძე (65 %), სოზარ სუბარი (65 %), კახა კალაძე (65 %), ზვიად ძიძიგური (69 %).

კითხვაზე, მომავალ კვირას რომ საპრეზიდენტო არჩევნები იყოს, რომელ ძალას დაუჭერდით მხარს, გამოკითხულთა 59 %-მა – **„ქართული ოცნება",** 12 %-მა – **„ნაციონალური მოძრაობა",** 3 %-მა კი ქრისტიან-დემოკრატები დაასახელა.

კვლევის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეთა 57%-ს მიაჩნია, რომ საქართველოში პროცესები – სწორი, 19%-ის აზრით კი არასწორი მიმართულებით ვითარდება, ხოლო გამოკითხულთა 21%-მა კითხვას პასუხი არ გასცა.

გამოკითხული მოქლაქეების აზრით, საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი უმუშევრობა (64%), ტერიტორიული მთლიანობა (37%), ეკონომიკური მდგრადობა (32%) და სოციალური პრობლემებია (9%).

ასევე, კვლევის მიხედვით, მოქალაქეებისათვის ყველაზე დიდ საფრთხეს ომი წარმოადგენს (22%), იგივე მაჩვენებელი აქვს საერთაშორისო დაძაბულობას, სამოქალაქო კონფლიქტსა და ეკონომიკურ კრიზისს – 10%, ხოლო გამოკითხულთა 6%-თვის ყველაზე დიდი საფრთხე რუსეთის აგრესიაა.

კვლევის თანახმად, რუსეთთან დიალოგის გაგრძელებას მხარს სრულად უჭერს გამოკითხულთა 82%, ნაწილობრივ – 13%, კატეგორიულად არ უჭერს მხარს 2%, ხოლო 1%-მა კითხვას არ უპასუხა ან თქვა, რომ არ იცის.

კითხვაზე – მხარს უჭერთ თუ არა ნატოში საქართველოს გაწევრებას, 6 %-მა მიუგო, რომ სრულად უჭერს მხარს, 19%-მა – ნაწილობრივ, 6% მხარს ნაწილობრივ არ უჭერს, ხოლო 5% კატეგორიულად არ უჭერს მხარს. გამოკითხულთა 1%-მა კითხვას ან არ უპასუხა, ან განაცხადა, რომ არ იცის.

საქინფორმი

კოჰაბიტაცია, ანუ ქორწინება დემონთან

„სიკეთის ნიღაბს რომ არ ეფარებოდეს, ბოროტება ბევრს ვერაფერს გააკეთებდა ამქვეყნად".
მ. ებნერ-ეშენბახი

კოჰაბიტაცია (**Cohabitation**) ფრანგული სიტყვაა და თანაცხოვრებას, თანაარსებობას ნიშნავს. კოჰაბიტაცია სათავეს საფრანგეთის მე-5 რესპუბლიკის კონსტიტუციიდან იღებს, როდესაც საფრანგეთი ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკა გახდა. პრემიერისა და პრეზიდენტის მსგავსი **„თანაარსებობა"** კი მხოლოდ ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის დროსაა შესაძლებელი, როდესაც პარლამენტს შეუძლია უნდობლობის ვოტუმით მთავრობის გადაყენება, ხოლო პრეზიდენტს შეუძლია პარლამენტის დათხოვნა. მაგრამ საქართველოში სულ სხვა რეალობაა – სააკაშვილს დღეს მოქმედი კონსტიტუციით მისი სურვილის შესაბამისად ერთდროულად მთავრობის და პარლამენტის დათხოვნის უფლება აქვს და ეს მაშინ როცა ნაციონალური მოძრაობის და მისი ლიდერის – სააკაშვილის რეიტინგი 5-8 %-ს არ აღემატება.

სამწუხარო ის არის, რომ ქვეყანაში პოლიტიკური პროცესების ნორმალიზების მიზნით დასავლელი პოლიტიკოსებისგან შემომოთავაზებული კოჰაბიტაცია **„ნაციონალური მოძრაობის"** წარმომადგენლებს და მათ მცირერიცხვოვან მხარდამჭერებს მხოლოდ თავის სასარგებლოდ ესმით და თავხედურად ცდილობენ მათ მიერ ჩადენილ უამრავ ბოროტებაზე პასუხისგებას თავი აარიდონ, რადგან უძნელდებათ იმ პირადი კეთილდღეობის დათმობა რაც მათ ამ ცხრა წლის განმავლობაში დაუმსახურებლად, დროის ავბედითობის გამო მიიღეს.

ამ რეალობისთვის შეგუება ქართული საზოგადოებისთვის შეურაცხმყოფელია, ვინაიდან როგორც **„ნაციონალებს"** ჰგონიათ **„ქართული ოცნების"** ხელისუფლების სათავეში მოსვლა, საზოგადოების დიდი ნაწილისთვის, რომელიც თავდაუზოგავად, შეურიგებლად და პრინციპულად ებრძოდა სააკაშვილის პირსისხლინ რეჟიმს, – სულაც არ ყოფილა ბიძინა ივანიშვილის მილიარდებისა და ფინანსური შესაძლებლობებისადმი ხიბლით გამოწვეული. ქართველი ხალხი უბრალოდ სამართლიანობის აღდგენას და ქვეყნის სასიკეთო ცვლილებების განხორციელებას ითხოვდა. დღესაც საზოგადოების უმრავლესობისთვის მთავარი – სააკაშვილის და მისი დანაშაულებრივი რეჟიმის ნარჩენების მოცილებაა და არა მასთან კოჰაბიტაცია. საზოგადოებას სამართლიანობის აღდგება სწყურია და არაა დამნაშავე ჩინოვნიკებისთვის ყველა იმ დანაშაულის მიტევება – ე.წ. უპირობო ამნისტია, რომელსაც ასე ითხოვს ნაცელიტა.

სააკაშვილის სითავხედეს საზღვარი არა აქვს. მის მიერ შაბათს გავრცელებულ ვიდეო-მიმართვაში საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით დიალოგის გასაგრძელებლად სამი პირობის შესრულება მოითხოვა მმართველი კოალიციისგან:

1. შეწყდეს საშუალო და ქვედა რგოლის პროკურატურაში დაბარება და მათი დაკავება;

2. საქართველოს პარლამენტი დარჩეს ქუთაისში და,

3. საქართველოს კონსტიტუციაში ჩაიწეროს საქართველოს საგარეო კურსი.

ამ სამი პირობის შესრულებაზე კოალიცია არ უნდა დათანხმდეს! რადგან:

1. უპირობო ამნისტია, რომელსაც ითხოვს სააკაშვილი კატეგორიულად მიუღებელი და დაუშვებელია, რადგან საშუალო და ქვედა რგოლმა თუ დანაშაული ჩაიდინა კანონის წინაშე უნდა აგოს პასუხი. მაგრამ თუ მაინც ჰუმანურობას გამოვიჩენთ და მოხელეების ამ კატეგორიას არ გავასამართლებთ, მაშინ ყველამ უნდა დატოვოს დაკავებული თანამდებობები, დანაშაული აღიარონ და საჯარო სამსახურში მოღვაწეობა რამდენიმე წლით შეეზღუდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა პასუხისგებაში უნდა მიეცეს;

2. პარლამენტი არ უნდა დარჩეს ქუთაისში და ის უნდა დაუბრუნდეს დედაქალაქს, ვინაიდან საკანონმდებლო ორგანო უნდა იყოს იმ ქალაქში სადაც არის ქვეყნის პოლიტიკური ცენტრი, ანუ დედაქალაქი. ასევე, დეპუტატების გადაადგილების და ქუთაისში ცხოვრებისთვის კიდევ დამატებითი ხარჯებია საჭირო, რისი ფუფუნებაც საქართველოს ბიუჯეტს არ აქვს. თანაც ახალი პარლამენტი არაკომფორტული და ჯერ კიდევ დაუმთავრებელია. მაგრამ რაც ყველაზე მთავარია ქუთაისის აღორძინება, როგორც ამას ნაციონალები ქადაგებენ არა პარლამენტის იქ ფუნქციონირებით, არამედ ქარხნებისა და საწარმოების ამუშავების შემდეგ არის შესაძლებელი. ამიტომ, ვიღაცის **„ჰეროსტრატულ"** სწრაფვას ისტორიაში შესასვლელად საზოგადოების ინტერესები არ უნდა შეეწიროს;

3. კონსტიტუცია არ უნდა დამახინჯდეს **„მავანთა"** მახინჯი მოსაზრებებით. არ არის აუცილებელი კონსტიტუციაში ჩაიწეროს თუ რა საგარეო კურსი ექნება საქართველოს, რადგან ქართველი ერი დასავლური ცივილიზაციის ნაწილია და ამას კონსტიტუციაში ჩაწერის გარეშეც კარგად აცნობიერებს თითოეული ქართველი.

ასე რომ თუ კოალიცია სააკაშვილის ამ **„ხუშტურებს"** დათანმდება შეცდომას დაუშვებს, რადგან ეს იქნება საზოგადოების წინააღმდეგ გადადგმული პირველი სერიოზული ნაბიჯი, რაც სამომავლოდ აუცილებლად აისახება ახალი ხელისუფლების იმიჯზე უარყოფითად.

დღეს ვინც ნაციონალებთან კოჰაბიტაციას ქადაგებს ის გვერდს უვლის სამართლიანობას და **„აკეთილშობილებს"** ბოროტებას. უფრო მეტიც აძლევს საშუალებას სააკაშვილს და მის კრიმინალურ გუნდს მოაწყონ საბოტაჟი და ქვეყანაში დესტაბილიზაცია გამოიწვიონ. ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობა იმ დასავლელ პოლიტიკოსებს დაეკისრება, ვინც ნაციონალებთან კოჰაბიტაციას ითხოვს კოალიციისგან. რადგან, როგორც ვიქტორ ჰიუგომ ბრძანა: **„ვინც ძერას დაშავებული ფრთა მოურჩინა, ის აბებს პასუხს მისი კლანჭების მოქმედებაზეც".**

და ბოლოს, ყველა დამნაშავე უნდა დაისაჯოს დღესვე, რადგან ხვალ სხვამ არ ჩაიდინოს მსგავსი დანაშაული, თუ არადა ისევ აღვირახსნილ დაუსჯელობის სინდრომს და წახალისებულ კრიმინალს მივიღებთ ქვეყანაში. ბედნიერ მომავალზე სანამ ვიოცნებებთ, მანამდე წარსულის რევიზია უნდა მოახდინოთ ბატონებო და ქალბატონებო!

გველებს უბეში ნუ ჩავისვამთ!

ზურაბ ჯამბურია,
პუბლიცისტი, პოლიტოლოგი

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

მათე ვაწაძე: საქართველოს ნაკრებისთვის ჯერ ბევრი არაფერი გამიკეთებია

მათე ვაწაძე ეროვნულ ნაკრებში თემურ ქეცბაიამ კვლავ გამოიძახა. 23 წლის თავდამსხმელმა დანიურ "ორჰუსში" ჩატარებულ 11 მატჩში 3 გოლი გაიტანა.

სხვათა შორის, ერთხელ ყოფილი თანაგუნდელი, მარინ სკენდერი ამხანაგურ მატჩში დაამწუხრა – ვაწაძის "ორჰუსმა" სკენდერის "სონდერიისკენ" 2:1 სძლია.

ალბანეთთან ეროვნული გუნდის ბოლო საკონტროლო შეხვედრაში მათემ დაამტკიცა, რომ დღეისათვის საუკეთესო ქართველი თავდამსხმელია, გოლის ალღო და გატანის გამორჩეული უნარი გააჩნია და საფრანგეთთან მომავალ შეხვედრაში მიზერულ იმედებს მასაც ვუკავშირებთ.

მათე ვაწაძეს დანიაში დავუკავშირდით და ინტერვიუ ჩამოვართვით – "ორჰუსზე", ეროვნულ ნაკრებსა და სხვა თემებზე...

– დანიაში შენმა გადასვლამ გაგვახარა, მაგრამ ფინანსურად ბევრად უკეთესი წინადადებებიც გქონდა და რატომ არ წახვედი, მაგალითად, რუსეთში ან უკრაინაში?

– ალბათ, იმიტომ, რომ იმ დროისთვის დანიელების შემოთავაზება ყველაზე რეალური და სასურველი იყო. სატრანსფერო **"ფანჯარა"** იკეტებოდა, დრო არ ითმენდა და ევროპაში თამაშის შანსი გამიჩნდა. თორემ სხვა უკეთესი წინადადებები მართლაც მქონდა.

– ჩვენთვის, მაგალითად, "ალანია" იყო ცნობილი.

– დიახ, ამაზეც იყო ლაპარაკი და რუსეთის, უკრაინის, ავსტრიისა და გერმანიის მეორე ბუნდესლიგის გუნდებზეც. იმდენი საფეხბურთო გუნდი დაინტერესდა, რამდენიც ცხოვრებაში არ მიმიღია. მაგრამ ეს ვამჯობინე და სხვებზე კატეგორიული უარი ვთქვი.

– ანუ "ალანიაზეც" თავად თქვი კატეგორიული უარი?

– **"ალანიაზე"** ჩემი თანდასწრებით ისაუბრეს, გადაწყვეტილი ამბავიც იყო, მაგრამ ამ ეტაპზე რუსეთის საფეხბურთო კლუბებში თამაში არ მსურდა. ამაზე მამუკა ჯუღელსაც ველაპარაკე. იქ უცხოელი თავდამსხმელისთვის თავის დამკვიდრება ძალზე ძნელია და ბევრი სპეციფიკური ფაქტორები მოქმედებს. ამის მაგალითად შესანიშნავი ნახევარმცველი ჯანო ანანიძეც კმარა, რომელმაც ვერა და ვერ დაიმკვიდრა ადგილი **"სპარტაკის"** ძირითად შემადგენლობაში. რუსეთში მერე უნდა წახვიდე, როდესაც ასაკი მოგიახლოვდება და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე იფიქრებ. ახლა კი ჩემთვის დანია აჯობებდა.

– ანუ, ახალგაზრდა ფეხბურთელებს რუსეთში წასვლას არ ურჩევ?

– არა, ისე არ გაიგოთ, თითქოს, რუსეთს ვიწუნებდე. ეს ჩემგან უხერხულიც იქნება. მშვენიერი ჩემპიონატია და ძალიან მაღალი დონეც არის. რუსეთში ერთხელ უკვე ვიყავი, ნიჟნი ნოვგოროდის **"ვოლგაში"** თამაშმა დიდი გამოცდილება შემძინა, მაგრამ 20 შეხვედრაში მხოლოდ ერთი გოლი გავიტანე. რუსეთმა ერთხელ უკვე მომკლა და მერე თამაში ძლივს წამივიდა. წინასწარ ვერავინ იტყვის, სად როგორ აეწყობა. რომ წავსულიყავი და მეორედაც იგივე მომსვლოდა, დიდ იმედგაცრუებას ვედარ გავუძლებდი და ფეხზე ვედარ წამოვდგებოდი.

– ასეთი ვერსია მოვისმინე: ცნობილია, რომ მერაბ ჟორდანიას "ვიტესი" საუკეთესო თავდამსხმელს, ვილფრიდ ბონის "ჩელსიში" ან ცსკა-ში გაყიდის, მის შემცვლელად კი შენ მოიაზრები.

– შესაძლოა, ლაპარაკი იყო, ბევრი სხვა რამეც ვიცი, კლუბების წარმომადგენლები სად მაკვირდებოდნენ და ა.შ. ცხადია, უკეთეს ლიგაში თამაში მსურს, მაგრამ ამაზე ფიქრსაც თავისი დრო აქვს. ახლა კი სეზონი მიდის, **"ორჰუსში"** ვარ, ვცდილობ თავი დავიმკვიდრო და ტრანსფერზე მეტად, გოლების გატანაზე ვიფიქრო.

– "ორჰუსს" უკვე შეეჩვიე თუ ადაპტაცია კიდევ გჭირდება?

– გუნდს ნელ-ნელა ვეჩვევი, რადგან ნებისმიერ ახალ გუნდთან და ლიგასთან შესაჩვევად დრო არის საჭირო. გამონაკლისი არც მე ვარ. მწვრთნელი სულ სხვა დავალებებს მაძლევს, ვიდრე გორის **"დილაში"** ან **"დინამოში"** და ახლა სულ სხვა ფეხბურთს ვთამაშობ. ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი მომწონს, მაგრამ დავალებებს მწვრთნელი იძლევა და უნდა დავემორჩილო. მაგალითად, ამდენი ჩაწოდება ცხოვრებაში არ გამიკეთებია.

– მწვრთნელი ფლანგებზე გასვლასაც გავალებს?

– ხშირად არა, მაგრამ ესეც მიწევს და ძალისმიერ ბრძოლებში შესვლაც. ეს ჩემთვის განსხვავებული სტილია. საქმეს ის მიადვილებს, რომ გვერდით ორი ქართველი მყავს, დევდარიანი და სხირტლაძე და მათთან ერთად ბევრი სირთულე იოლად გადავლახე.

– ნაკრების შეკრებაზე ხომ მოდიხარ?

– რა თქმა უნდა, ქეცბაიამ მე და დათო დევდარიანი გამოგვიძახა.

– ბოლო მატჩი ალბანეთთან თავადაც გაიტანე და საგოლე კომბინაციაშიც მონაწილეობდი. ანუ სანაკრებო ადაპტაციაც გაიარე?

– ნაკრებს უფრო ხანგრძლივი ადაპტაცია სჭირდება, ვიდრე კლუბს. აქ არა მხოლოდ ერთი კლუბის გულშემატკივარი, არამედ მთელი ქვეყანა გიყურებს და მის ფორმას რომ მოირგებ, გაცილებით დიდი პასუხისმგებლობა გეკისრება.

ნაკრების ფეხბურთელმა ყოველთვის მაქსიმუმი უნდა გააკეთოს. მე კი ჯერ ნაკრებისთვის ბევრი არაფერი გამიკეთებია, მაგრამ შანსი თუ მომეცემა, მაქსიმუმს შევეცდები.

– საფრანგეთთან ძალიან მძიმე თამაში გველის. მეტოქე თამაშისა და ჯგუფის ერთ-ერთი ფავორიტია – რა არის ჩვენი მოტივაცია და იმედი?

– საფრანგეთთან თბილისშიც გაგვიჭირდებოდა და რა თქმა უნდა, **"პარკ დე პრენსზე"** უფრო მძიმე მატჩი გველის. მაგრამ მოტივაციას სწორედ ეს გვიძლიერებს, ქვეყნის და საკუთარი თავის ღირსეულად წარმოჩენა ყველას გვსურს.

არავითარ შემთხვევაში შეშინებულები არ უნდა გავიდეთ მოედანზე, იმიტომ, რომ ჩვენი მეტოქე საფრანგეთია და არაფერი გამოგვივა. ბრძოლა ყველასთან შეიძლება და ყველაზე მძიმე მატჩის წინაც იმედი უნდა გქონდეს.

იქნებ, ბელარუსივით გაგვიმართლოს და **"პარკ დე პრენსზე"** სასწაული მოვახდინოთ.... ჩვენთან ფრანგი არტურ სორინი თამაშობს და დევდარიანი აგიჟებს, აუცილებლად მოგიგებთო. ხუმრობა არ ესმის და დათოს სერიოზულად ეკამათება.

მაგრამ ვინ იცის, იქნებ, მართლა მოვუგოთ? ბოლოს და ბოლოს, იმედი ხომ არ უნდა გადავიწუროთ.

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საგამოცემო ჯგუფი



სოფო ნიჟარაძის "ევროვიზიაზე" გამგზავრება 3 მილიონი ლარი დაჯდა?

"ევროვიზიის" კონკურსზე ქართველი მომღერლების წარუმატებლობას საზოგადოება სხვადასხვა მიზეზით ხსნის. მთავარი პრეტენზია არის ის, რომ კონკურსი პოლიტიზებულია, მთავრობის მხრიდან კი კონკურსანტებს ხელშეწყობა არა აქვთ. ყველაზე დიდი მოლოდინი, **"ევროვიზიის"** საუკეთესო ფინალისტებს შორის ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი გვეხილა, 2010 წელს იყო, როდესაც ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში კონკურსზე საქართველო სოფო ნიჟარაძემ წარადგინა. სოფომ **"ევროვიზიაზე"** ნორვეგიელი კომპოზიტორის სიმღერა **"შაინ"** შეასრულა. საკონკურსო ჩაცმულობაზე კი თვით **"ღოლჩე და გაბანას"** სამოდელო სახლმა იზრუნა. გავრცელებული ინფორმაციით, 2010 წელს სოფო ნიჟარაძის **"ევროვიზიაზე"** გამგზავრება 3 მილიონი ლარი დაჯდა და ეს თანხა **"საზოგადოებრივი მაუწყებლის"** სარეზერვო ფონდიდან გამოიყო. ნიჟარაძე ფინალისტებს შორის მოხვდა და მე-9 ადგილზე გავიდა. პორტუგალიაში **"ქართული ოცნების"** შტაბის უფროსი და ქართული სათვისტომოს ყოფილი ხელმძღვანელი ირაკლი ბარამიძე ამბობს, რომ სოფო ნიჟარაძის გამოსვლისას, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე, დიასპორის სამინისტრომ საელჩოებსა და საკონსულოებს, ასევე ქართველ ემიგრანტებს, ათასობით ევრო გადაურიცხა იმისათვის, რომ ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან ნიჟარაძისთვის მხარდამჭერი ეს-ემ-ესები გაეგზავნათ.

ირაკლი ბარამიძე: – 2010 წელს, როდესაც პორტუგალიაში ქართულ სათვისტომოს ვხელმძღვანელობდი, დიასპორის სამინისტროს დავალებით, საფრანგეთის საელჩოდან გადმოირიცხა 3 ათასი ევრო, **"ევროვიზიაზე"**, სოფო ნიჟარაძის მხარდასაჭერი ეს-ემ-ესების გასაგზავნად. 16 ათასი ევრო გადარიცხეს საბერძნეთის სათვისტომოში. ამ თანხებს ზურაბ ჯაფარიძის ძმა, გაიოზ ჯაფარიძე განკარგავდა, რომელიც ახლა კვიპროსზე საელჩოს ხელმძღვანელია. პრეზიდენტ სააკაშვილის დავალებით, ამ ყველაფერს დიასპორის საკითხებში მინისტრი პაპუნა დავითაია განაგებდა. ამბობენ, რომ ზოგიერთ ქვეყანას 40-50 ათასი ევროც კი ჩაურიცხეს ნიჟარაძისთვის ეს-ემ-ესების გასაგზავნად. მიმაჩნია, რომ ეს ფაქტი შესაბამისმა ორგანოებმა ღრმად უნდა შეისწავლონ, რადგან ამ თანხის წარმომავლობა გაურკვეველია.

თ. ბოჭორიშვილი

იუმორი

– ექიმო, ძალიან მტკივა ჭიპქვეშა ალაგი, – ეუბნება გურული ექიმს.

– აბა, გაიხადე და გაგსინჯავ!

– რავა, ჩემი არ გჯერა, თუ?!

* * *

ებრაელის ნატვრა: ნეტავი გურული მაყიდინა თავის ფასში და იმ ფასად გამაყიდინა, რა წარმოადგენაც საკუთარ თავზე აქვს!

* * *

– უცხოეთში ყველაზე მეტად რა მოგეწონა?

– ბარები!

–აბა აქ რა ღმერთი გიწყრება, ბარსა და თოხს რომ ვერ გაგაკარებს კაცი!

* * *

ქუთაისელს ძაღლმა უკბინა.

ძაღლის პატრონი ნერვიულობს:

– შარვალი ხომ არ გაგიხიათ?

– არა, ქალბატონო, ტოტები ამიკაპიწა და ისე მიკბინა!

* * *

შვილი "ნაციონალ" მშობლებს:

– მე უკვე სრულწლოვანი ვარ, ამიტომ, რასაც მინდა იმას ვიზამ! – და შტეფსელში თითი შეყო.

* * *

დაფეთებული ქალი თერაპევტის კაბინეტში შერბის:

– უკაცრავად, ქვედა საცვალი თქვენთან ხომ არ დამრჩა?

– არა.

– ესე იგი, ოკულისტთან...

ISSN 1987-8966 ilori
9 771987 896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: თემურ ქორიძე, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, დავით ქობალია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (ბალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge